N 1 2023

მასწავლებელი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების საქმიანობისთვის

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესში“



№1(92), 2023
მასწავლებელი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
თამთა კობახიძე, მაია ჯალიაშვილი, მანანა ბოჭორიშვილი, მაია მენაბდე, მაია ფირჩხაძე, გურამ მეგრელიშვილი, ლელა კოტორაშვილი, ქეთევან კობალაძე, თინათინ ზარდიაშვილი, ინა იმედაშვილი, ნინო ლომიძე, ლევან ალფაიძე, ცირა ბარბაქაძე, ირმა კახურაშვილი, ნასტასია არაბული, შორენა ტყეშელაშვილი, დიანა ანფიმიადი, ირმა ტაველიძე

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, სანდრო ეულის ქ. 5,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.
ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 ə-374

www.tpdc.ge

რედაქტორისგან

ნატო ინგოროყვა

რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში ხელოვნურ ინტელექტზე საუბრისას ერთმა კოლეგამ იკითხა, შეუძლია თუ არა მას, შეცვალოს მასწავლებელი საკლასო ოთახში.

მომავლის პროფესიებზე ფიქრის დროს ეს კითხვა მეც გამჩენია. ხშირად მეფიქრება იმაზე, რა ტიპისა და შინაარსის საგანმანათლებლო რესურსები დასჭირდება მასწავლებელს თუნდაც სამი ან ოთხი წლის შემდეგ.

რა უნდა შევთავაზოთ პედაგოგებმა მოსწავლეებს დღეს, როდესაც მათ ინტერნეტის საშუალებით თითქმის ყველაფრის გაგება შეუძლიათ? რატომ უნდა ისხდნენ მთელი დღე საკლასო ოთახში, როდესაც შეუძლიათ, თვალის დახამხამებაში იპოვონ პასუხი თითქმის ყველა კითხვაზე?

ხომ არ ვაძალებთ იმას, რაც შესაძლოა ისედაც ჰქონდეთ?

მას შემდეგ, რაც ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გახდა, „მომენტალურმა ცოდნამ“ სწავლის პროცესიც შეცვალა. კითხვები, რომლებზეც პასუხები არ ვიცით და გვაინტერესებს, ჩვენგან რამდენიმე დაწკაპუნების მანძილზეა. ეს კი დამატებით კითხვებს აჩენს: შეიძლება, ვენდოთ ამ პასუხებს? როგორ გადავამოწმოთ მათი სისწორე?

ინფორმაციის სისწრაფე და რაოდენობა ყოველთვის უქმნის საფრთხეს მის სანდოობასა და ვალიდურობას.

ასეთი რეალობა ცვლის ჩვენს ლექსიკონსაც, რომელსაც საკლასო ოთახში ვიყენებთ.

ჩვენს მოსწავლეებს სჭირდებათ არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნა, არამედ იმის გაგებაც, რომ ეს ცოდნა აუცილებელია, რათა შექმნან, გადაწყვიტონ, აღმოაჩინონ... სწავლებისას გაწეული ძალისხმევის მიზანი კი სასწავლო გარემოს შექმნა გახდა. გარემოსი, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეს, ხორცი შეასხას თავის „უნდა ვიცოდეს“.

დღეს, როდესაც საკლასო ოთახებსა თუ მოსწავლეთა ჯიბეებში გაცილებით მეტი ტექნოლოგიაა, ადვილი შესაძლებელია, მასწავლებელმა თანდათან დაკარგოს ადგილი ბავშვის ცხოვრებაში. ასე რომ არ მოხდეს, რა როლი უნდა შეასრულოს მან?

სავარაუდო პასუხი ასეთია: ჩვენ მუდამ დაგვჭირდება მასწავლებლები. მასწავლებლის მთავარი დანიშნულება მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაა. მან უნდა მიმართოს ინტერესები იქით, საითაც მოსწავლეების მისწრაფებებია და გაუკვალოს გზა ცოდნისკენ. ოღონდ ამისთვის ყველა მასწავლებელს უნდა ჰქონდეს დამაჯერებელი პასუხი ხშირად დასმულ კითხვაზე: „რატომ მჭირდება ამის ცოდნა?“



მოსაზრება

მაია ჯალიაშვილი

4 | მეთოდები და მასწავლებელი

ნებისმიერი მეთოდი უამრავ შესაძლებლობას მოიცავს, რომელთა პოტენციური ძალა მხოლოდ კონკრეტული მასწავლებლის გაკვეთილზე შეიძლება გამჟღავნდეს, ამიტომ პედაგოგმა მეტი თავისუფლება უნდა მისცეს თავს, შემოქმედებითად მიუდგეს მეთოდს, დაარღვიოს ინსტრუქციისა და ტექნიკის ჩარჩოები.

ნინო ლომიძე

22 | ძალადობა და მოქმედების გზები – ლიტერატურა, როგორც გზამკვლევი კონფლიქტურ სიტუაციებში

მასწავლებელმა განსახილველად შეიძლება შეარჩიოს მხატვრულ ტექსტში გადმოცემული ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაცია. თუ კონფლიქტი ჩხუბითა და აყალმაყალით, ძალადობით დასრულდა, ისმის კითხვა: როგორ შეიძლებოდა უსიამოვნო შედეგის თავიდან აცილება? რა შეიძლებოდა მოემოქმედებინა გმირს იმისთვის, რომ ფიზიკური შეხლა-შემოხლა აერიდებინა?

ლელა კოტორაშვილი

31 | რატომ უნდა ვუკითხოთ ბავშვებს ლექსები

საბავშვო ლექსებზე თაობები იზრდებიან. ყველა ქვეყანას თავისი საბავშვო ლექსები აქვს, რომლებიც დროს უძლებს და სამყაროში მომხდარი ცვლილებების ფონზეც კი ცოცხლობს. როცა ბავშვებს მშობლები ერთსა და იმავე ლექსებს უკითხავენ, სადღაც აუცილებლად იკვეთება ეს ცოდნა და ბავშვს სოციუმში დამკვიდრებაში ეხმარება. ერთი და იმავე ლექსების ცოდნა ერთიანობის განცდას ბადებს.

ცირა ბარბაქაძე

38 | მომავლის სამყარო: ნეიროგანათლება, ნეირონეტი, ნეიროკომუნიკაცია

ნეირონეტი – ეს არის ახალი თაობის (და არამხოლოდ) საკომუნიკაციო გარემო, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ადამიანის ცხოვრებას. იგი უზრუნველყოფს ადამიანების ურთიერთქმედებას ნეიროკომპიუტერული ინტერფეისების გამოყენებით. როგორც მეცნიერები მიუთითებენ, ეს კონცეფცია ყველაზე მეტად შეესაბამება ნოოსფეროს იდეებს.

მოსაზრება

მეგი კავთუაშვილი

41 | ქართულ-ევროპული ტრადიციები დეზინფორმაციის ტალღის პასუხად

წინათ თუ სიტყვა „მითი“ ფანტასტიკურ ხალხურ თქმულებებთან, ღმერთებსა და გმირებთან ასოცირდებოდა, ჩვენს დროში და ჩვენს ქვეყანაში მითების ხსენებისას ყველაზე ხშირად მტრული სახელმწიფოების მიერ დაგეგმილი და ტროლ-ბოტების მიერ გავრცელებული მოგონილი, მაგრამ დამაზიანებელი ამბები გვაგონდება.

მანანა სეხნიაშვილი

47 | წარმატების სივრცე

გეოგრაფიის ფუნქციები იცვლება. გეოგრაფია რჩება ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბების მთავარ ობიექტად, მაგრამ, ამავე დროს, ის მოსწავლეთა განვითარების საშუალება ხდება.

თინათინ ზარდიაშვილი

53 | „მოდური სიგამხდრე“ – სადამრიგებლო საათისთვის საშუალო საფეხურზე

ჩემი წერილი ეხება მეცნიერებას წონის მატებისა და კლების შესახებ. მარტივი, ადვილად გასაგები ენით აღვწერ, რა ახდენს გავლენას დიეტების პოპულარობაზე და როგორ მოგვიყვანა ისტორიამ დღევანდელ ვითარებამდე.

გამოცდილება

ინა იმედაშვილი

25 | ერთი აქტივობა სხარტი მეტყველებისა და წერის სწავლებისთვის

ქართულის მასწავლებლებს დიდი შრომა უწევთ მოსწავლეებთან მეტყველებასა და წინადადების აგებაზე, წერით მეტყველებასა და გრძელი სათქმელის მოკლედ ჩამოყალიბებაზე. ქვემოთ მოცემული ერთი ტექნიკა, ვფიქრობ, დაეხმარება მათ, ბავშვებს კი მოტივაციას და ხალისს შემატებს და ერთ ქართულ იდიომასაც გააზრებინებს.

ქრისტინა სურგულაძე
27 ენ შირლის კოლეგა

ლევან ლორთქიფანიძე
28 ტიკ-ტოკი – იარაღად ქცეული ქსელი

სოფიო კუბლაშვილი
29 დამარცხება შაქარია

ცისია გურაბანიძე, ნათელა ბაღათრიშვილი
30 გზამკვლევი STEAM სწავლებისთვის

რესურსი

დავით ბოლქვაძე

8 კომპლექსური დავალება და სწავლების სტრატეგიები

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა მასწავლებლისგან მოითხოვს როგორც საგნობრივი სამიზნე ცნებების გააზრებაზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებების, ისე საგაკვეთილო პროცესში მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებას. შესაბამისად, უნდა მოხდეს მათი ინტეგრაცია.

ლელა მანგოშვილი

11 „ცოდნა სინათლეა“. საკუთარი პოზიციის დასაბუთება

ნებისმიერი კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესს მასწავლებელი იწყებს კომპლექსური დავალების პირობისა და შეფასების კრიტერიუმების გაცნობით. ამის შემდეგ ყველა აქტივობას ის დაგეგმავს სამიზნე ცნების გრძელვადიანი მიზნის შესაბამისად, დაწყებიდან საბოლოო პროდუქტის შექმნამდე.

მაია ფირჩხაძე, ეკა ჭკუასელი

17 ქართული ენისა და ლიტერატურის და ისტორიის ინტეგრირებული გაკვეთილი: „მეორე ქართლის“ შექმნა – საზოგადოებრივი მოძრაობა თუ კერძო ინიციატივა?“

ტრანსფერული ცოდნისა და უნარების გააქტიურებას ხელს უწყობს სამიზნე ცნებებსა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე ორიენტირებაც და, საზოგადოდ, კომპლექსური ხასიათის დავალებები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, თავისი ხასიათით ინტეგრირებული დავალებებია.

მარიამ გოდუაძე

34 ემოჯი და ემოციური რეგულაციის სწავლება

ემოჯიებით კომუნიკაცია მოსწავლეებს საკუთარი და სხვისი ემოციების სწავლაში ეხმარება. ისინი უკეთ აცნობიერებენ, რა არის ემოციური რეგულაცია და მართავენ საკუთარ ქცევას, ეს კი პოზიტიური მიდგომაა. მოწაფეები ემოჯიების დახმარებით ემოციებს ქცევასთან აკავშირებენ.

განათლების ფსიქოლოგია

ქეთევან კობალაძე

44 ემპათია – ბავშვები და მშობლები

ემპათია გარშემო მყოფთა მიმართ ყურადღებით იწყება, ამიტომ, როდესაც ბავშვთან ურთიერთობთ, სხვა ყველაფერი დაივიწყეთ. გვერდზე გადადეთ მობილური ტელეფონი. დაამკვიდრეთ წესი: „ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას – არავითარი ინტერნეტშეტყობინება, ელექტრონულ წერილებზე პასუხი, სატელეფონო საუბარი, ტელევიზორი!“

ქეთევან ოსიაშვილი

50 ბავშვთან ეფექტიანი ურთიერთობის ხელშემწყობი ფაქტორები

ძნელი წარმოსადგენია, რომელიმე აღმზრდელს, განურჩევლად იმისა, პედაგოგია ის თუ მშობელი, არ სურდეს, თავისი აღსაზრდელისთვის უახლოეს მეგობრად იქცეს, ადამიანად, რომელსაც ბავშვი ყოველთვის თამამად მიმართავს, რომლისგანაც ყოველთვის სიამოვნებით მიიღებს რჩევას.

მაია ჯალიაშვილი

მეთოდები და მასწავლებელი

ნებისმიერი თეორიული სასწავლო მეთოდის პრაქტიკულად განხორციელებაში ხომ ორი მხარე მონაწილეობს: მასწავლებელი და მოსწავლე. შესაბამისად, ორივე მხარის აქტიურობაზეა დამოკიდებული, თეორიულად შესანიშნავად გადმოცემული მეთოდი როგორ ჩაიდგამს სულს, რა ენერგიას შეიძენს მონაწილეთაგან, რათა თავისი ძალა სრულად გამოავლინოს.

პედაგოგიკის ცნობილი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სწავლების იმდენი შესანიშნავი მეთოდი არსებობს, რამდენი კარგი მასწავლებელიცაა. უდავო ჭეშმარიტებაა და ამას არა ერთი პედაგოგი თავისი გამოცდილებით თამამად, ხალისით დაადასტურებს. ტერმინ „მეთოდის“ (რომელიც გზას ნიშნავს) ეტიმოლოგიაც ცხადყოფს, რომ ძველ ბერძნებს კარგად ესმოდათ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო სტრუქტურირებული, ორგანიზებული, წინასწარ მოფიქრებული საშუალების გამოყენება იმისთვის, რომ მიზნისა და მოსალოდნელი, საოცნებო, სანუკვარი შედეგისკენ მიმავალს, დრო და სასიცოცხლო ენერგია ამაოდ არ დაგეკარგა.

ყველანაირი მეთოდი, ტრადიციულიც და ნოვატორულიც, კონსერვატორულიც და ექსპერიმენტულიც, მართლაც მხოლოდ და მხოლოდ გზაა. მეთოდის არჩევის შემდეგ კი მნიშვნელოვანია, ამ გზას როდის და ვისთან ერთად, რა განწყობით დაადგები. არჩეულმა გზამ კი არ უნდა შეგბოჭოს, არამედ, პირიქით, თავისუფლება მოგანიჭოს, რომ შეიგრძნო საკუთარი შესაძლებლობები, იმედი მოგეცეს, რომ ფიქრის შედეგად არჩეული ეს გზა ნამდვილად „ტაძრამდე“ მიგიყვანს.

ნებისმიერი თეორიული სასწავლო მეთოდის პრაქტიკულად განხორციელებაში ხომ ორი მხარე მონაწილეობს: მასწავლებელი და მოსწავლე. შესაბამისად, ორივე მხარის აქტიურობაზეა დამოკიდებული, თეორიულად შესანიშნავად გადმოცემული მეთოდი როგორ ჩაიდგამს სულს, რა ენერგიას შეიძენს მონაწილეთაგან, რათა თავისი ძალა სრულად გამოავლინოს.

შესაბამის გზამკვლევებსა თუ სახელმძღვანელოებში სწავლების მეთოდების სხვადასხვა კლასიფიკაციაა მოცემული, რომელთაგან შეიძლება უპირატესობა მივანიჭოთ იმას, რომელიც უფრო მკაფიოდ გამოკვეთს მის არსსა და მიმართულებებს. მაგალითად, ფორმის თვალსაზრისით, ცოდნის მისაღწევად, სასკოლო სივრცეში ძირითადად გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

- სიტყვიერი;
- ვიზუალური;
- პრაქტიკული.

იმისთვის, რომ მოსწავლემ კარგად გაიაზროს, შეიმეცნოს შესასწავლი მასალა, პედაგოგები მიმართავენ შემდეგ ძირითად მეთოდებს:

- სიტყვიერ ახსნა-განმარტებითს, რომელიც მოიცავს თხრობას, ახსნას, საუბარს, დისკუსიას, ლექციას, წიგნზე მუშაობას და სხვ.
- ილუსტრაციების დახმარებით;
- დეტალების გამოკვეთითა და ძიებით;
- კვლევით;
- ალგორითმის გამოყენებით;
- გონებრივი იერიშის სტრატეგიის გამოყენებით და სხვ.

სწავლების პროცესში პედაგოგები ხშირად იყენებენ ისეთ აქტიურსა და ინტენსიურ მეთოდს, როგორიცაა, მაგალითად, დიდაქტიკური ტიპის თამაში. განსაკუთრებით ყურადღებამისაქცევია ის, რომ თეორია და პრაქტიკა განუყოფელი იყოს, რათა შესწავლილი მასალა ფუნდამენტად იქცეს მოსწავლის ცოდნისა და უნარების შემდგომი

ზრდისა და განვითარებისთვის. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა აკაკი წერეთლის გამოცდილება, რომელსაც ის თავისებური მახვილგონივრულობით წარმოაჩენს ყველასთვის ცნობილ მოთხრობაში „ჩემი თავგადასავალი“. აკაკი ბედნიერი ბავშვობის გახსენებისას არაერთ საგულისხმო თამაშსაც აღწერს. მისი აზრით, „ქართველების ოდენი სხვადასხვაგვარი სათამაშო თითქმის არც ერთს ხალხს არ აქვს და ყოველგვარი სათამაშოც უთუოდ ისეთია, რომელიც ჭკუა-გონებასა და სხეულს სწვრთნის, ავარჯიშებს“.

აკაკის მიერ დასახელებულ თამაშებს შორის, ჩვენი აზრით, რამდენიმე ისეთი თამაშიცაა, რომლებიც დღესაც თანაბრად გაწვრთნის ჭკუა-

ქორი ხან ერთი კუთხიდან, ხან მეორე კუთხიდან მოვარდებოდა, გაგლეჯდა წრეს და გაიტაცებდა წიწილას; მაშინ წიწილები გაიფანტებოდნენ, მიიმალებოდნენ აქეთ-იქით და გამწარებული კრუხი კი, შვილებს რომ აქეთ-იქით მიმალულსა და მიხიზნულს დაინახავდა, თვითონ გამოუდგებოდა ქორს, დააგდებინებდა და დაიბრუნებდა ხოლმე გატაცებულ წიწილას. მაშინ ხელახლად იწყებდა ქოთქოთს, შეიკრებდა წიწილებს და გააბამდა წრეს“.

საინტერესოა ამ თამაშის მწერლისეული ინტერპრეტაცია, რომელიც ამავე ნაწარმოებშია მოცემული. აკაკი წერს: ეს თამაში „ძალიან მაგონებს ჩვენი ქვეყნის ბედს. ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ისტორია

გონებასაც და სხეულსაც. მაგალითად, საქართველოს ისტორიული ბედის თვალსაჩინოდ გასააზრებლად ისტორიის მასწავლებელმა დაწყებით კლასებში შეიძლება აქტიურად გამოიყენოს „ქორობია“, რომლის ტექნიკასაც აკაკი წერეთელი დაწვრილებით აღწერს. თამაშის მონაწილენი კრუხისა და წიწილების როლებს ირგებენ: „ერთი უფროსთაგანი კრუხობას იკისრებდა, სხვები წიწილები ვიყავით, გავაკეთებდით წრეს, ჩავაბამდით ფერხულს და ვტრიალებდით. ქორი მოდიოდა წიწილების მოსატაცებლად, კრუხი იგერიებდა, სანამ ძალ-ღონე ჰქონდა. ბოლოს

სწორედ ქორობიას წარმოადგენდა: საქართველო კრუხი იყო სიცოცხლეგამწარებული და სხვა მისი კუთხეები – წიწილები! მტრები ქორებივით ესეოდნენ, იტაცებდნენ ხან ერთს მხარესა და ხან მეორეს, მაგრამ საბოლოოდ კი საქართველო მაინც კიდევ იბრუნებდა ხოლმე დაკარგულ მხარეს და გაერთიანებული, ფერხულჩაბმული წრე ბოლოს იქნევდა ძლიერად“.

თანამედროვე მოსწავლეებს განსაკუთრებით მოსწონთ, როდესაც მასწავლებელი გაკვეთილზე აქტიურად იყენებს ილუსტრირებისა და დემონს-

ტრირების მეთოდებს. ილუსტრირებისთვის კარგია ფოტო, ნახატი, სქემა, ცხრილი და ამ ტიპის სხვა საშუალებანი, დემონსტრირებისთვის კი შეიძლება ფილმების, მოკლე ვიდეოების, ტექნიკური მოწყობილობების გამოყენება.

ზოგიერთი საგნისთვის (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მნიშვნელოვანია ლაბორატორიული სამუშაოები, ამიტომ პედაგოგმა ამ საქმისთვის ისეთი მეთოდები უნდა გამოიყენოს, რომელთა საშუალებითაც მოსწავლეები პრაქტიკული საქმიანობით დაინახავენ და გაიაზრებენ, რა ღირებულება აქვს თეორიული მასალის დამუშავებას.

ყველასთვის ცნობილია, რომ განსაკუთრებით რთულია ისეთ კლასებში მუშაობა, რომლებშიც 25-30-მდე მოსწავლეა, ასეთი კლასი კი დღეს ბევრია საქართველოში, ამიტომ საინტერესოა შესწავლილი მასალის გამოკითხვის აკაკი წერეთლის მიერ აღწერილი მეთოდი, რომელიც შეიძლება, პედაგოგმა მოდიფიცირებული სახით, შემოქმედებითად სახეცვლილი, დღესაც წარმატებით გამოიყენოს. აკაკის ერთი მასწავლებლის სახელის მიხედვით, შეიძლება, ამ მეთოდს „ტროეს მეთოდიც“ ეწოდოს. აკაკი იხსენებს: „ტროე საზეპიროს ცოტას გვაძლევდა, სულ რამდენიმე პწკარს, მაგრამ, სამაგიეროდ, არათუ აზრი, ყოველი სიტყვის მნიშვნელობა უნდა გვცოდნოდა და აგვეხსნა. მის კლასში ყველა, დიდი და პატარა, თანასწორად სმენად იყო გადაქცეული. ბუზი რომ გაფრენილიყო, გაიგებდა კაცი. მაშინ იცოდნენ და დღესაც კიდევ, მასწავლებლები რიგ-რიგად გამოჰკითხავენ მოსწავლეებს, ასე რომ, მოწაფემ იცის, როდის მოუწევს რიგი და იმ დღისთვის უკეთ ემზადება, ვიდრე სხვა დროს და მის სწავლაში თანასწორობა აღარ არის. ტროეს კლასში კი ყველა მზად უნდა ყოფილიყო. ერთს რომ ჰკითხავდა, უცებ, მოულოდნელად, სხვას რომელიმეს, „განაგრძეო“, მიუბრუნდებოდა. აგრეთვე, არ იცოდა ძველი და ახალი გაკვეთილი; მოულოდნელად ძველიდანაც გვკითხავდა ხოლმე. თითოეულ სკამს მიუჩინა თითო უფროსი შეგირდი. ისინი გამოჰკითხავდნენ ყოველდღე გაკვეთილს მოსწავლეებს და ნიშნებს უსვამდნენ. იმ უფროსებისთვის მერე მე უნდა მეკითხა და დამესვა ნიშნები. ზოგიერთი მათი შეგირდიც უნდა შემემოწმებინა და ის ნიშნები მიმერთმია მასწავლებლისათვის“ (აკაკი წერეთელი, „ჩემი თავგადასავალი“).

ვფიქრობთ, ნებისმიერი მეთოდი უამრავ შესაძლებლობას მოიცავს, რომელთა პოტენციური ძალა მხოლოდ კონკრეტული მასწავლებლის გაკვეთილზე შეიძლება გამჟღავნდეს, ამიტომ პედაგოგმა მეტი თავისუფლება უნდა მისცეს თავს, შემოქმედებითად მიუდგეს მეთოდს, დაარღვიოს ინსტრუქციისა და ტექნიკის ჩარჩოები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკუთარი გამოცდილების სხვისთვის გაზიარება. ნებისმიერი გონიერი პედაგოგის სუბიექტური სწავლების რომელიმე გზა შეიძლება იქცეს ახალ და საგულისხმო მეთოდად. ამის თვალსაჩინო მაგალითსაც ვხვდებით „ჩემს თავგადასავალში". მწერალი თავისებური ირონიით მოგვითხრობს მამასთან, როსტომ წერეთელთან, დაკავშირებულ სახალისო ისტორიებს. როსტომს ჭადრაკი ჰყვარებია და ოსტატური თამაშით სახელიც გაუთქვამს. აკაკი იხსენებს, რომ განსაკუთრებით გენერლის შტაბის ოფიცრები ყოფილან მონდომებული, როგორმე მოეგოთ მისთვის, მაგრამ ვერა გაუწყვიათ. ერთხელ გენერალ-გუბერნატორს, გვარად ერისთავს, თბილისიდან შემოუთვლია, რომ ერთი შესანიშნავი მოჭადრაკე პოლკოვნიკი იყო ჩამოსული და მასთან თამაში სურდა. გუბერნატორს უნდოდა, თავი გამოეჩინა, ამიტომ როსტომი სტუმართან სათამაშოდ მიიწვია, თან წააქეზა, აბა, შენ იცი, თუ შენებურად გვასახელებ ქართველობასო! აკაკის მამაც, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული, ხალისით წავიდა. სტუმარმა პირველსავე სვლაზე შეამჩნია, რომ როსტომ წერეთელი უცნაურად, „ახირებულად" ეთამაშებოდა, დაინტერესდა და ჩაეკითხა, იცნობდა თუ არა საჭადრაკო თეორიას, თან კუთხის პაიკით სვლა დაუწუნა. აკაკის მამამ არ შეიმჩნია მისი აგდებული დამოკიდებულება და ჰკითხა, რა იყო თეორია. სტუმარმა აუხსნა, რომ თეორია იყო „სხვადასხვა სათამაშო კანონი". როსტომ წერეთელმა პასუხად უთხრა, რომ ქართველებმა ერთადერთი კანონი იცოდნენ: ისე თამაში, რომ მოწინააღმდეგისთვის მოგეგო. პოლკოვნიკი დაჟინებით ამტკიცებდა, თეორიის ცოდნა მაინც აუცილებელიაო. როცა როსტომი ჩაეძია, მაინც რას გულისხმობდა ამ თეორიაში, პოლკოვნიკმა უპასუხა: „სხვადასხვა გამოჩენილ მოჭადრაკეთა ნათამაშევი, რომელიც სხვებისთვის სამაგალითო კანონად დარჩენილა". აკაკის მამას ამაზე გაეღიმა: „ჰო, ისემც კარგი დაგემართოს: ისინიც ხომ ჩემისთანა მიწიშვილები იქნებოდნენ, ციდან ხომ ვერ ჩამოფრინდებოდნენ? ახლა ჩემს თამაშსაც უგდეთ ყური და, თუ მოგეწონოთ, ჩაწერეთ და თეორია იქნებაო".

არ გაუვლია დიდ ხანს, რომ თეორიის მცოდნე პოლკოვნიკმა წააგო და, შეწუხებულმა, რუსულად თქვა, შევცდიო, „აშიბკაო". „ითამაშეს მეორე, კიდევ წააგო და თქვა: „აშიბკაო". მესამე, მეოთხე, მეხუთე... გაცხარებული პოლკოვნიკი აგებს და თან გაიძახის: „აშიბკა, აშიბკაო". „მამაჩემს გაეცინა და უთხრა: „პოლკოვნიკო, ტყუილად ნუ ფიქრობ, რომ მოიგო! სანამ ეგ ვიღაც „აშიბკა" გადაგკიდებია, მაგას თავიდან არ მოიშორებო!" ეს ხუმრობა მის მოპირდაპირეს ეწყინა, შეურაცხყოფად მიიღო და ხმამაღლა ლაპარაკი დაიწყო. მამაჩემმა დამშვიდებით უპასუხა: „ნარდი, ჭადრაკი და სათამაშოები სასიამოვნოდ და დროს გასატარებლად გამიგონია ჩვენშიო. ხუმრობაც შეშვენის და მეც ჩემი ქვეყნის ჩვეულებაზე ვდგავარო, და თქვენში თუ საწყენი და გასაჯავრებელი ყოფილა, ჩემთან რა გინდა, ისევ თქვენებთან გეთამაშაო". გაჯავრებულმა დაავლო ქუდს ხელი და გამოვარდა გარეთ".

ამ სახუმარო ამბიდან ერთი ასეთი დასკვნაც შეიძლება გამოვიტანოთ: სწავლების „სამაგალითო კანონად" შეიძლება იქცეს რომელიმე უცნობი რიგითი პედაგოგის შემოქმედებითი მეთოდი, რომელსაც თვითონვე მოიფიქრებს იმისთვის, რომ დასახულ სასწავლო მიზანს მიაღწიოს.

ამ თვალსაზრისით, საინტერესო და მნიშვნელოვანია სოციალური ქსელების გამოყენება. მასწავლებლები ჯგუფებში ერთიანდებიან და ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ. ჩვენი დაკვირვებით, ერთი ასეთი წარმატებული ფეისბუქჯგუფია „აქტივობები კლასში", რომლის ადმინისტრატორი ახალგაზრდა პედაგოგი ნათია უჩავაა. ამ ჯგუფში არიან გამოცდილებიც და ახალბედებიც. ისინი ერთმანეთს აქტიურად უსვამენ კითხვებს, უზიარებენ სხვადასხვა თვალსაზრისს, რაიმე საინტერესო მეთოდისა თუ ნამუშევრის გამოქვეყნებისას კი არა მხოლოდ იწონებენ, რაც, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ თავაზიანობის გამოხატულებაა ხოლმე, არამედ კრიტიკულადაც აფასებენ და ავტორს სთხოვენ, უფრო დაწვრილებით წარმოადგინოს ამა თუ იმ პროექტის, თამაშის, ვიზუალური თუ აუდიო-ვიდეო ნამუშევრის ინსტრუქცია, რათა სხვებმაც შეძლონ მისი გამოყენება ან სინჯონ, რამდენად გამოადგებათ ის თავიანთ კლასში განსხვავებული მიზნის მისაღწევად.

ვფიქრობთ, ნებისმიერი მეთოდი უამრავ შესაძლებლობას მოიცავს, რომელთა პოტენციური ძალა მხოლოდ კონკრეტული მასწავლებლის გაკვეთილზე შეიძლება გამჟღავნდეს, ამიტომ პედაგოგმა მეტი თავისუფლება უნდა მისცეს თავს, შემოქმედებითად მიუდგეს მეთოდს, დაარღვიოს ინსტრუქციისა და ტექნიკის ჩარჩოები. ამ შემთხვევაში ის დასაჩუქრდება „ნაყოფით", რომელსაც მისი ექსპერიმენტულად მოდიფიცირებული მეთოდი ბუნებრივად გამოიღებს.

დავით ბოლქვაძე

კომპლექსური დავალება და სწავლების სტრატეგიები

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა მასწავლებლისგან მოითხოვს როგორც საგნობრივი სამიზნე ცნებების გააზრებაზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებების, ისე საგაკვეთილო პროცესში მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებას. შესაბამისად, უნდა მოხდეს მათი ინტეგრაცია.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა მასწავლებლისგან მოითხოვს როგორც საგნობრივი სამიზნე ცნებების გააზრებაზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებების, ისე საგაკვეთილო პროცესში მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებას. შესაბამისად, უნდა მოხდეს მათი ინტეგრაცია. მასწავლებლებმა უნდა განვახორციელოთ კომპლექსური დავალებები, ამასთანავე, იმ გაკვეთილებზე, რომლებსაც კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას დავუთმობთ, გამოვიყენოთ მრავალფეროვანი სასწავლო სტრატეგიები, რომლებიც რამდენიმე მიზანს მოემსახურება:

- დაეხმარება მოსწავლეებს, უკეთ გაიაზრონ სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები;
- საინტერესოს და მიმზიდველს გახდის სასწავლო პროცესს;
- განუვითარებს მოსწავლეებს მაღალ სააზროვნო უნარებს.

ამასთანავე, ზოგიერთი სტრატეგია მოსწავლისთვის საკუთარი სწავლის პროცესის შემადგენელ ნაწილად იქცევა და დაეხმარება მეტაკოგნიციაში, განუვითარებს სხვადასხვა კოგნიტიურ უნარს, ხელს შეუწყობს სწავლის სწავლას.

ჩვენი სტატიის მიზანი სწორედ კომპლექსურ დავალებაში სასწავლო სტრატეგიების ინტეგრირების ჩვენებაა კონკრეტული კომპლექსური დავალების მაგალითზე.

განსახილველი დავალება განხორციელდა მეხუთე კლასში საგანში „ჩვენი საქართველო“. ის აღებულია „ახალი სკოლის მოდელის“ თემატური მატრიციდან (თუმცა ჩემ მიერ გარკვეულწილად მოდიფიცირებულია – თავადაც ამ გუნდის წევრი გახლავართ), რომელიც სკოლებისთვის გზამკვლევად არის მიწოდებული, ხოლო სასწავლო სტრატეგიების შესარჩევად ამჯერად გამოვიყენეთ მასწავლებლებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო წიგნი „განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“ (ავტორები: მარიანა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი).

საგანი „ჩვენი საქართველო“
კლასი: V
საკითხი: ქართლის ციხესიმაგრეები
სამიზნე ცნებები: დრო / საზოგადოება

კომპლექსური დავალების პირობა

წარმოიდგინეთ, რომ ტურისტული სააგენტოს წარმომადგენელი ხართ და საქართველოს ისტორიული კუთხისთვის, ქართლისთვის, ისტორიით დაინტერესებული ტურისტების მოსაზიდად ქმნი ბუკლეტს, სადაც საინტერესოდ მოჰყვებით ლეგენდებს, მითებს და ისტორიულ ამბებს გორის ციხის, სურამის ციხის, უფლისციხის შესახებ.

ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- რატომ იყო მნიშვნელოვანი ციხესიმაგრეების არსებობა ქართლში? (საზ. 1;3)
- საიდან ვიცით აღნიშნული ციხესიმაგრეების შესახებ? (დრო, 3)
- როგორ დარჩა შიდა ქართლში არსებული ციხესიმაგ-

რეები ხალხის მეხსიერებაში? (დრო, 1).

კომპლექსურ დავალებას დაეთმო 6 გაკვეთილი. **პირველ გაკვეთილზე** მოსწავლეებს გავაცანით დავალების პირობა და შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც მათ უნდა მოემზადებინათ კომპლექსური დავალების დასრულების შემდეგ. ამ შემთხვევაში პროდუქტი გახლავთ ბუკლეტი. ბუკლეტთან დაკავშირებით მოსწავლეებს შევთავაზეთ არჩევანი:

1. ბუკლეტს დაამზადებენ ხელით (ვთანხმდებით ბუკლეტის ფორმატზე: ზომა, გვერდების მიახლოებითი რაოდენობა, გაფორმება (საკუთარი ნახატებით, ინტერნეტში მოძიებული სურათებით) და სხვ.);
2. ბუკლეტს დაამზადებენ ელექტრონულად აპლიკაციის გამოყენებით. მოსწავლეებს გავაცანი ერთ-ერთი აპლიკაცია: **ბუკლეტის დამზადება პროგრამა Canva-ს გამოყენებით – YouTube**

რასაკვირველია, შესაძლოა, ბუკლეტის დასამზადებელი უკეთესი აპლიკაციაც გეგულებოდეთ, მაგრამ მერწმუნეთ, ეს ერთ-ერთი საუკეთესოა (ჩემთვის სულაც საუკეთესო მისი სიმარტივის გამო). თუმცა, რა მარტივიც უნდა იყოს აპლიკაციის გამოყენება, მოსწავლეს ელექტრონული ბუკლეტის დასამზადებლად სჭირდება კომპიუტერული უნარ-ჩვევები და ინტერნეტზე წვდომა. ამ გარემოებიდან გამომდინარე, მოსწავლეებს ვაძლევთ არჩევანს, მათთვის სასურველი და მოხერხებული ფორმით დაამზადონ ბუკლეტი. აქვე დავძენ: მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანს სავსებით მართებულად აქცენტი სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენებაზე დაისმის, ხელით დამზადებულ პროდუქტს აქვს თავისი ხიბლი. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ზოგჯერ სხვა გამოსავალი არც გვრჩება.

მეორე გაკვეთილზე დავამუშავეთ პირველი კრიტერიუმი:

- **რატომ იყო მნიშვნელოვანი ციხესიმაგრეების არსებობა შიდა ქართლში?**

მთავარი რესურსი იყო სახელმძღვანელო („ჩვენი საქართველო“ , გამომც. „კლიო“, პარაგ. 1.4; გვ. 34). გაკვეთილზე განვახორციელეთ ორი ძირითადი აქტივობა. იმისთვის, რომ მოსწავლეებს კარგად გაეაზრებინათ თავდაცვის ძველი საშუალებები, მათ შევთავაზეთ სახელმძღვანელოს ტექსტის წაკითხვა და თავდაცვის საშუალებებზე ინფორმაციის წარმოდგენა ცხრილის (გრაფიკული ორგანიზატორის) მეშვეობით:

	თავდაცვის საშუალება	დანიშნულება
1	ჯაჭვის პერანგი	
2	სათვალთვალო კოშკი	
3	ციხესიმაგრე	

მეორე აქტივობაში გამოვიყენეთ სტრატეგი **„დაფიქრდი, დაწყვილდი, გააზიარე“**. იმისთვის, რომ მოსწავლეებს უკეთ დაამახსოვრდეთ ციხესიმაგრის მახასიათებლები და განუვითარდეთ წარმოსახვის უნარი, ვთხოვთ, ჯერ ყურადღებით წაიკითხონ სახელმძღვანელოს ტექსტი ბირთვისის ციხეზე, ხოლო შემდეგ მეწყვილესთან ერთად მოიგონონ ერთი ამბავი/ლეგენდა, რომელიც შეიძლებოდა მომხდარიყო ბირთვისის ციხის დაცვისას. აუცილებელი პირობაა, მოსწავლეებმა ამბავში ჩართონ წაკითხული ინფორმაცია.

მომდევნო სამ გაკვეთილზე დავამუშავეთ რესურსები კომპლექსური დავალების პირობაში მოცემული ციხეების შესახებ: უფლისციხე, გორის ციხე, სურამის ციხე. სამივე გაკვეთილზე ვამუშავებდით ერთსა და იმავე კრიტერიუმებს:

- **საიდან ვიცით აღნიშნული ციხესიმაგრეების შესახებ / ლეგენდა ან მითი/?**
- **როგორ დარჩა შიდა ქართლში არსებული ციხესიმაგრეები ხალხის მეხსიერებაში?**

უფლისციხის შესახებ მოსწავლეებს შევთავაზე ვიდეორესურსი – **რესურსი 1 – https://www.youtube.com/watch?v=H09OKKM9OZg**

იმისთვის, რომ მოსწავლეები ყურადღებით გასცნობოდნენ ვიდეოს და ყოფილიყვნენ მობილიზებულები, მათ წინასწარ გავაცანი კითხვები, რომლებზეც ვიდეოს ყურების შემდეგ პასუხები უნდა გაეცათ. კითხვები დეკლარაციული, პირობისეული და პროცედურული ტიპისაა:

- ვის მიაწერენ უფლისციხის დაარსებას?
- რა დანიშნულება ჰქონდა უფლისციხეს?

მასწავლებლებმა უნდა განვახორციელოთ კომპლექსური დავალებები, ამასთანავე, იმ გაკვეთილებზე, რომლებსაც კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას დავუთმობთ, გამოვიყენოთ მრავალფეროვანი სასწავლოსტრატეგიები, რომლებიც რამდენიმე მიზანს მოემსახურება.

- სად მდებარეობს უფლისციხე?
- საიდან გვაქვს ინფორმაცია უფლისციხის შესახებ?
- რა ინფორმაციას გვაწვდის უფლისციხის ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევები?
- რა პერიოდიდან ცხოვრობდნენ ნაქალაქარში ადამიანები?
- რა პერიოდიდან იწყება უფლისციხეში საცხოვრებლების გამოკვეთა?
- რა ენაზეა შესრულებული წარწერები უფლისციხეში აღმოჩენილ ჭურჭელზე?
- როგორ ფიქრობ, დარჩა თუ არა ხალხის მეხსიერებაში უფლისციხის ისტორია?
- როგორ ასახავ ნანახ ინფორმაციას ბუკლეტში?

ნანახის უკეთ გასააზრებლად გამოვიყენე სტრატეგია **„ორმაგი ჩანაწერების დღიური“**: მოსწავლეებს ვთხოვთ, გაიხსენონ ფაქტები ნანახი ვიდეოდან და სცადონ მათი შეფასება. ამ აქტივობით მოსწავლეები განივითარებენ ლოგიკური მსჯელობის, არგუმენტირების უნარს და დაუგროვდებათ მასალა კომპლექსური დავალებისთვის.

მოსწავლეებს ვთხოვე, რომ დამოუკიდებლადაც ენახათ ვიდეო და ეცადათ ახალი ფაქტების დაფიქსირება, რომლებსაც თავიანთ დავალებაში გამოიყენებდნენ.

ორმაგი ჩანაწერების დღიური

ფაქტი	შეფასება / დამოკიდებულება
1	
2	
3	

მომდევნო გაკვეთილზე ვიმუშავეთ გორის ციხესთან დაკავშირებულ ტექსტებზე. პირველი რესურსი გახლავთ ინფორმაცია გორის ციხის შესახებ, რომელსაც წაკითხულის უკეთ გასააზრებლად და მთავარი ფაქტების გამოსარჩევად დავურთეთ კითხვები.

- რამ დააზიანა გორის ციხე?
- რომელი მდინარე ამარაგებდა გორის ციხეს?
- როდის იხსენიება პირველად წყაროებში გორის ციხე?
- რომელ მეფეს უკავშირდება, ერთ-ერთი ვერსიით, გორის ციხის აგება?
- რომელმა ხალხმა აიღო გორის ციხე XIII საუკუნის ბოლოს?
- რატომ არ ელოდნენ ოსმალები სიმონ მეფისგან თავდასხმას?
- რა ხერხი იხმარა გივი ამილახვარმა ციხის ასაღებად?

ამავე გაკვეთილზე მოსწავლეებს შევთავაზეთ გორის ციხესთან დაკავშირებული ორი ლეგენდის წაკითხვა. ამჯერად გამოვიყენეთ სტრატეგია **„ორი ჭეშმარიტი, ერთი მცდარი“**. წაკითხული ტექსტებიდან მოსწავლეებს უნდა შეედგინათ ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი წინადადება. ეს წინადადებები მოსწავლეებმა შემთხვევითობის პრინციპით შემდეგ ერთმანეთს გაუცვალეს და სცადეს გამოეცნოთ, რომელი იყო მცდარი და რომელი – ჭეშმარიტი.

კომპლექსური დავალების პრეზენტაციის წინა გაკვეთილი სურამის ციხის რესურსებს დაეთმო. აქ გამოვიყენეთ როგორც ვიდეო, ასევე ტექსტიც სურამის ციხეზე. მოსწავლეებმა ჯერ ტექსტი გააანალიზეს კითხვებზე პასუხების მეშვეობით:

- სად მდებარეობს სურამის ციხე?
- როდის არის აშენებული სურამის ციხე?
- რომელი ქვეყნის მმართველმა ვერ აიღო სურამის ციხე?
- ვის დანებდა აჯანყებული გივი ამილახვარი?
- როგორ ფიქრობ, რატომ?

შემდეგ მათ შევთავაზე ვიდეორესურსი:
https://www.youtube.com/watch?v=L1EW9-87NNY.

მოსწავლეებს ვთხოვე, ყურადღება მიექციათ როგორც უკვე წაკითხული, ისე ახალი ინფორმაციისთვისაც. განსაკუთრებული ყურადღება სურამის ციხესთან დაკავშირებული ლეგენდისთვის მივაქცევინე. ვიდეოს ყურების შემდეგ მოსწავლეებს შევახსენე, რომ თავიანთ ნაშრომებში უნდა აესახათ ციხეებთან დაკავშირებული ლეგენდები. ერთ-ერთი გამორჩეული ლეგენდა სწორედ სურამის ციხეს უკავშირდება. გამოვიყენე სტრატეგია **„სწრაფი წერითი ჩანაწერი“**, მოსწავლეებს შევთავაზე ჩანაწერის პირველი წინადადება: „ამ ლეგენდის შესახებ ვფიქრობ, რომ...“ – და ვთხოვე, სამი-ოთხი წინადადებით დაეწერათ, რას ფიქრობდნენ ისინი ამ ლეგენდის შესახებ. შევახსენე, რომ აქ არ არსებობდა სწორი და არასწორი პასუხები და შეეძლოთ, დაეწერათ ნებისმიერი აზრი, რაც კი ლეგენდის გაცნობის შემდეგ მოუვიდათ (რატომ და როგორ გაჩნდა, რა იყო მართალი და რა – ტყუილი და ა.შ.).

ლელა მანგოშვილი

კომპლექსური დავალება „ცოდნა სინათლეა“

საკუთარი პოზიციის დასაბუთება

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გრძელვადიანი მიზნები ჩამოყალიბებულია საგნობრივი სამიზნე ცნებებისა და საფეხურის შედეგების სახით. დაწყებით საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში ერთ-ერთ სამიზნე ცნებად წარმოდგენილია „სიტყვა, წინადადება, ტექსტი“ (სიტყვიდან ტექსტამდე), რომელიც მუშავდება თემის ფარგლებში და მოიცავს სამეტყველო ქმედებას: თხრობას, აღწერას, შედარებას, დასაბუთებას.

თავის მხრივ, დასაბუთების შემადგენელი ნაწილები/ელემენტებია: მოსაზრება, ახსნა/არგუმენტი, განმამტკიცებელი მაგალით(ებ)ი.

გთავაზობთ კომპლექსური დავალების სარეკომენდაციო სცენარს სამიზნე ცნებისთვის: „სიტყვა, წინადადება, ტექსტი“.

ძირითადი რესურსი: ქართული ენა და ლიტერატურა, მე-3 კლასი, გამომცემლობა „ტრიასი“, ავტორები: ი. იაშვილი, ნ. მხეიძე, მ. აბესაძე.

დამატებითი რესურსები: ფორმატი, სქემები, გრაფიკული მაორგანიზებლები.

თემა: ცოდნა სინათლეა

თემაში გამოყენებული ტექსტები: ირინე იაშვილის „ყველაზე მნიშვნელოვანი რამ“, იგავი „სამი მოწაფე“, პლუტარქეს „მაკედონელი და ბუცეფალი“ (ხალხური „კაცი ფასდება ცოდნითა“ – დამატებითი საკითხავი).

სამიზნე ცნება: სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I). 4, 5, 6)

მკვიდრი წარმოდგენები: მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:

1. სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა.
2. შინაარსის გასამდიდრებლად, მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, მრავალფეროვანი სიტყვების გამოყენება.
3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.

ქვეცნება: დასაბუთება

საკითხი: საკუთარი პოზიციის დასაბუთება კონკრეტულ მოსაზრებასთან მიმართებით.

ქვესაკითხი: „ცოდნა უმნიშვნელოვანესი რამ არის ამქვეყნად“ – თვალსაზრისის დასაბუთება (პოზიცია, არგუმენტი, მაგალითი); დასაბუთების ენობრივი მახასიათებლები, მიზეზშედეგობრივი კავშირებისა და პირადი დამოკიდებულების გამომხატველი სიტყვები, პოზიცია, არგუმენტი.

საკვანძო კითხვები:

- როგორ დავასაბუთო წერილობით ჩემი პოზიცია (ვეთანხმები/არ ვეთანხმები), რომ ცოდნა მნიშვნელოვანია?
- რამდენად ამყარებს ჩემს პოზიციას მოყვანილი არგუმენტები და მაგალითები?

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გრძელვადიანი მიზნები ჩამოყალიბებულია საგნობრივი სამიზნე ცნებებისა და საფეხურის შედეგების სახით. დაწყებით საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში ერთ-ერთ სამიზნე ცნებად წარმოდგენილია „სიტყვა, წინადადება, ტექსტი“ (სიტყვიდან ტექსტამდე), რომელიც მუშავდება თემის ფარგლებში და მოიცავს სამეტყველო ქმედებას: თხრობას, აღწერას, შედარებას, დასაბუთებას.

კომპლექსური დავალება – საკუთარი პოზიციის დასაბუთება კონკრეტულ თვალსაზრისთან მიმართებით

წერილობით გადმოეცი შენი დასაბუთებული პოზიცია, ეთანხმები თუ არა თვალსაზრისს, რომ ცოდნა უმნიშვნელოვანესი რამ არის ამქვეყნად.

ნამუშევარში წარმოაჩინე:

- შენი პოზიცია, ეთანხმები თუ არა მოცემულ თვალსაზრისს (ს.3);
- პოზიციის დამადასტურებელი არგუმენტები და მაგალითები (ს. 2);
- მიზეზშედეგობრიობისა და პირადი დამოკიდებულების გამომხატველი რომელი სიტყვები და წინადადებები გამოიყენე დასაბუთებისას? (ს. 1, 2, 3).

შენიშვნა: კომპლექსური დავალების პირობაში, შეფასების კრიტერიუმებთან, ფრჩხილებში, შემოკლებით არის მითითებული სამიზნე ცნება: „სიტყვა, წინადადება, ტექსტი“ ანუ „ს“ და მისი მკვიდრი წარმოდგენები.

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

შენიშვნა: ნებისმიერი კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესს მასწავლებელი იწყებს კომპლექსური დავალების პირობისა და შეფასების კრიტერიუმების გაცნობით. ამის შემდეგ ყველა აქტივობას ის დაგეგმავს სამიზნე ცნების გრძელვადიანი მიზნის შესაბამისად, დაწყებიდან საბოლოო პროდუქტის შექმნამდე.

როგორც აღვნიშნე, შემოთავაზებული კომპლექსური დავალება მიემართება სამიზნე ცნებას **„სიტყვა, წინადადება, ტექსტი“**. ის უნდა დამუშავდეს თემის „ცოდნა სინათლეა“ ფარგლებში. მასწავლებელი ჯერ განახორციელებს სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტების გაგება-გააზრებისთვის შერჩეულ აქტივობებს, (ისევე, როგორც ამას გააკეთებდა სამიზნე ცნება „ტექსტზე“ მუშაობის დროს) სიღრმისეულად დაამუშავებინებს მოსწავლეებს ტექსტებს და შემდეგ დაიწყებს სამიზნე ცნება „სიტყვა, წინადადება, ტექსტზე“ მუშაობას, რომელიც იძლევა თემის ფარგლებში სხვადასხვა ლიტერატურულ ნაწარმოებზე, ფილმზე, პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით აქტივობათა განხორციელების საშუალებას.

იმავდროულად, მასწავლებელი ყველა გაკვეთილზე გააზრებინებს მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობასა და კრიტერიუმებს, რათა მათ გააცნობიერონ, რომ საბოლოო პროდუქტის შექმნის პროცესში თითოეული კრიტერიუმის გათვალისწინება მნიშვნელოვანია.

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- რას შეიძლება ნიშნავდეს სიტყვა „დასაბუთება“?
- გაიხსენეთ, რისი დასაბუთება გიწევთ თანატოლთან, მშობელთან, სკოლაში.
- რამდენად მოგიხერხებიათ თქვენი აზრის დასაბუთება?
- რას მოითხოვს თქვენგან ეს დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ მის შესასრულებლად?
- რისი შესწავლა დაგვჭირდება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. **ეთანხმები თუ არა მოცემულ თვალსაზრისს? რატომ ფიქრობ ასე? მოიყვანე შენი პოზიციის დამადასტურებელი არგუმენტები და მაგალითები (ს. 2, 3);**

ქვესაკითხები: „ცოდნა უმნიშვნელოვანესი რამ არის ამქვეყნად“ – თვალსაზრისის დასაბუთება (პოზიცია, არგუმენტი, მაგალითი);

აქტივობა 1. იდეების გენერირება იმის შესახებ, რატომ არის ცოდნა უმნიშვნელოვანესი რამ;

რესურსი: გონებრივი იერიშის რუკა;

ნებისმიერი კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესს მასწავლებელი იწყებს კომპლექსური დავალების პირობისა და შეფასების კრიტერიუმების გაცნობით. ამის შემდეგ ყველა აქტივობას ის დაგეგმავს სამიზნე ცნების გრძელვადიანი მიზნის შესაბამისად, დაწყებიდან საბოლოო პროდუქტის შექმნამდე.



აქტივობა 2. ანდაზების ამოღება ქისიდან, წაკითხვა, განმარტება და რვეულში ჩაწერა;

რესურსი 2. „ანდაზების ქისა“, რომელშიც მოთავსებულია მუყაოს ბარათებზე დაწერილი ანდაზები:

ცოდნა სამოთხეა, არცოდნა – ჯოჯოხეთია.

ცოდნა სინათლეა, უცოდინრობა – სიბნელეა.

სწავლა კაცს სიბერემდე არ მოსჭარბდებაო.

სწავლა ცოდნის თესლია და ცოდნა – ბედნიერებისაო.

აქტივობა 3. ლექსიკური ერთეულების **(პოზიცია, არგუმენტი, მაგალითი)** განმარტება.

რესურსი 3. ფორმატის/ფლიპჩარტის ქაღალდზე ან დაფაზე განთავსებული ლექსიკური ერთეულების **(პოზიცია, არგუმენტი, მაგალითი)** განმარტება.

პოზიცია	ვეთანხმები თუ არა მოცემულ მოსაზრებას.
არგუმენტი	ვასაბუთებ, რატომ ვფიქრობ ასე.
მაგალითი	მომყავს ტექსტიდან, ფილმიდან, ცხოვრებისეული სიტუაციიდან.

აქტივობა 4. **თამაში: პოზიცია, არგუმენტი, მაგალითი**

(მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს ანდაზას: „ცოდნა სინათლეა, უცოდინრობა – სიბნელე“ და სთხოვს, გამოხატონ საკუთარი პოზიცია, ეთანხმებიან თუ არა მოცემულ თვალსაზრისს. გაიხსენონ არგუმენტები და მაგალითები შესწავლილი ნაწარმოებებიდან, სხვა წიგნებიდან, ფილმებიდან ან საკუთარი გამოცდილებიდან).

გეზის მიმცემი შეკითხვები:

- რატომ არის მნიშვნელოვანი ცოდნის მიღება?
- რისი გაკეთება შეუძლია და როგორია ადამიანი, რომელსაც ცოდნა აქვს?
- რას ნიშნავს სიტყვა „პოზიცია“? სხვანაირად როგორ იტყვი?
- რატომ არის მნიშვნელოვანი არგუმენტის მოყვანა? მაგალითის მოყვანა?
- რატომ არის ცოდნა სინათლე და უცოდინრობა – სიბნელე?
- რას ნიშნავს „სწავლა კაცს სიბერემდე არ მოსჭარბდებაო“? „სწავლა ცოდნის თესლია და ცოდნა – ბედნიერებისაო“?
- გაიხსენე ხალხური ლექსი „კაცი ფასდება ცოდნითა“ – რა სარგებლობა მოაქვს ცოდნას და გამოცდილებას?

ნაბიჯი 2. **მიზეზშედეგობრიობისა და პირადი დამოკიდებულების გამომხატველ რომელ სიტყვებს და წინადადებებს გამოიყენებ დასაბუთებისას** (ს. 1, 2, 3)?

ქვესაკითხები: დასაბუთების ენობრივი მახასიათებლები, მიზეზშედეგობრივი კავშირებისა და პირადი დამოკიდებულების გამომხატველი სიტყვები.

აქტივობა 5. დასაბუთების ენობრივი მახასიათებლების გაცნობა/გაცნობიერება

ამ აქტივობით მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს და გააცნობიერებინებს, რომ:

ა) პოზიციის გამოხატვისას უნდა გამოიყენონ სიტყვები: „ჩემი აზრით, სწორია, რომ“, „მე ვფიქრობ“, „ვეთანხმები“, „არ ვეთანხმები“...
ბ) არგუმენტის ჩამოყალიბების დროს უნდა გამოიყენოს სიტყვები: „იმიტომ, რომ“, „იმის გამო, რომ“, „ამიტომ“...
გ) მაგალითის მოყვანისას გამოადგებათ სიტყვები: „მაგალითად“, „მაგალითად მოვიყვან“...

რესურსი 4. ენობრივი მახასიათებლების სქემა (დაწერილი ფორმატის/ფლიპჩარტის ქაღალდზე ან დაფაზე)

პოზიციის, დამოკიდებულების გამომხატველი სიტყვები	ჩემი აზრით... მე ვფიქრობ...
არგუმენტის ჩამოყალიბების დროს	იმიტომ, რომ... იმის გამო, რომ...
მაგალითის დასახელების დროს	მაგალითად... მაგალითისთვის მოვიყვან

გეზის მიმცემი შეკითხვები:

- რა სიტყვები გამოიყენება პოზიციის გამოსახატავად? (ჩემი აზრით, არასწორია.../ სწორია... მე ვფიქრობ, რომ სწორია... ვეთანხმები/ არ ვეთანხმები);
- დააკვირდით, რა სიტყვებია გამოყენებული არგუმენტებისთვის (იმიტომ, რომ...);
- დააკვირდით, რა სიტყვებია გამოყენებული მაგალითების მოყვანის დროს (მაგალითად...).

აქტივობა 6. მოსწავლეთა ანონიმურ ნამუშევრებზე დაკვირვება, მსჯელობით დასაბუთების მახასიათებლების დადგენა **„კი“** და **„არა“** მაგალითების მეთოდის გამოყენებით („კი“ მაგალითს ვუწოდებთ დასაბუთების კარგ მაგალითს, რომელშიც მოცემულია **პოზიცია, არგუმენტი და მაგალითი.** ხოლო „არა“ მაგალითს – დასაბუთების ცუდ მაგალითს, რომელსაც რომელიმე მათგანი აკლია);

რესურსი 5. მოსწავლეთა ანონიმური ნამუშევრებიდან შერჩეული ნიმუშები



აქტივობა 7. სქემის შევსება და მსჯელობა, დასკვნის გამოტანა (მასწავლებელი სვამს კითხვებს, მოსწავლეები პასუხობენ, ასახელებენ პოზიციის, არგუმენტისა და მაგალითების გამომხატველ წინადადებებს და სქემას ავსებენ ერთობლივად დაფაზე ან ფორმატის ქაღალდზე);

რესურსი 6. დაკვირვების სქემა ფორმატის/ ფლიპჩარტის ქაღალდზე ან დაფაზე (პოზიცია, არგუმენტი, მაგალითი ნიმუშებში)

	პოზიცია	არგუმენტი / არგუმენტები	მაგალითი / მაგალითები	რომელია ნიმუშია კარგი?
ნიმუში 1.	✓	✓	✓	✓
ნიმუში 2.	✓	✓	—	
ნიმუში 3.	✓	✓	—	

მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით გამოიტანენ **დასკვნას,** რომ პირველი ნამუშევარი არის სრულყოფილი დასაბუთება, რადგან გამოკვეთილია **პოზიცია, არგუმენტი და მაგალითი.**

მიუხედავად იმისა, რომ მეორე ნიმუშში სამი არგუმენტია მოყვანილი, მესამეში კი - ოთხი, მაგალითის გარეშე ვერცერთი ვერ ჩაითვლება სრულყოფილ დასაბუთებად.

შენიშვნა: მასწავლებელი კითხვებს დასვამს ყოველი მაგალითის განხილვისას.

გეზის მიმცემი შეკითხვები:

- არის თუ არა ეს დასაბუთების კარგი მაგალითი? რატომ ფიქრობ ასე?
- გამოთქმულია თუ არა პოზიცია?
- არის თუ არა ახსნილი, რატომ ფიქრობს ასე, ანუ მოყვანილია თუ არა არგუმენტი?
- მოყვანილია თუ არა კონკრეტული მაგალითი?
- გამოყენებულია თუ არა მიზეზშედეგობრიობის ან პირადი დამოკიდებულების აღმნიშვნელი სიტყვები? რომელი?
- რას ურჩევდი მოსწავლეს ხარვეზების გამოსასწორებლად?
- რა არის საჭირო იმისთვის, რომ დასაბუთების კარგი ტექსტი შევქმნათ?
- რა დასკვნა გამოიტანე, დასაბუთების რომელი ნიმუშია ყველაზე უკეთესი?

აქტივობა 8. ნიმუშის მიხედვით სქემის შევსება, როგორ ეხმარება ადამიანს შეძენილი ცოდნა კონკრეტულ სიტუაციაში.

რესურსი 7. სქემა, როგორ ეხმარება ადამიანს შეძენილი ცოდნა კონკრეტულ სიტუაციაში

ლიტერატურული პერსონაჟი / ფილმის გმირი / პირადი გამოცდილებიდან	რა გააკეთა?	როგორ დაეხმარა მიღებული ცოდნა?	როგორია პერსონაჟი?
ალექსანდრე მაკედონელი	ცხენი ადვილად დაიმორჩილა.	მიხვდა, რომ ცხენს თავისი ჩრდილის ეშინოდა და მზისკენ შეაბრუნა, რომ ჩრდილი არ დაენახა.	დაკვირვებული, ჭკვიანი, განათლებული, მცოდნე

აქტივობა 9. მოსწავლეთა მიერ წერილობითი ტექსტის შექმნა, რომლითაც დაასაბუთებენ საკუთარ პოზიციას მოცემულ თვალსაზრისთან დაკავშირებით – „ცოდნა უმნიშვნელოვანესი რამ არის ამქვეყნად“ – და არგუმენტებითა და მაგალითებით გაამყარებენ.

აქტივობა 10. პირველადი ვარიანტის შეფასება-გაუმჯობესება კრიტერიუმებზე დაყრდნობით, საბოლოო ვარიანტის შექმნა და წარდგენა.

რესურსი 8. კრიტერიუმები ნამუშევართა შეფასებისთვის (ფორმატის/ფლიპჩარტის ქაღალდზე ან დაფაზე გაწერილი)

- გამოკვეთილი გაქვს თუ არა შენი პოზიცია (ეთანხმები თუ არა გამოთქმულ თვალსაზრისს)?
- გაქვს თუ არა არგუმენტი (რატომ ფიქრობ ასე)?
- გაქვს თუ არა მოყვანილი არგუმენტის შესაბამისი მაგალითები?
- გაქვს თუ არა გამოყენებული მიზეზშედეგობრიობის (რადგან, ამიტომ; იმიტომ, რომ) ან

გეზის მიმცემი შეკითხვები:

- გაიხსენე, როგორ გამოიყენეს ცოდნა კონკრეტულ სიტუაციებში ადამიანებმა, როგორ დაეხმარა ალექსანდრე მაკედონელს ცხენის დამორჩილებაში მისი თვისებების ცოდნა. ეს არგუმენტია თუ მაგალითი?
- რომელი ლიტერატურული ნაწარმოები, ფილმი ან ცხოვრებისეული ეპიზოდი გახსენდება მოცემულ მოსაზრებასთან დაკავშირებით?

პირადი დამოკიდებულების (ჩემი აზრით, მე ვფიქრობ...) აღმნიშვნელი სიტყვები?

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი კითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:



- როგორი აგებულება აქვს შენს დასაბუთებას, გაქვს თუ არა მაგალითები შენი პოზიციის დასადასტურებლად?
- რამდენად ამყარებს შენ მიერ მოყვანილი არგუმენტები და მაგალითები შენს პოზიციას?
- რა ენობრივი საშუალებებით (რა სიტყვებით, ფრაზებით) გამოხატე მიზეზშედეგობრიობა?
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი ტექსტი ნამდვილად დასაბუთებაა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- ვისთან ერთად იმუშავე კომპლექსურ დავალებაზე? რით და როგორ დაეხმარეთ ერთმანეთს?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

მაია ფირჩხაძე

ეკა ჭკუასელი

ქართული ენისა და ლიტერატურის და ისტორიის ინტეგრირებული გაკვეთილი

„მეორე ქართლის“ შექმნა – საზოგადოებრივი მოძრაობა თუ კერძო ინიციატივა?

მოსწავლეთა ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარებისთვის ინტეგრაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რაც იმით აიხსნება, რომ თანამედროვე მეცნიერებაში ძლიერდება ცოდნის სინთეზის, შემეცნებისა და შემეცნების ობიექტის ერთობის გამჟღავნების ტენდენცია. შესაბამისად, სასწავლო პროცესში განსაკუთრებული დატვირთვა ეძლევა სისტემური აზროვნების განვითარებას, საკუთარი ცოდნის შევსების უნარს, რომლითაც იხელმძღვანელებს მოსწავლე სირთულის, ენობრივი და სოციალურ-კულტურული ორიენტაციის სხვადასხვა დონის ინფორმაციის ნაკადში.

ცოდნის ტრანსფერის საუკეთესო საშუალება ინტეგრირებული გაკვეთილია. ამ დროს მოსწავლე ერთი საგნის წინარე ცოდნას მეორე საგნის ასათვისებელი მასალის საფუძვლად იყენებს. ინტეგრაციისა და სისტემური აზროვნების გამოყენებისას მოსწავლე თავად იწყებს ფიქრს, გაცილებით ფართოდ ხედავს შესასწავლ საკითხს, სწორად აღიქვამს კონტექსტს, სიღრმისეულად აანალიზებს მოვლენებს, აკვირდება, აყალიბებს ჰიპოთეზას, ადარებს ფაქტებს ერთი და იმავე ფენომენების, მოვლენების შესახებ, ხედავს მიზეზშედეგობრივ კავშირებს, მოჰყავს მტკიცებულებები და გამოაქვს დასკვნები, იყენებს ურთიერთთანამშრომლობით გამომუშავებულ დასწავლის უნარს.

ტრანსფერული ცოდნისა და უნარების გააქტიურებას ხელს უწყობს სამიზნე ცნებებსა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე ორიენტირებაც და, საზოგადოდ, კომპლექსური ხასიათის დავალებები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, თავისი ხასიათით ინტეგრირებული დავალებებია.

აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია პრაქტიკული აქტივობების ისე დაგეგმვა და განხორციელება (სხვადასხვა საგნობრივი დისციპლინის მიმართულებით), მათ შორის – კომპლექსური დავალების შესრულებაც, რომ მოსწავლემ თვალსაჩინოდ დაინახოს ტრანსფერული ცოდნისა და უნარების მნიშვნელობა და გააუმჯობესოს კიდეც ეს ცოდნა და უნარები.

ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრირების ფორმებიდან უმთავრესად გავრცელებულია **ინტრადისციპლინური** მოდელი (კავშირე-

ტრანსფერული ცოდნისა და უნარების გააქტიურებას ხელს უწყობს სამიზნე ცნებებსა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე ორიენტირებაც და, საზოგადოდ, კომპლექსური ხასიათის დავალებები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, თავისი ხასიათით ინტეგრირებული დავალებებია.

ბი ერთ დისციპლინაში შემავალ საგნებს შორის). შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა **ინტერდისციპლინურ ინტეგრაციას** (ის ერთგვარად თავს უყრის ცალკეულ დისციპლინებს საერთო თემის, საკითხის ან პრობლემის შესწავლის მიზნით), რომელიც ძალიან საინტერესო და საჭიროა როგორც მოსწავლეთათვის, ისე პედაგოგებისთვისაც.

ინტერდისციპლინური ინტეგრაცია გულისხმობს სწავლებაში მულტიდისციპლინური მიდგომის გამოყენებას, თემატურ კავშირს ისეთ საგნებს შორის, რომლებსაც აერთიანებს საერთო თემა, უნარები ან დამოკიდებულებები. შესაბამისად, პრაქტიკული თვალსაზრისით, **თემატური და პრობლემური ინტეგრაცია ინტეგრაციის ძალიან საინტერესო ტიპებია.** მათ ეფექტურობას განაპირობებს ისიც, რომ:

- **თემატური ინტეგრაციის** დროს ორი ან მეტი საგანი ერთ საერთო საკითხს/თემას განიხილავს. ამ დროს ხდება ერთგვარი „ალტერნატიული დახასიათება", რომელიც ინტეგრაციის ამ ფორმას განსაზღვრავს როგორც ილუსტრაციულ-აღწერილობით დონეს;
- **პრობლემური ინტეგრაციის** დროს კი სხვადასხვა საგანს ვიყენებთ ერთი საერთო პრობლემის შესწავლის მიზნით. ამ დროს მოსწავლეები მნიშვნელოვან შედეგებზე გადიან.

ამ გზით **მოსწავლეები შეიმეცნებენ, რომ ცალკეული სასწავლო საგნები სხვა არაფერია, თუ არა განსხვავებული თვალსაზრისები რეალურად არსებულ შესასწავლ ობიექტებზე.**

განვიხილოთ კონკრეტული ნიმუში ქართული ენისა და ლიტერატურის და ისტორიის სწავლების მაგალითზე, სადაც **პირველ ეტაპზე,** ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის შესწავლისას, მოსწავლეები წამოჭრიან პრობლემას, რომლის გადაჭრისა და შესრულების გზებს ძირითადად აგნებენ ისტორიის საგნობრივი დისციპლინიდან მიღებული ცოდნის საფუძველზე, მერე კი, **მეორე ეტაპზე,** საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლის ისტორიული პერიპეტიების შესასწავლად იყენებენ ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებიდან და საკუთარი პროდუქტის შექმნისას მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას.

I ეტაპი

კლასი: მე-10

საგანი: **ქართული ენა და ლიტერატურა / საქართველოს ისტორია**

თემა: **„მეორე ქართლის" შექმნა – საზოგადოებრივი მოძრაობა თუ კერძო ინიციატივა საქართველოს გაერთიანებისათვის?"**

ქართული ენა და ლიტერატურა: **სამიზნე ცნება – ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი**

შედეგი (1, 4, 6, 7; 1, 3, 4, 6, 7, 4, 6, 7, 2, 5); მუშაობისას მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ: კომპოზიცია/ შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა; ტექსტთან დაკავშირებული იდეები და ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით; ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება; შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის გააზრება და ინტერპრეტირება; მიზნის შესაბამისი ტექსტების შედგენა; **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების** ცოდნა მნიშვნელოვანია მწერლის ენის, გრძნობების, გამოცდილების, დამოკიდებულებების, განწყობისა და მოსაზრებების ამოცნობისთვის; **კონტექსტის წაკითხვა** გარემოს, ფონის (სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა) დასადგენად, ტექსტის მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.

ქართული ენისა და ლიტერატურის და ისტორიის მასწავლებლების აქტივობები:

1. **გონებრივი იერიში შესასწავლი თემის ირგვლივ ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით** (პასუხი კითხვებზე – „რა იცით..."

რა ვიცი

სქემა 1.

„საიდან იცით...“ „როგორ მოხდა...“ „რა პრობლემები (სტრატეგიული, ეკონომიკური, კულტურული) წარმოშვა...“ „აღნიშნული საზოგადოების ძირითადი მახასიათებლებია...“ „რა მი-ვიღეთ შედეგად...“ „როგორ მოიქცეოდი...“ და ა.შ.)

პასუხების მიხედვით მოსწავლეები ავსებენ სქემას „რა ვიცი?“ (იხ. სქემა 1)

2. **ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების** – „აბოს წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ – **გაცნობა** (იხ. სახელმძღვანელო)

ა) **ტექსტების დამუშავება კოგნიტიური სქემებით** – პერსონაჟის რუკის, აღწერითი, დროითი, ეპიზოდის და პროცესის/მიზეზშედეგობრიობის პარადიგმების გამოყენებით (იხ. სქემა 2)



პერსონაჟის რუკა

საათი – მოვლენათა თანმიმდევრობა



დროითი თანმიმდევრობის პარადიგმა

ქრონოლოგიის დადგენა და დანახვა



აღწერითი პარადიგმა

ფაქტები კონკრეტული ადამიანების, ადგილების, საგნების და მოვლენების შესახებ



პროცესის/მიზეზ-შედეგობრივი პარადიგმა

„ეს მოვლენა მოხდა იმიტომ, რომ...“

მოვლენის აღწერა



ეპიზოდის პარადიგმა

მოვლენა – სად? როდის? რატომ?.. კონკრეტული მიზეზი/შედეგით

სქემა 2.

სასწავლო პროცესში განსაკუთრებული დატვირთვა ეძლევა სისტემური აზროვნების განვითარებას, საკუთარი ცოდნის შევსების უნარს, რომლითაც იხელმძღვანელებს მოსწავლე სირთულის, ენობრივი და სოციალურ-კულტურული ორიენტაციის სხვადასხვა დონის ინფორმაციის ნაკადში.

ბ) **მუშაობა ისტორიულ რუკებზე და სქემა 2-ის შევსება დამატებითი ინფორმაციით:**

რუკების გასიტყვება – „საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეები“ (http://saunje.ge/index.php?id=109), „ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები“ (https://upload.wikimedia.org/wikipedia/ka/1/1f/Arhitectural_monuments_of_Tao-Klarjeti_map.png), „ისტორიული მესხეთის მხარეები VIII-X საუკუნეებში“ (https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98);

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებიდან მიღებული ინფორმაციის დაკავშირება რუკებიდან მიღებულ ინფორმაციასთან (ისტორიული მხარეები; ისტორიული ძეგლები; გზათა სისტემა; ადმინისტრაციული ცენტრები; ტერიტორიული ერთეულები);

გ) **დასკვნების გამოტანა თემაზე: „მეორე ქართლის“ შექმნა – საზოგადოებრივი მოძრაობა თუ კერძო ინიციატივა?“ – რუკების, ისტორიული და ჰაგიოგრაფიული ტექსტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და პირადი დამოკიდებულებების ჩამოყალიბება**

დ) **მოსწავლეთა მუშაობა კოგნიტიურ სქემაზე „რა მინდა ვიცოდე“** (სქემა 3)

2. **გაწეული სამუშაოების შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ კომპლექსური ხასიათის შემაჯამებელ დავალებას.**

დავალებაზე მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური/წყვილებში/ჯგუფებში

შეფასების სისტემა: Solo ტაქსონომია

დავალების მიზანი: მოსწავლემ გამოკვეთოს მნიშვნელოვანი ცნობები ისტორიულ პირთა შესახებ; გაიაზროს VIII-IX საუკუნეების საქართველოს ისტორიული ვითარება და ამ რეალობაში გრიგოლ ხანძთელის (და მასთან დაკავშირებული სხვა პირების) მოღვაწეობის მნიშვნელობა; გამოკვეთოს მოსწავლეთა დამოკიდებულება ტექსტში წარმოჩენილი იმ მარადიული ფასეულობებისადმი, რომლებიც დღესაც აქტუალურია.

კომპლექსური დავალების შესასრულებლად საჭირო რესურსები:

1. გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. თბ., 1963 წ. 2. სუმბატ დავითის ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“. თბ., 1955 წ. (www.amsi.ge/istoria/qc/)
2. უცნობი ავტორი, „მატიანე ქართლისა“, თბ., 1955 წ. (www.amsi.ge/istoria/qc/)
3. კ. კეკელიძე, „წამება წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტ სისა ჰაბო სი, რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა ტფილისს, ელითა სარკინოზთა თა, გამოთქმული იოვანე, ძისა საბანისი. ბრძანებითა ქრისტ ს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისა თა“. „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (V-X ს.ს.)“, წიგნი I, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963 წ., გვ. 46-81
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II (https://javakhishviliinstitute.files.wordpress.com/2009/04/2tomi.pdf)
5. რევაზ ბარამიძე, ეროვნული ცნობიერების საკითხი გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. „ლიტერატურული ძიებანი“ („Literary Researches“), ტ. XX, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 1999 (http://www.nplg.

სქემა 3.

რა ვისწავლე

სქემა 4.

რა მინდა ვიცოდე

gov.ge/greenstone3/library/collection/period/document/HASH8dc292d6faea5679f9ecae;jsessionid=D86771D1D01A00AA3DA6DCA9A7E48722?ed=1)

6. პავლე ინგოროყვა, „გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა: ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან“. თბილისი, საბჭ. მწერალი, 1954
7. საქართველოს ისტორია, მე-10 კლასი. მასწავლებლის წიგნი (ავტორი: ნიკოლოზ გურგენიძე). გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2022 წელს
8. ქართული ენა და ლიტერატურა, X კლასი. ავტორები: ვ. როდონაია, მ. გიგინეიშვილი, ლ. გრიგალაშვილი, ა. არაბული. გამომცემლობა „სწავლანი“, 2022
10. ქართული ენა და ლიტერატურა, ძველი ქართული მწერლობა, მასწავლებლის წიგნი, I ნაწილი. ავტორები: მარინე ხუციშვილი, ნინო ნაკუდაშვილი. გამომცემლობა „სწავლანი“, 2022

კომპლექსური დავალების პირობა:

საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური ცენტრი ქართლი მე-7 საუკუნეში არაბებმა დაიპყრეს. მეფობამოშლილ და განადგურებულ ქვეყანაში არაბებმა თბილისის საამირო დააარსეს. ქართლმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა, ხოლო მთელმა ქვეყანამ – უმნიშვნელოვანესი ცენტრი.

თუ ქართველობას სურდა თავისი კულტურული სახის შენარჩუნება, უნდა შეექმნა ქართლის ნაცვალი ანუ ცენტრი, რომელიც ქართლის მაგივრობას იკისრებდა.

წარმოიდგინეთ, რომ შუა საუკუნების ქრონიკიერი ხართ და „მეორე ქართლის“ ანუ ქართლის ნაცვალის შექმნის ისტორიისთვის მასალებს აგროვებთ. წიგნსაცავში მუშაობისას გაგიჩნდათ კითხვა: ეს მოძრაობა ოთხი კაცის (გრიგოლ ხანძთელი, საბა იშხნელი, თეოდორე და ქრისტეფორე) მიერ იყო წამოწყებული თუ არსებობდა ცენტრი/სკოლა/საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელთან შეთანხმებითაც მოქმედებდა ყველა ღირსეული მამულიშვილი?

როგორ და რატომ იქმნებოდა „მეორე ქართლი“.

მოგონებების საფუძველზე შეადგინეთ კრებული „მეორე ქართლის შემქმნელთა ნაკვალევზე”.

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრეთ:

ა) რა მოგცათ ამ მასალაზე მუშაობამ?
ბ) თავიდან რომ აკეთებდეთ, რას შეცვლიდით?

მოსწავლეებმა შეასრულეს დავალებები და შექმნეს საინტერესო პროდუქტები – მოგონებების კრებული „მეორე ქართლის შემქმნელთა ნაკვალევზე“.

ინტეგრირებული გაკვეთილის ამ ფორმით ჩატარებამ დაადასტურა, რომ ისტორიასა და

კრებული „მეორე ქართლის შემქმნელთა ნაკვალევზე” (ჰიპერბმულები)

ამ მიზნით ვირტუალურ მაგიდასთან მოიწვიეთ არაბთა საფრთხით შეშფოთებული ქართველები (ნერსე ერისთავი, იოვანე საბანისძე, აბო თბილელი, ამოტ კურაპალატი, გრიგოლ ხანძთელი, საბა იშხნელი, თეოდორე, ქრისტეფორე, აფხაზთა მეფე დემეტრე, გაბრიელ დაფანჩული) და შეეცადეთ, მათი მონათხრობის მიხედვით თვალი მიადევნოთ, ლიტერატურაში **შესასწავლი თემის მიმართ ინტეგრირებული მიდგომა და** საერთო/მომიჯნავე საკითხების ფრაგმენტული დანაწევრება ამცირებს დისციპლინის შესწავლისთვის განსაზღვრულ დროს, **ხელს უწყობს** მოსწავლეებში საქართველოს ისტორიის როგორც მთლიანობის აღქმის ჩამოყალიბებას, მოსწავლეთა ცნობიერების განვითარებას და ცოდნის ტრანსფერს.

ნინო ლომიძე

ძალადობა და მოქმედების გზები – ლიტერატურა როგორც გზამკვლევი კონფლიქტურ სიტუაციებში

მასწავლებელმა განსახილველად შეიძლება შეარჩიოს მხატვრულ ტექსტში გადმოცემული ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაცია. თუ კონფლიქტი ჩხუბითა და აყალმაყალით, ძალადობით დასრულდა, ისმის კითხვა: როგორ შეიძლებოდა უსიამოვნო შედეგის თავიდან აცილება? რა შეიძლებოდა მოემოქმედებინა გმირს იმისთვის, რომ ფიზიკური შეხლა-შემოხლა აერიდებინა?

სასკოლო ლიტერატურის კურსში არის ტექსტები, რომლებშიც კონფლიქტური ან ძალადობის შემცველი სიტუაციებია ასახული.

ამგვარი სიტუაციების მონაწილე პერსონაჟთა ხასიათსა და ქცევაზე, მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და დამდგარ შედეგებზე დაკვირვება შეიძლება საინტერესო მსჯელობის საგნად იქცეს.

ამ სტატიაში კონფლიქტის არაძალადობრივი გზით მოგვარებასა და სათანადო ქმედებებს შევეხებით, გზებს, რომელთა მოსწავლეებისთვის გაცნობა ლიტერატურის გაკვეთილებზეა შესაძლებელი თემატური ტექსტების გამოყენებით.

მასწავლებელმა განსახილველად შეიძლება შეარჩიოს მხატვრულ ტექსტში გადმოცემული ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაცია. თუ კონფლიქტი ჩხუბითა და აყალმაყალით, ძალადობით დასრულდა, ისმის კითხვა: როგორ შეიძლებოდა უსიამოვნო შედეგის თავიდან აცილება? რა შეიძლებოდა მოემოქმედებინა გმირს იმისთვის, რომ ფიზიკური შეხლა-შემოხლა აერიდებინა?

საკუთრივ შინაარსობრივი პლასტის გაგება-გააზრების დონის კითხვების დამუშავების შემდეგ სასურველია, წაკითხულის ტრანსფერს (ერთგვარ სიტუაციაში ნასწავლის სხვაგვარ, განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენების სტიმულირებას) შევუწყოთ ხელი. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ, თავიანთ ცხოვრებისეულ სიტუაციებს მოარგონ ნასწავლი და ამ გზაზე ძალიან დაეხმარებათ იმის გაცხადება, რას ფიქრობენ ამა თუ იმ მწვავე საკითხის შესახებ.

ტექსტის შინაარსის გაგებისა და გააზრების შემდეგ სამუშაო ნაბიჯები:

1. **წარმოიდგინე, რომ მოცემული სიტუაცია შენ თვალწინ ხდება.**

- რა გზას გამონახავდი კონფლიქტის არაძალადობრივი გზით მოსაგვარებლად? შენი აზრით, როგორ განვითარდებოდა მოვლენები?
- რა სახიფათო შედეგები შეიძლება მივიღოთ ძალადობით კონფლიქტური სიტუაციის მოგვარების მცდელობისას?

ამ საკითხებზე მოსაზრების ჩამოყალიბებისა და გამოხატვისთვის მოსწავლეებს გარკვეული დრო უნდა მიეცეთ. ამ ეტაპზე სასურველია მათი დაწყვილება ან დაჯგუფება. ჯგუფში ან მეწყვილესთან მეტად მოსალოდნელია, რომ ისინი ღიად შეძლებენ მოსაზრების გამოხატვას.

ჯგუფსა და წყვილებს მოსაზრებების კლასისთვის გაზიარების საშუალებაც უნდა მიეცეთ. ამისთვის ერთ-ერთმა წევრმა უნდა შეაჯამოს განხილული და კლასის წინაშე წარმოადგინოს.

ამ პროცესს შემაჯამებელი მსჯელობა მოჰყვება.

სამსჯელო თემა (მოცემული თეზისი სანიმუშოა, მასწავლებელს შეუძლია, კლასში ჩატარებულ სამუშაოს მოარგოს სამსჯელო ციტატა):

„უტყვი და უმოქმედო მოწმეების თანხმობით ხდება ამქვეყნად ყველაზე მეტი ბოროტება“ .

- შენი აზრით, რა იგულისხმება ამ გამოთქმაში?
- შესწავლილთაგან რომელ ნაწარმოებებს გაიხსენებდი მოსაზრების საილუსტრაციოდ?
- შენი პირადი ცხოვრებიდან, გამოცდილებიდან თუ შეგიძლია გაიხსენო რაიმე ფაქტი, როდესაც შეესწარი უსიამოვნებას, ძალადობას? რა განცდა დაგეუფლა? რა იფიქრე? რა მოიმოქმედე, თუ მოქმედება გადაწყვიტე?

შემაჯამებელი მსჯელობის წარმართვის პროცესში მასწავლებლის ამოცანაა, შექმნას კეთილგანწყობილი, ღია გარემო. არ არის რეკომენდებული, მან ღიად გამოხატოს საკუთარი პოზიცია, მაგრამ გამოთქმული თვალსაზრისების დამადასტურებელი არგუმენტების დამაჯერებლობის კომენტირება სასურველია. უნდა შეფასდეს არა პოზიცია და თვალსაზრისი, არამედ არგუმენტი, დასაბუთების მცდელობა. ეს მასწავლებელს საშუალებას მისცემს, დააკვირდეს და გააანალიზოს მოსწავლეთა აზროვნება, ხასიათი, ემოციების მართვის უნარი.

საკითხები, რომლებიც მასწავლებელმა უნდა დაამუშაოს:

- რას ფიქრობენ მოზარდები ძალადობის არაკონფლიქტური გზით მოგვარებაზე?
- რამდენად ფლობენ ინფორმაციას იმაზე, როგორ უნდა მოიქცნენ არაკონფლიქტურ სიტუაციაში?

შემაჯამებელი მსჯელობის წარმართვის პროცესში მასწავლებლის ამოცანაა, შექმნას კეთილგანწყობილი, ღია გარემო. არ არის რეკომენდებული, მან ღიად გამოხატოს საკუთარი პოზიცია, მაგრამ გამოთქმული თვალსაზრისების დამადასტურებელი არგუმენტების დამაჯერებლობის კომენტირება სასურველია. უნდა შეფასდეს არა პოზიცია და თვალსაზრისი, არამედ არგუმენტი, დასაბუთების მცდელობა. ეს მასწავლებელს საშუალებას მისცემს, დააკვირდეს და გააანალიზოს მოსწავლეთა აზროვნება, ხასიათი, ემოციების მართვის უნარი.

აღმოჩენილან თუ არა თავად მსგავს ვითარებაში?

მნიშვნელოვანი ორიენტირები მასწავლებლისთვის

თითოეულ ადამიანს აქვს ძალა და შესაძლებლობა, სასიკეთო გავლენა მოახდინოს კონკრეტულ სიტუაციაზე, შეცვალოს ის უკეთესობისკენ, დაეხმაროს იმას, ვისაც დახმარება სჭირდება.

ეს მნიშვნელოვანი უნარია.

ისეც ხდება, რომ ადამიანები თვალს ხუჭავენ და გარიდებას, გაცლას, ჩაურევლობას ამჯობინებენ, თუ ძალადობას ან უსიამოვნო სიტუაციას შეესწრნენ.

ჩვენს ყოველდღიურობაში არაერთხელ გავმხდარვართ ან გავხდებით უსიამოვნო ფაქტის შემსწრე. ეს შეიძლება მოხდეს ნებისმიერ ადგილას – ქუჩაში, სკოლაში, ტრანსპორტში. ხშირია ვირტუალური ძალადობის ფაქტები სოციალურ ქსელში.

უტყვი და უმოქმედო მოწმე ისაა, ვინც ასეთ სიტუაციაში უმოქმედობას გადაწყვეტს, არც სიტყვით და არც ქმედებით არ ჩაერევა.

მოვლენების განვითარების ერთი შესაძლებლობაა თანამონაწილეობა.

თანამონაწილე ისაა, ვინც სიტყვით, კომენტარით, შემაგულიანებელი წამოძახილით ან ფიზიკურად მხარს დაუჭერს მოძალადეს და, შესაბამისად, მონაწილეობასაც მიიღებს ძალადობაში.

არიან ადამიანები, რომლებიც გადაწყვეტენ ძალადობის აღკვეთას და ხელს შეუშლიან მოძალადეს, მხარს დაუჭერენ იმას, ვისაც დახმარება სჭირდება.

როგორ შეიძლება ამის გაკეთება?

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია უსაფრთხოებაზე ზრუნვა. საკუთარი უსაფრთხოების დაცვა ნიშნავს კონკრეტულ სიტუაციაზე დაკვირვებით ისე მოქმედებას, რომ საფრთხე არ შეექმნას ჩვენს სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც მოძალადე ფიზიკურად ძლიერია, შეირაღებულია ან სახიფათოა, პირდაპირი ჩარევა არ ღირს. ასეთ დროს დასახმარებლად უნდა მივმართოთ შესაბამის სამსახურს (112, მასწავლებელი, უფროსი ადამიანი, პოლიციელი...).

ზოგიერთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია სიტყვიერი ჩარევა. მოძალადისთვის იმის ხაზგასმით თქმა, რომ მისი საქციელი მიუღებელია (კონკრეტული სახელდება იმისა, რასაც აკეთებს მოძალადე. მაგალითად, „შენ აწვალებ ძაღლს. ასე არ შეიძლება. დაანებე თავი!“. „მე ვხედავ, რასაც აკეთებ და ეს არ არის სწორი. ახლავე შეწყვიტე!“).

თუ ინტერნეტსივრცეში იგდებენ ვინმეს აბუჩად, აქაც მნიშვნელოვანია საკუთარი პოზიციის მტკიცედ, მკაფიოდ გამოხატვა, კომენტარის დატოვება, რომელშიც პირდაპირ იქნება ნათქვამი, რომ ვისიმე სიტყვიერი შეურაცხყოფა, აბუჩად აგდება არ შეიძლება.

მოძალადე, რომელსაც მიუთითებენ, რომ მისი საქციელი მიუღებელია, არ გრძნობს გარემოცვის მხარდაჭერას და მეტად მოსალოდნელია, ძალადობა შეწყვიტოს.

ინა იმედაშვილი

ერთი აქტივობა
სხარტი მეტყველებისა და წერის სწავლებისთვის

ქართულის მასწავლებლებს დიდი შრომა უწევთ მოსწავლეებთან მეტყველებასა და წინადადების აგებაზე, წერით მეტყველებასა და გრძელი სათქმელის მოკლედ ჩამოყალიბებაზე. ქვემოთ მოცემული ერთი ტექნიკა, ვფიქრობ, დაეხმარება მათ, ბავშვებს კი მოტივაციას და ხალისს შემატებს და ერთ ქართულ იდიომასაც გააზრებინებს.

პირველ რიგში, გთავაზობთ პატარა ტექსტს:

ალბათ გქონია შემთხვევა, როდესაც შენს მოსწრებულ და სხარტ პასუხებს მსმენელი გაუოცებია, გრძელი სიტყვა მოკლედ გითქვამს და შენთვის გამჭრიახიც უწოდებიათ.

როდესაც აზრს მოკლედ გამოთქვამ, სათქმელს მკაფიოდ, სხარტად აყალიბებ, ლაკონიის მცხოვრებლებს ემსგავსები, სწორედ მათ, ვისი გამჭრიახობის ამბავმაც საუკუნეები გადმოლახა, ჩვენამდე მოაღწია და დღეს მოკლე, აზრიან, მოხდენილ, სხარტ ნათქვამს ლაკონიურს უწოდებენ.

უამრავი წლისა და საუკუნის წინ, ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე, საბერძნეთის ერთ-ერთ მხარეს ლაკონია რქმევია, მის ცენტრს კი სპარტა.

სპარტა ალბათ გაგიგონია – ის განთქმული იყო „სპარტული აღზრდის“ განსაკუთრებული მეთოდებით. ამ მეთოდებით 7-8 წლიდან იზრდებოდნენ ვაჟები – მათ ფიზიკურად წვრთნიდნენ, სამხედრო ხელოვნებას, წერა-კითხვას, საგუნდო სიმღერას, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრას და, რაც უნდა საოცრად ჟღერდეს, ლაკონიურად საუბარს ასწავლიდნენ.

ერთხელ თურმე სპარტელებს ფილიპე მაკედონელი დამუქრებიათ, თუ მანდ მოვედი, დაგამარცხებთ და გაგანადგურებთო. ლაკონიელებს პასუხად მიუწერიათ: „თუ!“

დღეს სპარტულ აღზრდას უწოდებენ მკაცრ აღზრდას, რომელიც ფიზიკურ ძალას და ხასიათის სიმტკიცეს აყალიბებს, ხოლო ლაკონიურ მეტყველებას – მოკლე, სხარტ პასუხებს.

ლექსიკონი

სხარტი – სწრაფი, მოკლე, გონივრული.
წვრთნა – ადამიანის ან ცხოველის მეცადინეობა, აქტივობა, რის შემდეგაც მას უყალიბდება ესა თუ ის ჩვევა, განსაზღვრული მოქმედების წარმატებით შესრულების უნარი.

მოდი, მიბაძე ლაკონიელებს და შენი ბიოგრაფია სულ სამი წინადადებით გადმოეცი, დაწერე ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია შენს ცხოვრებაში. დაურთე შენი ავტოპორტრეტიც.

შეეცადე, ლაკონიურად, მოკლედ, სხარტად ჩამოაყალიბო საბავშვო მოთხრობებიდან ამოღებული ამონარიდების შინაარსი, წარმოიდგინე, როგორ მოჰყვებოდნენ ამ ყველაფერს ლაკონიელები:

„და, რადგანაც გული ადამიანისა ბუდეა სიყვარულისა, ბებია კატოს ფართო გულშიაც უშველებელი, დიდი, უსაზღვრო სიყვარული იყო დაბუდებული, იმას უყვარდა ყველა არსება: კაცი, ქალი, ბებერი, ნორჩი და შუათანა, გლეხი, მდიდარი, უშნო, ლამაზი ბებიას გულში თავ-თავისს შესაფერის ბინას ჰპოვებდნენ, მაგრამ გაცილებით მეტად ბებია კატოს ბავშვები უყვარდა:

ქართულის მასწავლებლებს დიდი შრომა უწევთ მოსწავლეებთან მეტყველებასა და წინადადების აგებაზე, წერით მეტყველებასა და გრძელი სათქმელის მოკლედ ჩამოყალიბებაზე. ქვემოთ მოცემული ერთი ტექნიკა, ვფიქრობ, დაეხმარება მათ, ბავშვებს კი მოტივაციას და ხალისს შემატებს და ერთ ქართულ იდიომასაც გააზრებინებს.

როდესაც აზრს მოკლედ გამოთქვამ, სათქმელს მკაფიოდ, სხარტად აყალიბებ, ლაკონიის მცხოვრებლებს ემსგავსები, სწორედ მათ, ვისი გამჭრიახობის ამბავმაც საუკუნეები გადმოლახა, ჩვენამდე მოაღწია და დღეს მოკლე, აზრიან, მოხდენილ, სხარტ ნათქვამს ლაკონიურს უწოდებენ.

პაწაწინები, უმანკოები, მომავლის კოკრად გაჩენილები“ /ე. გაბაშვილი. „ბებია კატო“/.

„ულრანს ტყეში მოსული ვარ... მანამ ცოცხალი ვარ, ჩემის სილამაზით დავატკბობ ტყეს, ბალახს და იმ გაღმიდამ გამომცქერალს გულხავსიანს კლდესა, სუნელებას მივაფრქვევ არე-მარეს. ყველას ვუყვარვარ: აგერ იმ დამპალს ყუნჭს თვალი სულ ჩემკენ უჭირავს, მიცინის ხოლმე, უნდა, ჩემთან მოვიდეს, მაკოცოს, მაგრამ არ შეუძლიან, მხოლოდ შორიდამ გამიცინებს, გაიღიმება საცოდავი, თუმცა უშნოდ, მაგრამ გულკეთილობა კი დიდი გადაეფინება ხოლმე პირზედ“ /ვაჟა-ფშაველა. „ია“/.

„მერცხალს კეთილი ხალხი უყვარს, ისეთი, სულ რომ არ შეეშინდება იმათი, ხელს რომ არ აუქშევენ, თავს რომ თვითონაც ოჯახის წევრად იგრძნობს. ჯერ რამდენიმეჯერ მოფრთხიალდებიან დედალ-მამალი მერცხლები და იქაურობას კარგად დაზვერავენ. თუ მასპინძელს სიკეთე შეამჩნიეს, გაფრინდებიან, მაგრამ ისევ მალე მობრუნდებიან, მერე იქვე ჩამოჯდებიან და ჭიკჭიკს გააბამენ, ჩვენზე „საუბრობენ“, მასპინძლებზე – აბა, რა ხალხი ვართ, შეიძლება თუ არა ჩვენ გვერდით ყოფნა, ან უკვე გეგმას აწყობენ, სად რა იშოვონ, საიდან რა მოიტანონ, რომ ბუდე მკვიდრადაც ააგონ და ლამაზადაც. მერცხლის ბუდე აუცილებლად ლამაზი უნდა იყოს“ /თ.ბიბილური. „მერცხლის ბუდე“/.

როგორი უნდა ყოფილიყო ნამდვილი სპარტელი ვაჟი, რა თვისებები და უნარები უნდა ჰქონოდა მას?

ჩახატე შუაში, გარშემო კი მისი დამახასიათებელი სიტყვები შემოუწერე.

ო, ეს ახალი სიტყვები

სხარტი – მიუწერე რაც შეიძლება მეტი სინონიმი

წვრთნა – შეადგინე წინადადება, სადაც „წვრთნას“ დააკავშირებ არსებით სახელთან: ძაღლი, ლეკვი.

გამოიყენე ზედსართავი სახელები: ერთგული, უზარმაზარი, მშვენიერი, მხიარული. ზმნა შენ შეურჩიე.

იპოვე სიტყვებში დამალული სიტყვები

სიტყვა „სხარტი“-ში იპოვე სიტყვა, რომელიც აღნიშნავს:

- *ხელოვნებას.*
- *ერთ-ერთ შინაურ ცხოველს.*

სიტყვა „წვრთნა“-ში იპოვე სიტყვა, რომელიც აღნიშნავს:

- *ერთ-ერთ ციფრს.*
- *პროცესს, რომელსაც ღუმელში შეშა გადის.*

www.mastsavlebeli.ge

„–ადამიანებისთვის რაღაცების გაზიარების სურვილი შუაღამეს მეძალება და როცა სხვა არავინ არის, იძულებული ვხდები, მერი ჯოს მოვუყვე. თუმცა, რაკი შთაბეჭდილებას ვუქმნი, რომ „დალაგებული არ ვარ“, ამიერიდან ასე აღარ მოვიქცევი. მომეძალება და მოვითმენ!

– თუ სურვილი გაუსაძლისი აღმოჩნდება, შეგიძლია, „მწვანე მეზონინებში“ ამოირბინო და ფიქრი მე გამიზიარო, – შესთავაზა ენიმ მთელი სერიოზულობით, რომლის წყალობითაც ბავშვებს თავს აყვარებდა. ***ისინი აფასებდნენ, როდესაც თანატოლებად მიიჩნევდნენ“.***

ეს დიალოგი ენ შირლისა და მის მოსწავლეს – პოლ ირვინგს შორის გაიმართა. ენი ის პატარა გოგონაა, „მწვანე მეზონინებში“ რომ იშვილეს ხანში შესულმა და-ძმა კათბერტებმა. ახლა უკვე დიდია, საჭირო განათლებაც მიიღო და სწორედ იმ სკოლაში დაიწყო მუშაობა, სადაც კუნძულზე მობრძანების დღიდან სწავლობდა. ენ შირლის თითქმის მთელი მსოფლიო იცნობს, ოღონდ უმეტესობა – არა ისე, როგორც წიგნების სერიის მეორე ნაწილშია. საქმე ის არის, რომ ლუსი მოდ მონტგომერის წიგნის მიხედვით 2017 წელს „ნეტფლიქსმა“ გადაიღო შესანიშნავი სერიალი, სახელად *„Anne with a E“*. სერიალი სამი სეზონისგან შედგება, არც ისე სწორხაზოვნად მიჰყვება პირველი წიგნის სიუჟეტს და მოგვიანებით საერთოდაც გადაუხვევს მისგან. დარწმუნებული ვარ, პანდემიის პირველ თვეებში ჟღალთმიანმა გოგონამ ეკრანიდან ბევრი ადამიანის გამაყრუებელი ყოველდღიურობა ნამდვილ დღესასწაულად აქცია. მიუხედავად უამრავი სევდიანი ამბისა თუ მოგონებისა, ენის დიდი თუ პატარა თავგადასავლები მუდამ გჩუქნის მთავარს – იმედს, რომ თუ რაღაც, რაც ძალიან გინდოდა, ახლა არ ხდება, არა უშავს; ეს რაღაც ალბათ ოდნავ მოშორებით, მოსახვევთან დაგხვდება. მანამდე კი, ჯობია, მიმოიხედო და არსებულით დატკბე, რადგან ცხოვრება ისედაც ხანმოკლეა.

სერიის მეორე წიგნი „ენი ევონლიდან“ ჩემს მასწავლებლურ სულს განსაკუთრებით ეამა. ამ ნაწილში ენი უკვე 17 წლისაა და თავისივე სკოლაში მასწავლებლად იწყებს მუშაობას. ცხადია, ეს ასე მარტივად არ ხდება, ენის დიდი თავგადასავალი გადახდება, თუმცა, ვფიქრობ, ეს ნაწილი (და არა მხოლოდ) ყველა მასწავლებელს უნდა ედოს სამუშაო მაგიდაზე. ენი თავის მასწავლებლურ საქმიანობას ახალი იდეებით სავსე შეუდგება. ევონლელები ხშირად დასცინიან იმის გამო, რომ ფიზიკურ დასჯაზე კატეგორიულ უარს ამბობს, თუმცა მისთვის მთავარი ისაა, რასაც თავად ფიქრობს, უფრო სწორად, გრძნობს.

პირველ ამაღელვებელ წელს მეორე მოსდევს და ენი, ამჯერად – ნაკლები იდეით, თუმცა მეტი პრაქტიკული გამოცდილებით, კვლავ ამაყად შეაბიჯებს სკოლაში, სადაც მოსწავლეები უკვე გულაჩქარებულები ელიან. ენის ორწლიანი მასწავლებლური თავგადასავლი ყველაზე საოცარი რამაა, რაც კი ბოლო დროს წამიკითხავს და ველარ ვხვდები, რომელი უფრო მიყვარს, პატარა და მოუღლელი ჭორფლიანი გოგონა თუ გაზრდილი და დაბრძენებული ჟღალთმიანი ქალბატონი. ერთი რამ კი ზუსტად ვიცი: ყველა მასწავლებელი იპოვის მასში და მის დღეებში თავის თავს: დღეებში, როცა არაფერი გამოდის და ქაოსის მეტი არაფერი იქმნება; დღეებში, როცა გვგონია, რომ პროფესიის არჩევაში შევცდით და თავს ვერ ვართმევთ; დღეებში, როცა ნერვები გვღალატობს და იმის გაკეთება გვიწევს, რასაც აქამდე კატეგორიულად უარვყოფდით, მერე კი ვნანობთ; დღეებში, როცა ყველაფერი ისე კარგად მიდის, რომ სკოლიდან შინ ფრთაშესხმულები ვბრუნდებით; დღეებში, როცა მოსწავლეები ჩვენთვის წერილებსა და ნახატებს არ იშურებენ, თავიანთ ამბებს დაუღალავად გვიყვებიან და სანაცვლოდ ჩვენგან არაფერს ითხოვენ, გარდა მოსმენისა. ენ შირლი მუდამ უსმენდა თავის მოსწავლეებს და, რაც მთავარია, მათი ამბები, იდეები თუ საწუხარი არასდროს მიაჩნდა „ბავშვურად“. სწორედ ამით აყვარებდა მათ თავს. ენის კარგად ახსოვდა, რა მწარე იყო, როცა ბავშვობაში მის ნათქვამს არაფრად აგდებდნენ და გაჩუმებას უბრძანებდნენ. იქნებ სწორედ ეს არის კარგი მასწავლებლობის საიდუმლო – კარგად გახსოვდეს შენი ბავშვობა და, იმავდროულად, ყოველთვის დარჩე იმ ბავშვად, რომელიც დიდობამდე იყავი.

„მაგ წიგნს ჩემი და კითხულობს, მას“, – მითხრა და ენის პორტრეტს კალმით შეეხო მეხუთეკლასელი დემეტრე, რომელიც ბიბლიოთეკაში ჩემ წინ იჯდა და მათემატიკის დავალებას წერდა. ძალიან კარგი წიგნია და შენც უნდა წაიკითხო-მეთქი, მივუგე და ის-ის იყო, წიგნიდან პოლისა და ენის დიალოგის ამოწერა დავასრულე. გვერდით თამარ გეგეშიძის „საშლელებიც“ მედო, რაკი ენის ამბის კითხვას ვასრულებდი. „აი, მას, მე მაგ ავტორის წიგნს ვკითხულობ, „სული-ჩიტს“, და იცით, მას, ავტორი თებერვალში უნდა მოვიწვიოთ, ყველა ვკითხულობთ ერთად“. დემეტრეს საუბარი გავუბი, მიამბო, რაზეა „სული-ჩიტი“ და თავისი თეორიაც გამანდო იმის შესახებ, რატომ ჰქვია წიგნს ასე, ბოლოს ავტორის სურათიც დაგუგლა და რატომღაც გაოცდა, რა ახალგაზრდა ყოფილაო. შუა საუბარში „საშლელები“ ამოვატრიალე და უკანა ყდაზე უცებ ამ სიტყვებმა მომჭრა თვალი: „... **თუმცა ერთი რამ ზუსტად იციან: უნდათ, რომ მათ აზრს პატივი სცენ, რომ გარშემო მყოფებმა მოუსმინონ, უთანაგრძნონ, ხანდახან კი უბრალოდ მიიღონ ისეთები, როგორებიც არიან“**. პოლ ირვინგმა და ენმა უცებ „საშლელების“ უკანა ყდაზე გადაინაცვლეს. „შენ როგორი მასწავლებელი გირჩევნია გყავდეს, დემე?“ – მოულოდნელად ვუბრუნებ შეკითხვას. „რა თქმა უნდა, მეგობრული, მას“, – მპასუხობს დაუფიქრებლად და ორივეს გვეცინება.

დღის ბოლოს 2021 წლის 8 ოქტომბრით დათარიღებულ ჩემს ნაწერს ვპოულობ და ყველაფერი სამუდამოდ უკავშირდება ერთმანეთს: *„როცა გაკვეთილსა და გაკვეთილს შორის მოქცეულ ათ წუთში ჩემი სადამრიგებლო კლასისკენ გავრბივარ და გზად პატარა მეორეკლასელები ფანჯრებზე ცხვირმიჭყლეტილები მიქნევენ ხელს, ხოლო უკვე მეექვსეკლასელები (რომლებსაც აღარ ვასწავლი) ჩემი კლასის კართან აისვეტებიან, რათა სამოც წამში სამოცი ამბავი მიამბონ, მაგ დროს ვფიქრობ ხოლმე, ნეტავ როგორ შევძელი და ამდენი პატარა ადამიანის სიყვარული რით დავიმსახურე-მეთქი. ნუთუ მხოლოდ იმით, რომ მათი მოსმენა მიყვარს?!“*

რა სწრაფად გადის დრო და რა სასიამოვნოა იმაზე ფიქრი, რომ ენ შირლის კოლეგა ვარ!

ლევან ლორთქიფანიძე

ტიკ-ტოკი – იარაღად ქცეული ქსელი



ერთხელ თქვენთვის მითქვამს კიდეც, რომ ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი ლარი დაიმონდი თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომში იყენებს ცნებას „ბასრი ძალა“. აღნიშნული ტერმინით მეცნიერი მოიხსენიებს ჩინეთის მიერ აშშ-ში დარეგისტრირებულ არასამთავრობო თუ ლობისტურ ორგანიზაციებს, რომლებიც აგრესიული კამპანიების წარმოებით ცდილობენ სახალხო რესპუბლიკის ინტერესების დაცვას ამერიკულ ბაზარზე. ამგვარი ორგანიზაციების მოქმედება პროფესორმა „რბილი ძალის“ კატეგორიას ვერ მიაკუთვნა, კონკრეტული გარეშე ძალის სასარგებლოდ ინტენსიური, უკომპრომისო და უწყვეტი მუშაობის აღსანიშნავად მას ახალი, უფრო მკვეთრი ტერმინის გამოგონება და დამკვიდრება დასჭირდა.

ჩინეთის „ბასრ ძალად“ მხოლოდ ცალკეულ ორგანიზაციებს არ მოიაზრებენ. მრავალთა მტკიცებით, მსოფლიოს ყველაზე დიდი კომუნისტური სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურებიან თანამედროვე ჩინური ტექნოლოგიური კომპანიებიც, რომელთა მიერ შექმნილი პროდუქტი უცხო სახელმწიფოს ხელში შეიძლება არაჩვეულებრივ და ეფექტიან იარაღად იქცეს.

უკანასკნელ პერიოდში ჩინეთის მზარდი გეოპოლიტიკური გავლენით შეშფოთებული ამერიკელებისა და ევროპელების ყურადღების ცენტრში მოექცა სოციალური ქსელი ტიკ-ტოკი, რომელიც გლობალურ ასპარეზზე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული აპლიკაციაა. მისი ანგარიშების რაოდენობამ ჯერ კიდევ 2021 წელს გადააჭარბა ერთ მილიარდს. ზოგიერთი მონაცემებით, გასულ წელს ჩინურ სოციალურ ქსელს უფრო მეტი მომხმარებელი ეწვია, ვიდრე საძიებო სისტემა გუგლს. აშშ-ში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ თინეიჯერების ორი მესამედი აქტიურად იყენებს აღნიშნულ აპლიკაციას, თანაც მოზარდები ტიკ-ტოკს გაცილებით მეტ დროს უთმობენ, ვიდრე მის დასავლურ ანალოგებს.

მასობრივ გავრცელებასა და არნახულ პოპულარობასთან ერთად, ტიკ-ტოკს სწრაფი ტრანსფორმაციის უნარიც გამოარჩევს. თავდაპირველად იგი მხოლოდ მუსიკით, ცეკვით, თანამედროვე პოპკულტურით დაინტერესებული ახალგაზრდების სეგმენტზე იყო გათვლილი და ფაქტობრივად დაცლილი გახლდათ პოლიტიკური კონტექსტისგან, თუმცა მომხმარებელთა მატების კვალდაკვალ სოციალური ქსელის გამოყენება საარჩევნო მენეჯერებმაც დაიწყეს. შედეგად, ჩინურმა ქსელმა არაერთი კენჭისყრის შედეგების განსაზღვრისას გადამწყვეტი როლი შეასრულა. პოლიტიკურ მიმომხილველებს ხშირად მოჰყავთ კოლუმბიის უკანასკნელი საპრეზიდენტო არჩევნების მაგალითი. მთელი წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში ყველა გამოკითხვის მიხედვით დამაჯერებლად ლიდერობდა მოქმედი პრეზიდენტი გუსტავო პეტრო, მაგრამ მას შემდეგ, რაც მისმა ოპონენტმა, ნაკლებად გავლენიანმა ყოფილმა სენატორმა რუდოლფო ერნანდესმა ბრძოლა ტიკ-ტოკის ველზე გადაიტანა, სახელმწიფოს მეთაურის გამარჯვება სათუო გახდა. ბოლოს პეტრომ უმცირესი უპირატესობით მოახერხა პოპულისტი მოწინააღმდეგის დამარცხება. აპლიკაცია აქტიურად გამოიყენებოდა აშშ-ის ბოლო შუალედური კენჭისყრის დროს, გერმანიის ფედერალურ მიწებზე ჩატარებული რეგიონული არჩევნების მიმდინარეობისას. მოკლედ, ყველგან, სადაც 18-დან 25 წლამდე ასაკის ამომრჩეველთა ხმების მონადირება სურთ, ტიკ-ტოკზე მძლავრი პროპაგანდისტული მანქანის ამუშავებას ცდილობენ.

მომხმარებელთა მატებისა და პოლიტიკური შინაარსის შეძენის შემდეგ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სოციალურ ქსელს აქტიური ბრძოლა გამოუცხადეს. აშშ-ის კონგრესის რესპუბლიკელი წევრები მონდომებით იბრძვიან აპლიკაციის აკრძალვისთვის და ხშირად კომუნისტების „ტროას ცხენს“ უწოდებენ ყველაზე ცნობილ ჩინურ ბრენდს. პრეზიდენტმა ტრამპმა თავისი მმართველობის პერიოდში ვერ მოასწრო შესაბამისი დეკრეტის გამოცემა, თორემ მზად იყო ტიკ-ტოკის აშშ-დან გაძევებისთვის. კაპიტოლიუმზე გაცილებით სწრაფად, განსაკუთრებული ორჭოფობის გარეშე იმოქმედეს ინდოეთში, როდესაც მთავრობამ და პარლამენტმა ხელის ერთი მოსმით ასეულობით მილიონ ადამიანს შეუზღუდეს წვდომა ახალგაზრდებს შორის უკიდურესად პოპულარულ ამ პროდუქტზე.

მაინც რატომ ებრძვიან ტიკ-ტოკს სხვადასხვა კონტინენტის გავლენიანი წრეები?

აკრძალვის მომხრეთა მთავარი არგუმენტი პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოებას უკავშირდება. დასავლელი პოლიტიკოსები შიშობენ, რომ სოციალური ქსელის ადმინისტრაცია საჭიროების შემთხვევაში მილიონობით მომხმარებლის პირად ინფორმაციას მიაწვდის ჩინეთის ხელისუფლებასა და სპეციალურ სამსახურებს. შედეგად, დასავლეთთან დაპირისპირებულ გლობალურ აქტორს უამრავი ადამიანის განწყობებზე, პოლიტიკურ და სოციალურ ქცევაზე ზემოქმედების შესაძლებლობა მიეცემა და შეეცდება, კონტროლის მექანიზმი საკუთარი ეკონომიკური თუ სტრატეგიული ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენოს.

ტიკ-ტოკი ინტენსიურად მუშაობს ჩინეთის ხელისუფლებისთვის მიუღებელი შინაარსის ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვაზე. სპეციალური კვლევები ადასტურებს, რომ ტიკტოკერებს არ შეუძლიათ ტიანანმენის მოედანზე მომხდარი ტრაგედიის შესახებ ფართო დისკუსიის წამოწყება, უჭირთ ინფორმაციის გავრცელება ჩინეთში მოქმედი ოპოზიციური ჯგუფების შესახებ, შეზღუდული გახლდათ მათი გამოხატვის თავისუფლება რამდენიმე წლის წინ ჰონგ-კონგში მიმდინარე მასობრივი გამოსვლების შესახებ. მაშასადამე, რაც ხელს არ აძლევს ჩინეთის ხელისუფლებას, ის ტიკ-ტოკის ადმინისტრაციისთვისაც მიუღებელია.

აღნიშნული პრინციპი დღეს საკითხების საკმაოდ მცირე ჩამონათვალზე ვრცელდება, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ის შეიძლება ყველა მნიშვნელოვან საჯარო დისკურსზე გავრცელდეს. შესაბამისად, შეინიშნება საფრთხე იმისა, რომ ჩინელები მრავალ ქვეყანაში პოლიტიკური კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის კონტურების გამოკვეთას შეძლებენ.

ცხადია, დასავლეთსა და ინდოეთში თავიანთი ტექნოლოგიებისა და პროდუქტების ბედიც აღელვებთ. ტიკ-ტოკის გავრცელებისა და შემოსავლების გეომეტრიული პროგრესიით მატების ფონზე სხვა საერთაშორისო კორპორაციებს კიდევ უფრო მეტად გაუჭირდებათ სახალხო რესპუბლიკაში შექმნილი სოციალური ქსელის მფლობელი კომ-

პანია ByteDance-ისთვის კონკურენციის გაწევა, ის ნელ-ნელა უფრო და უფრო მეტ ადგილს დაიკავებს გლობალურ ეკონომიკაში. ბაზრების შეზღუდვით კი აპლიკაციის განვითარების შეფერხებაა შესაძლებელი.

ByteDance-ის შემოქმედების ყველაზე კეთილშობილი კრიტიკოსები პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე არ სვამენ აქცენტს. მათ სულ სხვა რამ აღელვებთ. ზოგიერთი კვლევის თანახმად, ტიკ-ტოკს სხვა სოციალურ ქსელებთან შედარებით მეტი ადიქციურობა, მეტი დამოკიდებულება ახასიათებს, მასზე უფრო მეტად ხდებიან მიჯაჭვულები, ვიდრე Meta-ს აპლიკაციებსა თუ ტვიტერზე. ცხადია, ობიექტურ შემფასებელთა განსაკუთრებულ გულისტკივილს იწვევს კიბერბულინგის სრულიად ახალი და მასშტაბური გამოვლინებები, რომლებიც ტიკ-ტოკზე აღრიცხეს.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ, სპეციალისტების დაკვირვებით, ByteDance-ის ქსელში სხვა აპლიკაციებზე უფრო ადვილად ვრცელდება მცდარი და გადაუმოწმებელი ინფორმაცია.

მოკლედ, ტიკ-ტოკი საშიშია, სანამ მას გადმოწერთ, ორჯერ მაინც უნდა დაფიქრდეთ და მისი ნაკლოვანებების შესახებ მოსწავლეებსაც უნდა მოუყვეთ. უბრალოდ, ფრთხილად იყავით, შესაძლოა, მათ ისეთი კითხვები დაგისვან, რომლებზეც პასუხის მოძებნა გაგიჭირდებათ:

- რომელი სოციალური ქსელი არ იყენებს ბოროტად ჩვენს პირად მონაცემებს?
- რომელი სოციალური ქსელი არ ცდილობს ჩვენი სოციალური და პოლიტიკური ქცევის გაკონტროლებას?
- რომელ ქსელში არ ვრცელდება კიბერბულინგი და ყალბი ახალი ამბები?

ის მაღაზია ასეთი იყო: ხუთი საფეხურის შემდეგ – დერეფანი, მის მარცხენა კედელთან – ლიმონათის ბოთლების ყუთები. მარჯვენა კედელში – კარი სავაჭრო ფართში შესასვლელად. იქ თაროებია ჩამწკრივებული, თაროებზე კი – ხის ფართო ლანგრები პურისთვის. დახლმაცივრები ძეხვეულითა და რძის ნაწარმით არის სავსე. ცალ-ცალკე რიგებადაა ზეთი, ტომატი, მარილი, მაკარონი, საკონდიტროს ორცხობილა, კოწახურის კანფეტი, ასანთისა და საღეჭი რეზინების კოლოფები, შაქარი...

ისეთი პატარა აღარ ვიყავი, როგორიც წინა წელს. ქუსლი ვეღარ ჩავაცურე სანდალში და მაშველი მივახმარე, კიკინაც უფრო გრძელი მქონდა და ჟაკეტის სახელოც დამმოკლებოდა. ნამდვილად გავდიდდი. დედამ შაქრის საყიდლადაც კი გამგზავნა.

ჰოდა, მეც, „გადიდებულმა“, გავიარე სამი კორპუსის ეზო და იმ მაღაზიაში ქაღალდის ორი შეკვრა შაქარი ვიყიდე – ორი კილოგრამი. გამყიდველმა საანგარიშოს კოჭები ააჩხაკუნა და ხურდაც დამიბრუნა. გადავთვალე. ზუსტი აღმოჩნდა. სკოლაში მათემატიკას დიდი მონდომებით ვსწავლობდი მეტად პრაქტიკული მიზნით – მაღაზიაში გამყიდველი ვერ მომატყუებს-მეთქი.

ცელოფნის პარკში მოთავსებისას ხელიდან გამისხლტა და იატაკზე მძიმედ დაეშვა ქაღალდის პაკეტი. იოლად გაიხა, შაქარიც გადმოიბნა. სხვა გზა არ მქონდა – ნაკლები წონის შაქარი უნდა მიმეტანა სახლში ორი კილოგრამის ფასად.

გამყიდველმა თანაგრძნობის ღიმილის ნაცვლად შემომიბღვირა, აიზლაზნა და დახლს ქვემოდან ცოცხი გამოაძრო. იქაურობას გავეცალე და „დაპატარავებულმა“ ჩავიარე საფეხურები.

ასე იყო თუ ისე, მოვდივარ სახლისკენ. ნაბიჯს თანდათან ვუნელებ. ვფიქრობ: – დედა სამსახურში წასასვლელად ემზადებოდა, მწვანე კაბა ეცვა და შავი ზამშის ბასანოჟკი, ესვა წითელი ლაქი და ტუჩსაცხი, კოჭზე სალტე ჰქონდა მოხვეული. ისეთი ლამაზი იყო... ნეტავი შინ არ დამხვდეს!

– რას მეუბნებით?! – აღშფოთდა გამყიდველი, – შვილო, შენ თვითონ არ დაგებნა შაქარი იატაკზე? – მომმართა მე.

– არა! ასეთი გამატანეთ! – ჩემდა გასაკვირად, ვიცრუე.

– კეთილი ინებეთ და გამოცვალეთ! ჩემი შვილი არ იტყუება! – მტკიცე ხმა ჰქონდა დედას.



– ეს არ არის ერთი კილო! – მაშინვე შენიშნა, როგორც კი ჩამომართვა ცელოფნის პარკი.

– არ არის? არ ვიცი, ასეთი მომცა იმ ქალმა, – ვპასუხობ თვალდაუხამხაბემლად.

დაიჯერა.

– გამომყევი! – აჩქარებით გამიძღვა კარისკენ.

ეს რამ მოაფიქრა! არადა, უკან ვერ დავიხევ. დედას წინაშე სახელს ვერ გავიტეხ, ჯანდაბას ის გამყიდველი, აღარ შევალ იმ მაღაზიაში საერთოდ! – ვიმეორებ პირით, თვალით, გულით, ხელით, ფეხით და ერთი, ორი, სამი... „იმ ქალის“ არ მეშინია, დედა დამიცავს, მაგრამ მაინც მივათრევ ფეხებს.

– ქალბატონო, ეს როგორ იკადრეთ?! – დახლზე დადო გაგლეჯილი შეკვრა დედაჩემმა. – ბავშვს მოატყუეთ და დაზიანებული შეაჩეჩეთ, უპატრონო გეგონათ?

გამყიდველის სახე აღარ მახსოვს. თვალი კი გავუსწორე უტეხი მზერით, მაგრამ უფრო დედასთვის საჩვენებელი სვლა გავითამაშე.

თავი ვერაფრით იმართლა და ბრაზმორეული ბუზღუნით დააკმაყოფილა მოთხოვნა ქალბატონმა.

შემრცხვა.

ჩვეულებრივ ბავშვურ ტყუილს ჰგავს ეს შემთხვევა. იოლად მისახვედრი ახსნა ჩემი საქციელისა არის დედას გაბრაზების მოლოდინი. ყველა ბავშვი აირიდებდა თავიდან მშობლის საყვედურს, მკაცრ გაფრთხილებას და უცილობელ გაბუტვას განუსაზღვრელი ვადით. არც უამისობაა. თუმცა არის უფრო დაფარული მიზეზი, რაც არასასურველი ქცევის უფრო საფუძვლიანი მოტივაციაა – დამარცხების განცდისგან თავის დაღწევა.

თავიდან რომ გავიხსენო იგივე ამბავი, იმ განსხვავებით, რომ დამარცხების არ მეშინოდეს, ამგვარად განვითარდებოდა მოვლენები:

მაღაზიაშივე ვაღიარებდი, რომ ჩემს გაუფრთხილებლობას მოჰყვა შაქრის დაბნევა, გამყიდველს მოვუბოდიშებდი, ვთხოვდი შეკვრის გამოცვლას, ან შაქრის დამატებას და საფასურსაც გადავიხდიდი. არ ვიცი, ის რას მიპასუხებდა, მთავარია, რომ მე თავისუფალი ვიქნებოდი მტანჯველი დარდისგან. სახლამდე, გზაზე, გავაანალიზებდი, რატომ დამივარდა იატაკზე ქაღალდის შეკვრა და თავს დავირწმუნებდი, რომ ეს ჩემი, პირადი, დამარცხებაა და ერთადერთი დამნაშავეც მე ვარ. ამ აღიარებით თავდაჯერება მომემატებოდა და დედასაც ვუამბობდი თამამი გულწრფელობით, რაც დამემართა მაღაზიაში. ვეტყოდი მიზეზს, ვაღიარებდი ჩემს მარცხს, ვთხოვდი პატიებას და პირობას დავდებდი, რომ მომდევნო ჯერზე ყურადღებით ვიქნებოდი, არც ვიჩქარებდი. არ ვიცი, დედა როგორ მოიქცეოდა, მაგრამ, მთავარია, მე აღარ დამჭირდებოდა ტყუილის მოფიქრება და თავდასაცავი მოქმედების დაგეგმვა.

დასასრული mastsavlebeli.ge-ზე

ციცია გურაბანიძე ნათელა ბაღათრიშვილი

გზამკვლევი STEAM სწავლებისთვის

დღესდღეობით STEM-მიდგომის დანერგვა მიმდინარეობს მასში გაერთიანებული საგნების იზოლირებული სწავლების გზით. STEM-მიმართულება ერთ საგნად არ ისწავლება. გვაქვს საბუნებისმეტყველო, ტექნოლოგიების, მათემატიკის საგნები. შედეგის მისაღებად საგნებს შორის კავშირი კიდევ უფრო გასამყარებელია. მოსწავლეებს უნდა ვაჩვენოთ STEM-ის მომავლისთვის საჭირო შესაძლებლობები, გამოვიწვიოთ ინტერესი აღნიშნული საგნებისა და პროფესიების მიმართ, დავანახოთ ძირითადი როლი, რომელსაც STEM ასრულებს ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესებაში. ამისთვის აუცილებელია, სწავლება მეტად ინტეგრირებულად მიმდინარეობდეს.

STEM-ში ყველა კომპონენტი ერთობლივად უნდა მუშაობდეს. დღეს აბრევიატურა STEM გაფართოვდა და დაემატა „A" – ART, ხელოვნება. ეს მანიშნებელია იმისა, რამდენად მნიშვნელოვანია STEM-სწავლებაში შემოქმედებითობა. STEM-ის საშუალებით შესაძლებელია, უზრუნველვყოთ მოსწავლეების მომზადება მომავლის მოქალაქეებად, რომლებიც მზად იქნებიან, საზოგადოებაში არსებული ნებისმიერი პრობლემა კრიტიკული, თანამშრომლობითი, ეფექტური გზებით გადაჭრან.

გთავაზობთ რამდენიმე პლატფორმას გაკვეთილზე STEM-პროექტებისა და აქტივობების დანერგვისა და ინტეგრირების ხელშესაწყობად. განხორციელებული პროექტები, ინიციატივების მაგალითები დაგეხმარებათ STEM-ის ინტეგრირებაში სწავლებისას დღის წესრიგის შეფერხების გარეშე. აქტივობების მიზანია, დაიძლიოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნები კარიერული დაგეგმვის საკითხებში. საბოლოო ჯამში, სასკოლო საზოგადოებას ხელი ეწყობა, რომ იყოს კარიერული დაგეგმვის აქტივობების ორგანიზატორი, მასწავლებელი და მოსწავლე ფლობდნენ სათანადო ინფორმაციას აქტუალური STEM-ის სამუშაო ბაზრის შესახებ.

STEAM-სწავლების დანერგვის საერთაშორისო აქტივობები

Stem ალიანსი

Stem ალიანსი არის სამუშაო სივრცე STEAM-უნარების განსავითარებლად. იგი აერთიანებს განათლებასა და ინდუსტრიას, ხელს უწყობს ახალგაზრდებში STEAM-განათლებითა და კარიერით დაინტერესების პროცესს, მომავლის მოქნილი უნარების განვითარებაში წარმოქმნილი გამოწვევების დაძლევას.

აღნიშნული ალიანსი ადგენს კავშირებს STEAM-განათლებასა და კარიერას შორის, ახდენს სკოლების ჩართვას ამ პროცესში მთელი ევროპის მასშტაბით. ალიანსის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს STEAM-სწავლების დანერგვას სწავლების ყველა საფეხურზე.

გახდი ალიანსის წევრი და გაამდიდრე საგაკვეთილო პროცესი STEAM-აქტივობებით: http://www.stemalliance.eu/

Stem-ალიანსი ყოველწლიურად 22 000-ზე მეტი პედაგოგის პროფესიულ განვითარებას უზრუნველყოფს.

მასწავლებლის განვითარებისთვის:

- **ვებინარები** სწავლების მეთოდოლოგიის შესახებ;
- **ონლაინშეხვედრები** საუკეთესო პრაქტიკის განხილვისა და STEAM-განათლებაში ინოვაციების შესახებ;
- **ონლაინკურსები** რესურსებისა და STEAM სასწავლო რესურსების სწორად შესარჩევად;
- **მრჩეველთა ქსელი,** რომელიც პედაგოგებს ეხმარება, უკეთ გაიგონ STEAM კარიერული გზები და მათი საგანმანათლებლო საჭიროებები;
- **ბიბლიოთეკა**, რომელიც მოიცავს რესურსებს, კვლევებს, ანგარიშებს, გაიდლაინებს და ა.შ.

ალიანსი ყოველწლიურად 122 000 მოსწავლეს აძლევს ჩართვის საშუალებას.

მოსწავლის განვითარებისთვის:

- **ყოველწლიური კამპანიები** – რესურსებითა და ინიციატივებით სავსე პროექტები სკოლებში, უნივერსიტეტებსა და STEAM-კლუბებში;
- **კონკურსები,** რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებს, მიიღონ მრავალი სასწავლო რესურსი ალიანსის პარტნიორებისგან, გაიმარჯვონ, დაჯილდოვდნენ და მოიპოვონ ფართო აღიარება;
- **საპილოტე პროგრამები,** რომლებიც ალიანსის წევრებს ეხმარება ახალი სასწავლო მასალების ან პროცედურების დადასტურებაში ტესტირებისა და ოპტიმიზაციის გზით.

Space EU

Space EU ჩართულია მასწავლებელთა და მოსწავლეთა სწავლებაში. აქ შეგიძლიათ ნახოთ კოსმოსთან დაკავშირებული საინტერესო აქტივობები, STEAM-ის შემოსვლა საკლასო ოთახში და სასკოლო სასწავლო გეგმაში, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებაში. ეწვიეთ: **SpaceEU project (space-eu.org).**

Space EU-ს გამოყენება კოსმოსის შესასწავლად უფრო სახალისოსა და მრავალფეროვანს გახდის საგანმანათლებლო პროგრამებს. ის გამოიწვევს მოსწავლეთა დიდ ინტერესს, შთააგონებს და გააფართოებს ახალგაზრდა გონებას, განავითარებს ევროპული და გლობალური მოქალაქეობის გრძნობას, ხელს შეუწყობს სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურული წარმომობის ადამიანების ურთიერთობას STEAM-ში (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია, ხელოვნება და მათემატიკა).

აქ დაგხვდებათ სააზროვნო აქტივობები მოსწავლეებისთვის, იპოვით ახალ და საინტერესო STEAM კარიერულ შესაძლებლობებს, აღმოაჩენთ მრავალ ბმულს, რომლებიც ამოგზაურებს მოსწავლეებს STEAM თავგადასავლებში და კოსმოსურ გამოფენებზე.

Steam განათლება

Steamonedu მოიცავს ისეთ ასპექტებს, რომლებიც მასწავლებელს სძენს უნარს, განვითარდეს STEAM-საგანმანათლებლო პრაქტიკის კუთხით.

ეს პროექტი ახდენს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ინტეგრირებას STEAM-განათლებაში. იგი აერთიანებს მასწავლებლებს, ტრენერებს, მკვლევრებს, საგანმანათლებლო ინსტიტუციებსა და განათლების სექტორით დაინტერესებულ პირებს. ეს არის ონლაინსაზოგადოება, რომელიც საჭიროებებისთვის არის შექმნილი. აქ იქმნება მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მასალა და სასწავლო სცენარები. ეს არის სამოქმედო გეგმა, რომელიც აგროვებს STEAM-განათლების საუკეთესო პრაქტიკასა და პოლიტიკას. გარდა ამისა, არის STE(A)M პედაგოგთა გაერთიანება და ემსახურება თვითდასაქმების ინსტიტუტსაც. გვთავაზობს მოქნილ სივრცეს, რომელიც საშუალებას გვაძლევს, შევისწავლოთ STEAM-განათლების შესაძლებლობები.

გახდით პედაგოგთა STE(A)M-გაერთიანების აქტივობების მონაწილე: https://steamonedu.eu/

პლატფორმაზე გაერთიანებულნი არიან STE(A)M-განათლების განმახორციელებელი პედაგოგები. მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერით, სწავლებით, ტრენინგებით, გამოცდილების გაზიარებით ჩამოყალიბდა STE(A)M საზოგადოების მყარი კავშირი, რომლის შედეგადაც შეიქმნა STE(A)M განათლების ჩარჩო. იგი მოიცავს კომპეტენციებს, პოლიტიკას, მეთოდოლოგიებს, საგანმანათლებლო ობიექტებს და ა.შ.

აქ შეგიძლიათ იხილოთ STE(A)M-საგანმანათლებლო პრაქტიკის მრავალი სახელმძღვანელო და გზამკვლევი, რომლებიც საკლასო სივრცეში STE(A)M-ის დანერგვაში დაგეხმარებათ.

STEAM-აქტივობების ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობა

სწავლა-სწავლებაში STEAM-ის ჩასართავად საჭიროა, მასწავლებელმა გამოიყენოს მრავალფეროვანი დავალებები. ზემოთ მოყვანილი აქტივობები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის ისეთ გამჭოლ კომპეტენციებს, როგორიცაა შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, მოსწავლეები არ სხედან ფაქტების კონსტატაციის ჩარჩოში. ამგვარი აზროვნებით მოსწავლეს შეუძლია ორიენტირება ახალი ინფორმაციის ნაკადში, თვითმყოფადის გამორჩევა, უვითარდება წარმოსახვა, ინტერპრეტირების უნარი.

STEAM-აქტივობები მოსწავლეს ასევე უვითარებს მეწარმეობის კომპეტენციებს, ხელს უწყობს ეკონომიკური იდეების რეალიზებისთვის ხელსაყრელი პირობების ადვილად დანახვასა და რეაგირებას.

წყარო:
https://steamit.eun.org/guidelines-on-how-to-present-stem-jobs-in-classrooms/

რატომ უნდა ვუკითხოთ ბავშვებს ლექსები

ლელა კოტორაშვილი

ჩემს სამი წლის გოგონას ვირუსი შეხვდა. მთელი ღამე გაუჩერებლად ახველებდა. მისი ხველება გულში ხანჯალივით მესობოდა. ბევრი რამ მოვსინჯეთ, ვერაფერმა უშველა. ხველებისგან დაოსებული მეხუტებოდა და საალერსო სიტყვებთან ერთად ჩვენი საყვარელი ლექსების კითხვა დავიწყე. ლილე ძალას იკრებდა მოსასმენად და მხოლოდ ამ რამდენიმე წამის განმავლობაში ახერხებდა ხველის შეკავებას.

იმ ღამეს კიდევ ერთხელ დავინახე, რა დიდი ძალა აქვს პოეზიას. მერე ერთ საინტერესო სტატიას გავეცანი და გადავწყვიტე, ჩემი გამოცდილებით გამემყარებინა მასში გამოთქმული მოსაზრებები.

თერაპია

უპირველეს ყოვლისა, ლექსების თერაპიულ ზემოქმედებაზე გავამახვილებ ყურადღებას. შეგვიძლია, საბავშვო ლექსები ფიზიკური ტკივილის დროს ყურადღების გადასატანად გამოვიყენოთ. ამასთანავე, ჩემი დაკვირვებით, ლექსების კითხვა მენტალურ ჯანმრთელობასაც უწყობს ხელს. ლექსების რიტმი, სიტყვების ჟღერადობა დამამშვიდებლად მოქმედებს ბავშვზე, მაღლდება განწყობა, რაც ბავშვის ქცევის მართვასაც აადვილებს.

რიტუალები

ლექსების კითხვის რიტუალები თავად გამოიგონეთ. მე ბაღისკენ მიმავალ გზაზე და ძილის წინ ვუკითხავ. ის, რაც მუდმივად მეორდება, ბავშვებს სიმშვიდისა და სიმყარის განცდას უღვივებს. თან ეს პატარ-პატარა რიტუალები განსაკუთრებულ ურთიერთობას აყალიბებს.

პირველი ამბები

ლექსებით ბავშვები პატარა ამბებს ეცნობიან. მათი ნებისყოფა ჯერ მზად არ არის ვრცელი ამბის მოსასმენად, ამიტომ პირველი ლექსები დიდი ამბებისკენ გადებული ხიდია.

საუბრის დასაწყისი

ლექსის კითხვისას ხმამაღლა წარმოვთქვამთ სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებიც ბავშვის გონებაში ილექება. ადრეულ ასაკში მოსმენილი ლექსები ბავშვს ამეტყველებაში ეხმარება.

სოციალური უნარების განვითარება

საბავშვო ლექსებზე თაობები იზრდებიან. ყველა ქვეყანას თავისი საბავშვო ლექსები აქვს, რომლებიც დროს უძლებს და სამყაროში მომხდარი ცვლილებების ფონზეც კი ცოცხლობს. როცა ბავშვებს მშობლები ერთსა და იმავე ლექსებს უკითხავენ, სადღაც აუცილებლად იკვეთება ეს ცოდნა და ბავშვს სოციუმში დამკვიდრებაში ეხმარება. ერთი და იმავე ლექსების ცოდნა ერთიანობის განცდას ბადებს.

გზა წიგნის სიყვარულისკენ

ბავშვებმა ამოჩემება იციან – ითხოვენ ერთი და იმავე ზღაპრის მოყოლას ან ერთი და იმავე წიგნის წაკითხვას. ეს ბუნებრივი პროცესია. ამგვარად სამყაროს რიტმულობას ეცნობიან და ყოველდღიურად რწმუნდებიან, რომ მზად ვართ, მათ დრო დავუთმოთ. ჩემი გოგონა ერთი წლის განმავლობაში ყოველღამ მთხოვდა, მისთვის კორნეი ჩუკოვსკის „ბუზანკალი“ წამეკითხა. ეს იყო დაუვიწყარი თავგადასავალი,

საბავშვო ლექსებზე თაობები იზრდებიან. ყველა ქვეყანას თავისი საბავშვო ლექსები აქვს, რომლებიც დროს უძლებს და სამყაროში მომხდარი ცვლილებების ფონზეც კი ცოცხლობს. როცა ბავშვებს მშობლები ერთსა და იმავე ლექსებს უკითხავენ, სადღაც აუცილებლად იკვეთება ეს ცოდნა და ბავშვს სოციუმში დამკვიდრებაში ეხმარება. ერთი და იმავე ლექსების ცოდნა ერთიანობის განცდას ბადებს.

რადგან ყოველ ჯერზე რაღაც ახალს ვამჩნევდით, ვხარობდით, ერთმანეთს ვუზიარებდით. ერთხელაც აღმოვაჩინეთ, რომ საკმაოდ ვრცელი ლექსი ზეპირად დაუმახსოვრებია. აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნო: ჩვენი მიზანი ლექსების ზეპირად დასწავლა არ უნდა იყოს. 2-3 წლის ბავშვების მეხსიერება ღრუბელივით ისრუტავს ყველაფერს და მალევე ავიწყდება. ლექსების ხმამაღლა კითხვას თავისთავად მოჰყვება დამახსოვრება. ზოგი ბავშვი სიტყვებს ცვლის, თავისებურად აღიქვამს და წარმოთქვამს და ამაზე დაკვირვებაც ძალიან საინტერესოა. ვფიქრობ, ეს შემოქმედებითი უნარების ადრეული გამოხატვის ფორმაა.

„ბუზანკალის“ შემდეგ ჩემმა პატარა მსმენელმა თავად დაიწყო წასაკითხი წიგნების შერჩევა. უბნის ბიბლიოთეკიდან გამოტანილი „მიყვარხარ, დედიკო“, „პიერი და მთვარე“, „რწყილი და ჭიანჭველა“, თუთა ჯგუშიას ლექსების კრებული „კარგად ყოფნის წესები“ – ეს იმ საბავშვო ლექსების კრებულთა ნუსხაა, რომლებიც ჩვენს პირად ურთიერთობას გასდევს. ასე რომ, საბავშვო ლექსების კითხვამ წიგნის სიყვარულს ნამდვილად გაუღო კარი.

სიტყვათა მარაგი

საბავშვო ლექსების კითხვისას ბავშვის გონებაში ილექება სიტყვები, სიტყვათა მრავალგვარი დაბოლოებები. მდიდრდება ლექსიკური მარაგი, ვითარდება გონებრივი შესაძლებლობები, რაც კითხვის სწავლას და საუბრისას აზრის გამოხატვას აადვილებს.

წერა-კითხვის საფუძველი

ლექსების კითხვა წერა-კითხვის სწავლების საძირკველია. ბგერებს, რომლებიც ლექსების კითხვისას ესმით, ანბანის შესწავლისას ბავშვები ადვილად აიგივებენ ასოებთან. ნაცნობი სიტყვები ამოკითხვასა და გამთლიანებას უწყობს ხელს, სიტყვათა მარაგი აზრების წერილობით ჩამოყალიბებას აადვილებს.

წარმოსახვა

ყველაფერი ხმამაღლა წარმოთქმული სიტყვებით იწყება. ბავშვები იზრდებიან, თანდათან ეცნობიან სამყაროს და პატარაობისას მოსმენილი ლექსები ამაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ილუსტრირებული ლექსების წიგნი ბავშვს წარმოსახვას უვითარებს. კითხვის პროცესში შევჩერდეთ, ყურადღება გავამახვილოთ ილუსტრაციაზე, პერსონაჟის ჩაცმულობაზე, გამომეტყველებაზე. თანდათან ბავშვიც შემოგვიერთდება და ახლა თავად გაგვიწევს მეგზურობას ახალ-ახალი დეტალების აღმოჩენისას.

ბავშვები იზრდებიან, თანდათან ეცნობიან სამყაროს და პატარაობისას მოსმენილი ლექსები ამაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ილუსტრირებული ლექსების წიგნი ბავშვს წარმოსახვას უვითარებს. კითხვის პროცესში შევჩერდეთ, ყურადღება გავამახვილოთ ილუსტრაციაზე, პერსონაჟის ჩაცმულობაზე, გამომეტყველებაზე. თანდათან ბავშვიც შემოგვიერთდება და ახლა თავად გაგვიწევს მეგზურობას ახალ-ახალი დეტალების აღმოჩენისას.

შემოქმედებითი უნარები

საბავშვო ლექსების კითხვის სიკეთე აისბერგს ჰგავს – ზედაპირზე მისი მხოლოდ ნაწილი ჩანს, ბავშვის ზრდასთან ერთად კი კიდევ ბევრი დადებითი მხარე იჩენს თავს, მაგალითად, შემოქმედებითი უნარები. ჩემს პატარა გოგონას კარგად გამოსდის ხატვა, წარმოსახვითი თამაშები და დარწმუნებული ვარ, ყოველივე ამას საბავშვო ლექსების ყოველდღიურმა კითხვამ, მიზნობრივმა პაუზებმა, დასმულმა კითხვებმა შეუწყო ხელი.

ცოდნა და ღირებულებები

აქლემი, ჟირაფი, რწყილი, ლამბაქი – კიდევ ბევრი სიტყვის ჩამოთვლა შეიძლება, რომლებიც ჩემმა გოგონამ საბავშვო ლექსებიდან ისწავლა და რეალურ ცხოვრებაში გადაიტანა ან სხვა წიგნებს დაუკავშირა. გარდა ამისა, ბავშვი უფროსის ჩარევით თანდათან ლექსის მთავარ გზავნილზეც იწყებს ფიქრს. მაგალითად, იმაზე, რა თავდადებული მეგობარია რწყილი ან იმაზე, რომ გრძელი თმა ბიჭსაც შეიძლება ჰქონდეს (თუთა ჯგუშიას ლექსიდან), როგორ შემოივლის პიერი მთელ ქვეყანას დედისთვის მთვარის საუკეთესო ნაჭრის მისართმევად, როგორ ეხმარებიან ექიმ ვაივიშს არწივები და დელფინები აფრიკაში ჩასვლაში და როგორ არ ზოგავს თავს თავად ექიმი ცხოველების გამოსაჯანმრთელებლად.

იუმორი და ემოციური ინტელექტი

საბავშვო ლექსების კითხვა გართობის საუკეთესო გზაა. ჩემი გოგონა მეოთხე წელშია და სწორედ ხმამაღლა კითხვისას ერთად გატარებული დრო იქცა ჩვენი ურთიერთობის ვარსკვლავურ სამყაროდ. უკვე ბევრი მოგონება დაგვიგროვდა, ხმამაღალი კითხვისას ერთნაირ რაღაცეებზე გვეცინება. ვაკვირდებით პერსონაჟების ემოციებს, სახის გამომეტყველებას და ერთმანეთს ვუზიარებთ. ყოველივე ეს ბავშვს ემოციურ ინტელექტს უვითარებს და სხვისი განცდების ამოცნობასაც უადვილებს.

ლექსების კითხვა ჩვილობიდან დაიწყეთ, ისწავლეთ ზეპირად და ყოველდღიური საქმიანობისას გართობის საშუალებად აქციეთ, მაგალითად, სადილის მზადებისას თუ ჭურჭლის რეცხვისას ხმამაღლა იკითხეთ ლექსები, გახალისდით, თავადაც ისიამოვნეთ და თქვენი განწყობა ბავშვსაც გადასდეთ. წადით წიგნის მაღაზიაში და თავად შეარჩიეთ ლექსები ბავშვისთვის, შექმენით თქვენი პირადი ურთიერთობის ამსახველი ბიბლიოთეკა. აქციეთ ლექსების კითხვა ყოველდღიურ რუტინად, სიამოვნებად და ჯილდოდ თქვენი შვილის განვითარებულ გონებას, სიმშვიდეს, ფიზიკურ და მენტალურ სიმტკიცეს მიიღებთ.

გამოყენებული რესურსები:

https://nurseryrhymecentral.com/eleven-brilliant-ways-nursery-rhymes-are-educational-heres-the-research/

ნინო ლომიძე

ემოჯი და ემოციური რეგულაციის სწავლება

ემოჯიებით კომუნიკაცია მოსწავლეებს საკუთარი და სხვისი ემოციების სწავლაში ეხმარება. ისინი უკეთ აცნობიერებენ, რა არის ემოციური რეგულაცია და მართავენ საკუთარ ქცევას, ეს კი პოზიტიური მიდგომაა. მოწაფეები ემოჯიების დახმარებით ემოციებს ქცევასთან აკავშირებენ.

დღესდღეობით სასწავლო პრაქტიკაში ემოჯიებით/ხატულებით კომუნიკაციას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ამ გზით მცირდება ბარიერი მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, მასწავლებლის საშუალებით მოსწავლეებს უძლიერდებათ მიჯაჭვულობა სასწავლო საგნის მიმართ, უმაღლდებათ განწყობა, უძლიერდებათ მოტივაცია და შთაგონება. გარდა ამისა, ემოჯიებით კომუნიკაცია მოსწავლეებს საკუთარი და სხვისი ემოციების სწავლაში ეხმარება. ისინი უკეთ აცნობიერებენ, რა არის ემოციური რეგულაცია და მართავენ საკუთარ ქცევას, ეს კი პოზიტიური მიდგომაა. მოწაფეები ემოჯიების დახმარებით ემოციებს ქცევასთან აკავშირებენ.

დღესაც უცვლელად მიგვაჩნია, რომ ჩვენს ქცევებსა და ემოციებს შორის „კავშირი კრიტიკული და არსებითია და სასწავლო პროცესში მისი გააზრება მუდმივ საქმიანობად უნდა ვაქციოთ, რამდენადაც ამას ბავშვის აზროვნების ცვლილებებისკენ მივყავართ... ისინი თანდათან ისწავლიან მოვლენების ემოციებთან დაკავშირებას და დაინახავენ კონტროლის საჭიროებას მათ სამართავად“[1].

უმცროსკლასელებს, მათ შორის – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს, განსაკუთრებით ახალისებთ ხატულებად ქცეული პერსონაჟებით კომუნიკაცია. ეს პერსონაჟები არიან:

1. (ᵔ◡ᵔ)
2. ¯_(ツ)_/¯
3. (ง ᵔ◡ᵔ)ง
4. ʕ •ᴥ• ʔ
5. (ᵔᴥᵔ)
6. ┌(ಠ_ಠ)┘
7. (ಠ_ಠ)
8. (__/)
9. (=^.^=)
10. E[:]|||||[:]3
11. (") _ (")

სწავლებაში ხატულების დანერგვისთვის მნიშვნელოვანია სიმბოლოთა ლექსიკონის გადააზრება. არსებობს ხატულების სია[2], რომელიც 10 ძირითად კატეგორიას და 110 ქვეკატეგორიას, სულ 4526 ხატულას აერთიანებს. ეს სია მოიცავს ფუნდამენტურ ემოციებს და მათ ვარიანტებს (ხატულა სხვადასხვა ფერის კანით, სტილით და ა.შ.).

ემოციის სიმბოლოები

ღიმილი ან სიხარული – ყველაზე ხშირად გადმოიცემა :) ან :-) ან =) სიმბოლოებით

თავშეუკავებელი სიცილი, ხარხარი – :-D ან :D ან)))) (უკანასკნელი უმთავრესად გამოიყენება RuNet-ში)

დამცინავი სიცილი 😆 – XD ან xD ან >:-D

სიცილი ცრემლებამდე ან სიხარულის ცრემლები 😂 – :"-) ან:"-D

მზაკვრული ღიმილი 😉 – :):-> ან]:->

წყენა, იმედგაცრუება ☹ – :-(ან =(ან :(

ემოციური ჟესტების სიმბოლოები

ძლიერი წყენა, ძლიერი იმედგაცრუება – :-C ან :C ან (((((

უკმაყოფილება, დაბნეულობა, შეცბუნება – :-/ ან :-\

ბრაზი – :D-:

ნეიტრალური დამოკიდებულება – :-| ან :-I ან ._. ან -_-

აღტაცება – *O* ან *_* ან **

გაოცება – :-() ან :- ან :-0 ან :O ან O: ან o_O ან oO ან o.O

თვალის ჩაკვრა – ;-) ან ;)

სევდიანი ხუმრობა – :-(

ხალისიანი ხუმრობა – :-)

ცრემლები – :_(ან :~ (ან :”(ან :*(

სიხარულის ცრემლები – - :~ -

მწარე ტირილი – :~ -(

ყვირილი – :-@

განცვიფრება ან დაბნეულობა – 8-O ან =-O ან :-

იმედგაცრუება – :-e

მრისხანება – :-E ან :E ან :-t

დარცხვენა – :-[ან %0

სევდა – :-<

კოცნა – :-* ან :-{ }

ჩახუტება – { }

ენის გამოყოფა, გამოჯავრება – :-P ან :-p ან :-b

ჩუუ! – :-X

გულისრევა – :-!

ხატულების ორაზროვნებისა და მრავალფეროვნების გამო კომუნიკაცია ყოველთვის არ არის მკაფიო. ყველას არ ესმის ამა თუ იმ ემოჯი-ხატულას მნიშვნელობა, ან სხვანაირად ესმის. მსგავსი სიტუაციების თავიდან ასაცილებლად, ხატულას გარდა, აუცილებელია რამდენიმე სიტყვის დაწერა, რათა თანამოსაუბრემ უკეთ გაგვიგოს.

შეცბუნება, ასევე – „მთვრალი ვარ“ ან „მთვრალი ხარ“ – :*)

არაფერი გესმის (სლენგზე - „რქიანი ხარ“) – 3:-)

ჯამბაზი ხარ – *:O)

გული 💔 – <3

ვარდი 🌹 – @)->-- ან @)~>~~ ან @-”-,”-,---

მიხაკი – *->->--

ძველი, გაცვეთილი ხუმრობა (სლენგზე – „ბაიანი“) – [:|||:] ან [:]/\/\/\[:] ან [:]|||[:]

მგონი, გაგიჟდი – /:-(ან /:-]

ემოჯიების/ხატულების სიღრმისეული ანალიზისას მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს კომუნიკაციის აქტანტები, მათი ასაკი, სქესი, სოციალური მდგომარეობა, მისწრაფებები. მათთან დაკავშირებული ჩვენ მიერ ჩატარებული მცირე კვლევიდან[3], რომლის შედეგები ჟურნალ „სემიოტიკის“ 22-ე ნომერში გამოვაქვეყნეთ, გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკანტთა ასაკს, სქესს და სოციალურ მდგომარეობას. მაგ.:

1. – აღნიშნული სიმბოლო იუმორითა და ირონიით არის გაჯერებული, თუ მას 13-18 წლის გოგონები იყენებენ. 17-18 წლის ვაჟები ამ სიმბოლოს განმარტავენ როგორც: უარი, „უკან დაიხიე“, „დამშვიდდი, ძმაო“.
2. – 13-18 წლის გოგონების ნაწილი ამბობს, რომ ამ სიმბოლოს ხუმრობით, ძალიან პოზიტიურის მნიშვნელობით იყენებენ, 17-18 წლის ვაჟებთან კი ის დაუმორჩილებლობას, დაცინვას გამოხატავს; 40 წლის და ამაზე უფროსი ადამიანების ნაწილი მას ბოროტების ხატად მიიჩნევს, ნაწილმა მნიშვნელობა არ იცის.
3. – თავის ქალა უფროსი ასაკის ადამიანების ნაწილისთვის სიკვდილის სიმბოლოა, უმცროსი ასაკის ადამიანებისთვის კი „ჩაბჟირებამდე სიცილის“ გამოხატულება.



4. – სასულიერო პირები თუ ამ სიმბოლოს პირად კომუნიკაციაში მრევლის დალოცვის მიზნით იყენებენ, 13-16 წლის გოგონებისთვის ის აღნიშნავს: „შე საბრალოვ“, „რა გეშველება“.
5. – ფინჯანი ყავა ქალებისთვის დასვენებასთან ასოცირდება, 17-18 წლის ვაჟებისთვის – ქალურობასთან[4] ირონიული გაგებით (https://www.youtube.com/shorts/grn5W8m9MeQ) და ასე შემდეგ.
6. – 17-18 წლის ვაჟებისთვის კეპი ვისიმე სიცრუეში გამოჭერაა, ხოლო იმავე და სხვა ასაკის გოგონებისა თუ ქალებისთვის, უბრალოდ, მზისგან დაცვა.
7. – 16-18 წლის ვაჟები ჯამბაზს იმათ გამოსახატავად იყენებენ, ვისაც არ დაეჯერება, სხვებისთვის ის, უბრალოდ, ჯამბაზია.
8. – ამ ხატულების კომბინაცია ვისთვის გაოგნება, დადუმებაა, ვისთვის – საალერსო სიმბოლო.
9. – ვისთვის ნეიტრალური სახეა და ვისთვის – „მუღამიდან გადასვლა“.
10. – თხას „უმაგრესის“ მნიშვნელობა აქვს (GOAT – „Greatest Of All Time”) თინეიჯერებისა და ყველა სხვა ადამიანისთვის, რომლებმაც ამ აბრევიატურის მნიშვნელობა იციან. დანარჩენებისთვის ის, უბრალოდ, თხაა ან ჯიუტი პიროვნების გამოხატულებაა.

ამავე კვლევამ ისიც აჩვენა, რომ სწავლებაში ჩართული ადამიანები ემოჯი-ხატულების გამოყენებით სასწავლო პროცესის წართმართვასთან დაკავშირებით დაბნეულობას ამჟღავნებენ. გამოკითხულთა მხოლოდ 17%-ია თანახმა, 29% უარზეა, 52%-მა არ იცის, რა უპასუხოს[5].



სურ. 7.

ხატულების ორაზროვნებისა და მრავალფეროვნების გამო კომუნიკაცია ყოველთვის არ არის მკაფიო. ყველას არ ესმის ამა თუ იმ ემოჯი-ხატულას მნიშვნელობა, ან სხვანაირად ესმის. მსგავსი სიტუაციების თავიდან ასაცილებლად, ხატულას გარდა, აუცილებელია რამდენიმე სიტყვის დაწერა, რათა თანამოსაუბრემ უკეთ გაგვიგოს. თუმცა აღნიშნული საკითხის სამომავლო კვლევები, ვფიქრობთ, მეტ სიცხადეს შეიტანს ემოჯი-ხატულების შესწავლაში.

შენიშვნები:

1 მარიამ გოდუაძე, ემოციური რეგულაცია და მისი სწავლების ტიპები, 2018
2 http://mastsavlebeli.ge/?p=20037
3 https://www.emojiall.com/ka/sub-categories/D1
4 მარიამ გოდუაძე თორნიკე სამხარაძე სიმბოლოები, ემოჯების ენა და ემოციური რეგულაციის სწავლების საკითხი, *სემიოტიკა*, სამეცნიერო ჟურნალი, ტ. XXII, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, გვ. 309-319.
5 ქალთან, რომელიც გადმობრუნებული ბურღით ცდილობს ლურსმნის ჩაჭედებას სარეცხის თოკის მისამაგრებლად. ამ სცენის შემყურე კუნთმაგარი მამაკაცები კი ყავას ხარხარით გეახლებიან. :)
6 მარიამ გოდუაძე თორნიკე სამხარაძე სიმბოლოები, ემოჯების ენა და ემოციური რეგულაციის სწავლების საკითხი, *სემიოტიკა*, სამეცნიერო ჟურნალი, ტ. XXII, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, გვ. 317.

გამოყენებული ლიტერატურა და სასარგებლო ელექტრონული რესურსები:

1. **მარიამ გოდუაძე,** ემოციური რეგულაცია და მისი სწავლების ტიპები (ორ ნაწილად), ინტერნეტ-გაზეთი mastsavlebeli.ge, თბილისი, 2018
2. **მარიამ გოდუაძე,** ემოციური რეგულაცია და მისი სწავლების ასპექტები, ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge, თბილისი, 2018
3. **მარიამ გოდუაძე, თორნიკე სამხარაძე,** სიმბოლოები, ემოჯიების ენა და ემოციური რეგულაციის სწავლების საკითხი, სამეცნიერო ჟურნალი „სემიოტიკა“, ტ. XXII, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, გვ. 309-319
4. Marcel Danesi, *The Semiotics of Emoji. The Rise of Visual Language in the Age of the Internet.* Bloomsbury Publishing, 2016.
5. https://www.emojiall.com/ka/sub-categories/D1
6. https://www.emojiall.com/ka/all-emojis?type=normal#:~:text=%E1%83%94%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98,Emojis%2D%E1%83%96%E1%83%94%20%E1%83%AC%E1%83%95%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1

ცირა ბარბაქაძე

მომავლის სამყარო: ნეიროგანათლება, ნეირონეტი, ნეიროკომუნიკაცია

ბოლო დროს ჩვენს მეტყველებაში ხშირად გაისმის სიტყვა „ნეირო“, „ნეირობიოლოგიით“ დაწყებული და „ნეიროგანათლებით“ დასრულებული. თუმცა რა დასრულებული... ამას სასრული არ აქვს და არ რჩება მეცნიერების, ხელოვნების, ცხოვრების არცერთი სფერო, რომელიც მსაზღვრელად მაინც არ გამოიყენებდეს სიტყვას – „ნეირო“.

ბოლო დროს ჩვენს მეტყველებაში ხშირად გაისმის სიტყვა „ნეირო“, „ნეირობიოლოგიით“ დაწყებული და „ნეიროგანათლებით“ დამთავრებული. თუმცა რა დამთავრებული... ამას სასრული არ აქვს და არ რჩება მეცნიერების, ხელოვნების, ცხოვრების არცერთი სფერო, რომელიც მსაზღვრელად მაინც არ იყენებდეს სიტყვას - „ნეირო“.

რა ნეირობზეა (ნეირონზეა) საუბარი? ალბათ ყველამ იცით, მაგრამ მაინც გავიმეორებ: **ნეირონი (ბერძ. νευρών – ნერვი)** – კლასიკური განმარტებით, ეს არის ნერვული უჯრედი – მთავარი სტრუქტურულ-ფუნქციური ერთეული ნერვული ქსოვილისა, რომლისგანაც არის აგებული ადამიანისა და ცხოველების ნერვული სისტემა და რომელიც ელექტრული და ქიმიური სიგნალების მეშვეობით ინფორმაციის დამუშავებასა და გადაცემას უზრუნველყოფს[1].

რა არის ნეიროგანათლება (NEURO EDUCATION)?

მარტივად რომ ვთქვათ: დღეისთვის ნეირომეცნიერებებმა დიდძალი ცოდნა დააგროვა. საჭიროა, ეს ცოდნა რეალიზდეს განათლებაშიც, რაც გულისხმობს, რომ ახალ მეცნიერულ კვლევებს დაეფუძნოს ცოდნის მიღების მეთოდები სკოლებსა და უნივერსიტეტებში.

ნეიროგანათლება გვთავაზობს ტვინის გასაოცარი შესაძლებლობების უფრო ღრმა გაგებას და გამოყენებას. ეს არის სწავლის მეთოდი, რომელიც ეფუძნება იმას, **თუ როგორ ამუშავებს თქვენი ტვინი ინფორმაციას.** ეს კი აუმჯობესებს სწავლის პროცესს, გიქმნით პოზიტიურ განწყობას „თვითმართვითი“ სწავლის გზით, ეხმარება თქვენს ტვინს ახალი ცოდნის მიღებასა და ეფექტურ დამახსოვრებაში.

რა არის ნეიროგანათლების საკვანძო საკითხები?

ნეიროგანათლება მიზნად ისახავს ტვინის ყველა ნაწილის გააქტიურებას და ცდილობს, გაიგოს ბავშვის მაქსიმალური პოტენციალი. როდესაც ბავშვის სწავლის სტილი გასაგებია, ნეიროგანათლება აღვივებს ცნობისმოყვარეობას და აადვილებს სწავლას. ნეიროგანათლებას შეუძლია, თვითდისციპლინისა და თვითმართვის საშუალებით ბავშვის საუკეთესო უნარები გამოავლინოს, რაც, თავის მხრივ, ეხმარება მას, გახდეს დამოუკიდებელი, საკუთარი ცხოვრების მმართველი.

როდესაც 2006 წელს ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის[2] განათლების სკოლაში პროფესორმა მერაიელ ჰარდიმენმა ნეიროგანათლების პროგრამა წარადგინა, მაშინ ეს ტერმინი ბევრმა არც იცოდა. ჰარდიმენი ამ მიმართულებით, შეიძლება ითქვას, პიონერია და დღემდე წარმატებით აგრძელებს ამ საქმიანობას.

ბოლო დროის გამოკვლევებიდან ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის განათლების სკოლაში აქტუალურია მეცნიერებისა და ხელოვნების ინტეგრირებასთან დაკავშირებული ნაშრომები, რომლებიც განაპირობებს ცოდნის ეფექტურ მიღებას (რის შესახებაც ვწერდი 2022 წლის სტატიებში).

მაგალითად, ასეთი: „ხელოვნების როლი სამეცნიერო შინაარსის დამახსოვრებაში“, „ხელოვნება როგორც სასკოლო განათლების ცენტრალური ნაწილი“, „განათლება და ხელოვნება: ბავშვების განათლება უნდა ეფუძნებოდეს კვლევებსა და სიხარულის სულისკვეთებას“ და სხვა.

ცოდნის მიღების ჰოლისტურობა (და, შესაბამისად, ეფექტურობაც) უკავშირდება ჩვენი თავის ტვინის მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროების სინქრონულ მუშაობას.

როდესაც ბავშვები რაღაც ახალს სწავლობენ, მათ ახალი ცოდნა უკვე არსებულს უნდა დაუკავშირონ. ეს კავშირი აყალიბებს ძლიერ ნერვულ ქსელებს და აადვილებს ახალი ინფორმაციის დამახსოვრებას. რაც მეტია კავშირი, მით უკეთ „ინახება“ ცოდნა.

გამოკვლევებით დასტურდება ნეიროგანათლების შემდეგი უპირატესობები:

- სასწავლო პროცესში მასწავლებლის მთავარ როლს ანაცვლებს სწავლების ინდივიდუალური სტილი, თანაც ეს პროცესი „თვითმართვადია“, მოსწავლეს შეუძლია, გაცნობიერებულად და ხალისით ისწავლოს;
- ნეიროგანათლება ხელს უწყობს ბავშვის დაფარული ნიჭების/უნარების ამოცნობას და გამოვლენა-რეალიზაციას;
- ამცირებს ახალგაზრდების გონებრივ დატვირთვას და ქმნის სკოლაში ბედნიერ ატმოსფეროს;
- ეხმარება მოსწავლეებს, ისწავლონ შეცდომებზე;
- ეხმარება ბავშვებს, განივითარონ ის უნარები, რომლებიც გადამწყვეტია ცხოვრებაში მათი წარმატებისთვის.

„შვილებს ძალდატანებით კი არა, თამაშით უნდა ასწავლიდე, რასაც ასწავლი, თუ გინდა, უკეთ ადევნო თვალყური თითოეულის ბუნებრივ მიდრეკილებებს“.[3]

პლატონის ეს სიტყვები ციფრულ ეპოქაში შესაძლოა პარადოქსულიც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ შევთანხმდეთ, რომ ნეიროგანათლება ამ ეტაპზე მასწავლებლებისთვის შეიძლება იყოს დამატებითი რესურსი, რომელიც მას სწავლების შესაბამისი მეთოდების იდენტიფიცირებაში დაეხმარება.

მაგრამ რას გვიქადის ციფრული მომავალი? აი, ეს კი ზუსტად არავინ იცის...

ნეირონეტი და ნეიროკომუნიკაცია

განათლების (და ცხოვრების) სრულიად ახალ პარადიგმასთან გვაქვს საქმე, როდესაც ნეიროგანათლებას ნეირონეტის კონტექსტში განვიხილავთ.

ნეირონეტი – ეს არის ახალი თაობის (და არა მხოლოდ) საკომუნიკაციო გარემო, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ადამიანის ცხოვრებას. იგი უზრუნველყოფს ადამიანების ურთიერთქმედებას ნეიროკომპიუტერული ინტერფეისების გამოყენებით. როგორც მეცნიერები მიუთითებენ, ეს კონცეფცია ყველაზე მეტად შეესაბამება ნოოსფეროს იდეებს.

ნეირონეტი – ეს არის ახალი თაობის (და არა მხოლოდ) საკომუნიკაციო გარემო, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ადამიანის ცხოვრებას. იგი უზრუნველყოფს ადამიანების ურთიერთქმედებას ნეიროკომპიუტერული ინტერფეისების გამოყენებით. როგორც მეცნიერები მიუთითებენ, ეს კონცეფცია ყველაზე მეტად შეესაბამება ნოოსფეროს იდეებს.



აი, აქ კი შეიძლება დაიკარგოთ და სტატიის კითხვაც კი შეწყვიტოთ. მე მაინც ჩავულრმავდები:

ნოოსფერო[4] – ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების სფერო, სადაც ადამიანის გონივრული მოქმედება წარმოადგენს განვითარების მთავარ მამოძრავებელ ფაქტორს. ცნება „ნოოსფერო“ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში შემოიღეს პიერ ტეიარ დე შარდენმა და ედუარდ ლე რუამ, რომლებიც განმარტავენ მას როგორც დედამიწის „მოაზროვნე“ გარსს. ვლადიმერ ვერნადსკიმ ტერმინ „ნოოსფეროს“ ახალი მატერიალური შინაარსი მისცა: მისი განმარტების თანახმად, ნოოსფერო ბიოსფეროს ახალი, უმაღლესი სტადიაა. ნოოსფერო სულ უფრო ფართოვდება და გარდაიქმნება კოსმოსის ახალ სტრუქტურულ ელემენტად. ცნება „ნოოსფერო“ გულისხმობს საზოგადოებასა და ბუნებას შორის გონივრული ურთიერთგავლენის აუცილებლობას, ეს კი მოითხოვს წარმოების გონივრულ და ეფექტურ დაგეგმვას, ბუნების გარდაქმნის ამოცანის გლობალურ გადაჭრას.

საქმე უფრო შორსაც მიდის. ეს არის ნეირო-საზოგადოების შექმნა, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმაციის, არამედ გამოცდილებისა და ემოციური შთაბეჭდილებების გაერთიანებას ინტელექტუალური სისტემების გამოყენებით.

ნეირონეტი (იგივე Web 4.0, კოლექტიური გონი) ინფორმაციის გაცვლის ისეთი სივრცე იქნება, რომელშიც მომხმარებლებს შორის ურთიერთზემოქმედება (ადამიანი-ადამიანი, ადამიანი-მანქანა) ნეიროკომპიუტერული ინტერფეისებით მოხდება. კომუნიკაციისთვის გამოყენებული უნიკალური სპეციალური ენით „ცოდნა გადაიტვირთება. ნეირონეტში ჩართული აქტორების ურთიერთზემოქმედება ნეიროკომუნიკაციის პრინციპებით განხორციელდება. პროგნოზების თანახმად, ნეირონეტი მასობრივად 2030-2040 წლებში გავრცელდება“.[5]

აქ გავჩერდები.

ეს შესავალი იყოს, საკმარისია იმ რთული ეპოქის გასააზრებლად, რომელშიც უკვე შევაბიჯეთ.

შენიშვნები:

1 https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98

2 https://education.jhu.edu/research/neuro-education-initiative/

3 პლატონი. სახელმწიფო. წიგნი მეშვიდე. გვ. 62; გვ. 64.

4 https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D

5 გურამ ჯოლია. „განათლება და დასაქმება ციფრულ გარემოში“, თბ., 2021, გვ. 262-263

მეგი კავთუაშვილი

ქართულ-ევროპული ტრადიციები დეზინფორმაციის ტალღის პასუხად

წინათ თუ სიტყვა „მითი“ ფანტასტიკურ ხალხურ თქმულებებთან, ღმერთებსა და გმირებთან ასოცირდებოდა, ჩვენს დროში და ჩვენს ქვეყანაში მითების ხსენებისას ყველაზე ხშირად მტრული სახელმწიფოების მიერ დაგეგმილი და ტროლ-ბოტების მიერ გავრცელებული მოგონილი, მაგრამ დამაზიანებელი ამბები გვაგონდება.

დღესდღეობით ყალბი ამბების გავრცელებაზე კარგად ორგანიზებული ჯგუფები მუშაობენ და მეტი ეფექტურობისთვის ქსელური და საინფორმაციო ომის თეორიებსაც ქმნიან. ბრძოლის ველი ძალიან ხშირად ვირტუალურ სივრცეშია განფენილი. სოციალური ქსელის მრავალრიცხოვან მომხმარებლებზე კონტროლის მოპოვება მოწინააღმდეგის დამარცხებას უდრის, ამიტომ აქ ხშირად შეხვდებით საზოგადოების ერთი ნაწილისთვის სასაცილო, მაგრამ მეორე ნაწილისთვის შემაშფოთებელ ფრაზებს, მაგალითად: „ქართველობას გვართმევენ“.

ეს ფრაზა თანამედროვე მითოლოგიის კარგი მაგალითია და უკვე დიდი ხანია, რუსული პროპაგანდისტული მანქანის ძრავად იქცა. ეს მანქანა კი ძალას არ იშურებს ჩვენი თანამემამულეების დასარწმუნებლად, რომ ევროპა სინამდვილეში საქართველოს და ქართველობის მტერია.

რუსული პროპაგანდა და დეზინფორმაცია ყველაზე ხშირად ქართულ და ევროპულ ფასეულობათა შეუთავსებლობაზე სვამს აქცენტს და ცდილობს, ევროკავშირი საქართველოს ისტორიისთვის, ტრადიციისა და კულტურისთვის შეუსაბამოდ წარმოაჩინოს. უმეტესწილად, ამისთვის ისეთ მგრძნობიარე საკითხებზე პედალირებს, როგორიცაა, მაგალითად, ეთნიკურ, რელიგიურ თუ სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვა. ამ ხაფანგში ხშირად პედაგოგებიც ებმებიან. ყველაზე თვალსაჩინოდ ეს სკოლაში დასაქმებული ფილოლოგებისა და ისტორიკოსების მაგალითზე ჩანს.

სტატიისთვის სოციალურ ქსელში, პედაგოგებისა და მშობლების დახურულ ჯგუფებში, საგანგებოდ ვიკითხე, რა მითები სმენიათ ევროპის შესახებ. „ქართველობას რომ გვართმევენ“, ამ მითმა პირველი ადგილი დაიკავა, სხვა პასუხებმა კი მოლოდინს გადააჭარბა:

მითი 2. ბავშვებს იტაცებენ და სქესს უცვლიან.

წინათ თუ სიტყვა „მითი“ ფანტასტიკურ ხალხურ თქმულებებთან, ღმერთებსა და გმირებთან ასოცირდებოდა, ჩვენს დროში და ჩვენს ქვეყანაში მითების ხსენებისას ყველაზე ხშირად მტრული სახელმწიფოების მიერ დაგეგმილი და ტროლ-ბოტების მიერ გავრცელებული მოგონილი, მაგრამ დამაზიანებელი ამბები გვაგონდება.

დღესდღეობით ყალბი ამბების გავრცელებაზე კარგად ორგანიზებული ჯგუფები მუშაობენ და მეტი ეფექტურობისთვის ქსელური და საინფორმაციო ომის თეორიებსაც ქმნიან. ბრძოლის ველი ძალიან ხშირად ვირტუალურ სივრცეშია განფენილი. სოციალური ქსელის მრავალრიცხოვან მომხმარებლებზე კონტროლის მოპოვება მოწინააღმდეგის დამარცხებას უდრის.

მითი 3. შვილი თუ დატუქსე, სასამართლოში გიჩივლებს და ჯარიმას გადაგახდევინებენ.

მითი 4. მშობლებს ბავშვებს ართმევენ და გეი წყვილებზე აშვილებენ.

მითი 5. აუცილებლად მოითხოვენ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას.

მითი 6. „დედისა“ და „მამის“ დაძახება იკრძალება, „მშობელი N1“ და „მშობელი N2“ – ასე მოიხსენიებენ.

მითი 7. შვილი 18 წლის რომ ხდება, სახლიდან აგდებენ, 16 წლის მერე ბავშვი სად წავა, მშობლებს არ აინტერესებთ;

მითი 8. სკოლებში ერთსქესიანთან სექსს ასწავლიან;

მითი 9. ჩაშვებას ასწავლიან ბავშვებს.

მითი 10. იმათ ისე არ უყვართ შვილები, როგორც ქართველ მშობლებს.

მითი 11. რომ იყვირო, მეზობელი არ გამოგხედავს, იმიტომ რომ მეზობლობა რა არის, არ იციან.

მითი 12. ქუჩაში გული რომ წაგივიდეს, კაციშვილი არ მოგეშველება.

მითი 15. ადამიანებს ჩიპებს უდგამენ, საფულე აღარ სჭირდებათ, მაგით იხდიან ფულის ნაცვლად.

მითი 16. მეზობელს რომ დაუკაკუნო, შეიძლება პირად სივრცეში შეჭრად ჩათვალოს და პოლიციაში დარეკოს.

მითი 17. მაგათ ოჯახი, მეგობრობა და თანადგომა არ იციან.

მითი 18. იქ რო გარყვნილება�ა...

ჩვენი მხრივ მიამიტობა იქნება, ამ ყველაფერზე მხოლოდ გავიცინოთ და გარშემო მყოფ ადამიანებს, ბავშვებს, მშობლებს, მასწავლებლებს არ ავუხსნათ, რომ **ყველაფერი ის, რაც ზემოთ წერია, ტყუილია, მაგრამ არა შემთხვევით გამოგონილი – ეს მითები კარგად ორგანიზებული დეზინფორმაცია-პროპაგანდის ნაწილია, რომელსაც სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო, რომელსაც მიზანმიმართულად ავრცელებს მტრულად განწყობილი სახელმწიფო – რუსეთი, რათა ქართველებსა და ევროპელებს შორის გაჩნდეს კულტურული არათავსებადობის უფსკრული, საქართველომ დასავლური კურსიდან გადაუხვიოს და უღალატოს არა ევროპულ ფასეულობებს, არამედ ჭეშმარიტ ქართულს. სინამდვილეში ქართული და ევროპული კულტურა უფრო მეტად ჰგავს ერთმანეთს, ვიდრე განსხვავდება. ოჯახის კულტი ევროპულ ქვეყნებშიც ძლიერია, ტრადიციების პატივისცემაში კი ბადალი არ ჰყავთ. ის, რასაც ჩვენ ევროპულ ფასეულობებს ვუწოდებთ, სინამდვილეში ქართულიცაა. თავისუფლება, თანასწორობა, მრავალფეროვნება და ადამიანის ღირსების პატივისცემა ქართული ისტორიის, რელიგიისა და ტრადიციის ნაწილია. ამაზე მეტყველებს ქართული ლიტერატურა „შუშანიკის წამებიდან“ დღემდე.**

ქართულ ლიტერატურას და ისტორიას გადავხედოთ, კრიტიკულად გავიაზროთ და მივხვდებით, რა გვაკავშირებს სინამდვილეში ევროპასთან:

- საქართველოშიც და ევროპის ქვეყნებშიც ადამიანი დამოუკიდებელი, თვითმოქმედი პერსონაა. ის არ არის არავის მონა, ის თავისუფალია. თავისუფლება კი დღევანდელი განვითარებული მსოფლიოს ყველაზე დიდი მონაპოვარია.
- ადამიანი მოაზრებულია როგორც შემოქმედი, მუდმივ განვითარებაში მყოფი არსება, რომელიც წარსულიდან მომავლისკენ მიიწევს, წარსულ გამოცდილებაზე ახალს აშენებს და ვითარდება.
- ქართველი კლასიკოსების შემოქმედებაშიც ადამიანი შემწყნარებელია, წახალისებულია ინდივიდუალური აზროვნება, განსხვავებულის პატივისცემა, მასთან მშვიდობიანი თანაარსებობა.
- საქართველოს ისტორიას თუ გადავხედავთ, ჩვენი ქვეყნის მმართველები ყოველთვის მიილტვოდნენ ბიზანტიისკენ; საქართველოსა და რომის ეკლესიას ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი ჰქონდათ, ევროპელი მისიონერები აგროვებდნენ ქართულ ლიტერატურულ შედევრებს, გამოსცემდნენ წიგნებს ქართულ ენაზე, ავითარებდნენ დამწერლობას და ა.შ.

ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი: თავისუფლება, თანასწორობა, მშვიდობა, თანამშრომლობა, – დღეს გაერთიანებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, რომელსაც საქართველოს კონსტიტუცია ეფუძნება, ქვეყნის კონსტიტუცია კი მოქალაქეთა ნების ყველაზე ნათელი გამოხატულებაა.

მცირე აქტივობა მარტივი ჭეშმარიტების დასადგენად:

დავუსვათ კითხვა ჩვენს თავს, ჩვენს მოსწავლეებს და ჩვენს შვილებს: რა არის ქართველობა? ავიღოთ პატარა წებოვანი ფურცლები და ყველამ თითო სიტყვით აღვწეროთ, რას ნიშნავს ჩვენთვის ქართველობა, შემდეგ ეს ფურცლები დაფაზე მივაკრათ და ხმამაღლა, ყველას გასაგონად წავიკითხოთ. ცოტა ვიცინოთ, მაგრამ აღმოვაჩინოთ, რომ ყველაფერი ის, რაც ჩვენ ქართველობა გვგონია: რწმენა, ტრადიციები, კულტურა, ისტორია, - სინამდვილეში ადამიანობაა, ადამიანობა ქართულ-ევროპული გაგებით. ერთნაირად მისაღები ქართველისთვის, იტალიელისთვის, გერმანელისთვის... და მივხვდებით, რომ ევროპა ქართველობას კი არ გვართმევს, ევროპა ახლად შემოტანილი მოდური თემა კი არ არის, ჩვენი ორგანული ნაწილია, იმიტომ რომ საქართველო ოდითგანვე ევროპაა.

სტატიაში გამოყენებულია ვიდეორესურსის შინაარსი https://www.facebook.com/watch/?v=1121943341788197

ქეთევან კობალაძე

ემპათია – ბავშვები და მშობლები

ემპათია გარშემო მყოფთა მიმართ ყურადღებით იწყება, ამიტომ, როდესაც ბავშვთან ურთიერთობთ, სხვა ყველაფერი დაივიწყეთ. გვერდზე გადადეთ მობილური ტელეფონი. დაამკვიდრეთ წესი: „ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას – არავითარი ინტერნეტშეტყობინება, ელექტრონულ წერილებზე პასუხი, სატელეფონო საუბარი, ტელევიზორი!“

„ემპათიას და თანაგრძნობას ანადგურებს საკუთარი თავით ტკბობა. როდესაც ადამიანი საკუთარ თავზეა კონცენტრირებული, მთელი სამყარო მისი პრობლემებისა და საზრუნავის მასშტაბებამდე ვიწროვდება... მაგრამ როდესაც ყურადღებას ვაქცევთ სხვებს, სამყარო ფართოვდება“, – ვკითხულობთ მიშელ ბორბას (Michele Borba) ბესტსელერში „ემპათიური ბავშვები“.

მიშელ ბორბა მრავალი ბესტსელერის ავტორია, რომელთა უმეტესობა რამდენიმე ენაზეა თარგმნილი. ის ყოფილი პედაგოგია, ბავშვთა აღზრდის საკითხების ექსპერტი, ახალგაზრდებში ბულინგისა და ძალადობის პრევენციის სპეციალისტი, აქვს სპეციალური განათლება შშმ ბავშვებთან მუშაობის სფეროში და დოქტორის ხარისხი პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში. არის არაერთი ჯილდოს მფლობელი. ცხოვრობს კალიფორნიაში მეუღლესთან ერთად. ჰყავს სამი ზრდასრული ვაჟიშვილი.

მიშელ ბორბა წერს, რომ სხვისი გრძნობების ამოცნობის უნარი ბავშვს ემოციურ წიგნიერებას უვითარებს და სწორედ ეს არის პირველი ნაბიჯი ემპათიისა და თანაგანცდის სწავლების გზაზე. ამერიკელი ფსიქოლოგი მშობლებს სთხოვს, არ იჩქარონ და გულდასმით განავითარონ ყოველი ნაბიჯი, სანამ მომდევნო საფეხურზე გადავლენ.

პირველი ეტაპი: გაჩერდით და ყური მიუგდეთ. ემპათია გარშემო მყოფთა მიმართ ყურადღებით იწყება, ამიტომ, როდესაც ბავშვთან ურთიერთობთ, სხვა ყველაფერი დაივიწყეთ. გვერდზე გადადეთ მობილური ტელეფონი. დაამკვიდრეთ წესი: „ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას - არავითარი ინტერნეტშეტყობინება, ელექტრონულ წერილებზე პასუხი, სატელეფონო საუბარი, ტელევიზორი!“

მეორე ეტაპი: პირისპირ ურთიერთობა. სხვისი ემოციების ამოცნობას ბავშვები მხედველობითი კონტაქტით სწავლობენ, ამდენად, აუცილებელია, უფროსი საუბრისას პირდაპირ უყურებდეს ბავშვს, ანუ მათი თვალები ერთ სიმაღლეზე იყოს. მხედველობითი კონტაქტის შესანარჩუნებლად დააკვირდით თანამოსაუბრის თვალის ფერს, სახის მიმიკას, ინტონაციას და ემოციურ სიგნალებს.

მესამე ეტაპი: კონცენტრირდით გრძნობებზე. ემოციური წიგნიერების განვითარება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც ემპათია. ბავშვმა უნდა ისწავლოს საკუთარი გრძნობების გამოსახატავად საჭირო სიტყვების პოვნა. მაგალითად:

- აღვწეროთ გრძნობა: „მგონი, ბრაზობ“; „ალბათ შეწუხებული ხარ“; „ძალიან გაღიზიანებული კილოთი ლაპარაკობ“.
- დავსვათ დამაზუსტებელი კითხვები: „შეშინებული ხარ?“; „ნაწყენი ხომ არ ხარ?“; „ხომ არ ნერვიულობ?“
- აღვწეროთ შესაბამისი ჟესტი: „მუშტები გაქვს შეკრული, ხომ არაფრის გეშინია?“; „ხელები გიკანკალებს, რამეზე ბრაზობ?“; „ისეთი გამომეტყველება გაქვს, როგორც ჩანს, ვიღაცამ ძალიან გაგაბრაზა“.

არასოდეს განსაჯოთ ბავშვის გრძნობები, უბრალოდ უყურეთ და აღწერეთ ისინი.

მეოთხე ეტაპი: გრძნობების გამოხატვა. ბავშვისთვის აუცილებელია, შეძენილი ემოციური ლექსიკონი გრძნობების გამოსახატავად გამოიყენოს. მიღებულია, რომ ბავშვთან საუბარი დავიწყოთ კითხვით: „რას ფიქრობ გიორგის/ნინოს გრძნობების შესახებ?“ – მაგრამ გაცილებით ეფექტური იქნება, თავდაპირველად გამოვთქვათ ვარაუდი: „მგონი რაღაცაზე ნერვიულობ“. ამ ყველაფრის

მიზანია, ბავშვის ემოციური ლექსიკონი თანდათან შეივსოს და ის მოემზადოს იმ მომენტისთვის, როდესაც დამოუკიდებლად შეძლებს ემოციის გამოხატვას. სწორედ ამის შემდეგ მოახერხებს ბავშვი, განმარტოს: „თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი, როდესაც ლუკას დავარტყი“.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, ვკითხოთ ბავშვს: „შენ რას გრძნობ?“ შემდეგ უკვე შესაძლებელი გახდება, სხვების გრძნობებზეც დავუსვათ კითხვა: „როგორ ფიქრობ, რას გრძნობდა ლუკა, როდესაც დაარტყი?“ ამგვარად შესაძლებელი ხდება, ბავშვის ყურადღება გადავამისამართოთ და ვუბიძგოთ მას, სხვების გრძნობებზეც დაფიქრდეს. ერთმა კალიფორნიელმა მშობელმა მოსწრებულად შენიშნა:

ხატვაზე საუბრისას ამ საჭირბოროტო საკითხს გვერდს ვერ ავუვლით. უპირველეს ყოვლისა, უნდა გაკონტროლდეს ის დრო, რომელსაც ოჯახის წევრები ელექტრონულ მოწყობილობებთან ატარებენ. ურთიერთობები მათ შორის ყოველგვარი მოწყობილობის გარეშე უნდა წარიმართოს. ვირტუალური ურთიერთობები ცოცხალი ურთიერთობებით უნდა ჩანაცვლდეს.

- უფროსებმა უნდა დააწესონ და დაიცვან გაჯეტების გამოყენების ლიმიტი. მშობლების მიერ შექმნილი წესრიგი ბავშვებზე თანდათან დადებითად აისახება. თავდაპირველად, მაგალითად, შეიძლება, ყველამ დაიცვას ერთი უწყინარი პირობა და ოჯახურ ტრაპეზს ტელეფონების გარეშე დაესწროს. უფროსებ-

„შვილებს ვეუბნები: როდესაც რამე არ მოგწონთ და გსურთ, შეცვალოთ, ხმამაღლა თქვით, რასაც გრძნობთ. ეს წამალივითაა – მისი დალევა დიდად არ გინდათ, მაგრამ მისი წყალობით უფრო და უფრო უკეთ გახდებით“.

უკვე მრავალი წელია, თანამედროვე ცხოვრების ძირითად გამოწვევად იქცა გაჯეტების ხანგრძლივი და უკონტროლო გამოყენება. მიშელ ბორბას აზრით, ემპათიასა და გრძნობების გამო-

მა, როგორც ქცევის მისაბაძმა მოდელებმა, საკუთარ თავზე უნდა აიღონ გრძნობებზე საუბრის ინიციატივა, მოუყვნენ ოჯახისწევრებს საკუთარი გრძნობების შესახებ. მალე შვილები თავადაც იოლად და ხალისით გააკეთებენ იმავეს.

- მშობლებმა უნდა შეზღუდონ გაჯეტების გამოყენება, შეწყვიტონ ტელეფონის წამდაუწუმ შემოწმება და ყველა შეტყობინებაზე მყისიერად პასუხის გაცემა. მსგავსი „მსხვერპლი“

კალიფორნიის ერთ-ერთი სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა შეიმუშავა მეთოდი, რომელიც ემსახურება სკოლაში ბულინგის პრევენციას მოსწავლეების მიერ ერთმანეთის პოზიტიურად აღქმის საშუალებით.

აუცილებლად იქცევა ბავშვისთვის მაგალითად. შვილთან საუბრის დროს ტელეფონი სასურველია გამორთოთ ან უხმო რეჟიმზე გადაიყვანოთ, რომ ყურადღება არ გაგიფანტოთ. ოჯახური სადილი ან ვახშამი კვირაში თუნდაც ერთხელ სმარტფონების გარეშე დადებით გავლენას ახდენს ბავშვების ემოციურ განვითარებასა და სასკოლო მიღწევებზე. პერიოდულად აირჩიეთ რომელიმე ემოცია, თუნდაც სიამაყე, და ჰკითხეთ ბავშვებს, კვირის განმავლობაში თუ მოხდა რამე ისეთი, რაც მათში სიამაყის განცდას იწვევს. ეს მხოლოდ მაგალითია, მსგავსი საუბარი ოჯახის წევრებს შორის შეიძლება მათთვის მისაღები ნებისმიერი სცენარით წარიმართოს სუფრასთან, ძილის წინ თუ მანქანაში.

სკოლის მოსწავლეებისთვის ემპათიისა და ემოციური წიგნიერების სწავლების უამრავი პროგრამა არსებობს. მიშელ ბორბა ერთ მათგანს გამოარჩევს.

კალიფორნიის ერთ-ერთი სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა შეიმუშავა მეთოდი, რომელიც ემსახურება სკოლაში ბულინგის პრევენციას მოსწავლეების მიერ ერთმანეთის პოზიტიურად აღქმის საშუალებით. მასწავლებელმა აიღო წითელი, ყვითელი და მწვანე ქაღალდის ფურცლები, გამოჭრა წრეები, რომლებსაც, საკუთარი გუნება-განწყობილების მიხედვით, ყოველდღე აკრავდა საკლასო ოთახის კარზე. ყველაზე ხშირად კარზე მწვანე წრე იყო მიკრული, რაც „კარგ დღეს“ ნიშნავდა. ყვითელი ფერი ერთგვარ გაფრთხილებას გამოხატავდა, ამიტომ მოსწავლეები პედაგოგს ეკითხებოდნენ: „მასწავლებელო, ყველაფერი რიგზე გაქვთ?“ წითელი ფერი „განგაშის“ მაუწყებელი იყო და მოსწავლეებიც ყურადღებით აკვირდებოდნენ მასწავლებელს, რომელსაც ერთხელ დედა ჰყოლია შეუძლოდ და წითელი წრის საშუალებით ამცნო ბავშვებს, რომ მძიმე დღე ჰქონდა.

მათემატიკოსი მიიჩნევს, რომ ბავშვებს შეუძლიათ, ძალიან ემპათიურები იყვნენ, განსაკუთრებით მაშინ, თუ უფროსები მათ ამის შესაძლებლობას მისცემენ.

ეს მეთოდი გამოიყენა ერთ-ერთმა მშობელმაც, რომელიც სხვადასხვა ფერის სტიკერებს მაცივარზე აკრავდა. ამ ქალბატონმა აღიარა, რომ მისთვის მოულოდნელად შვილები ძალიან ემპათიურები გახდნენ. კიდევ ერთმა დედამ ფურცელზე დაწერა: „გთხოვთ, ნუ შემაწუხებთ!“ – და ამ ფურცელს თავისი საძინებლის კარზე აკრავდა ხოლმე, როდესაც თავს შეუძლოდ გრძნობდა ან უგუნებოდ იყო. მისი თქმით, ბავშვები ძალიან მგრძნობიარეები გახდნენ მის მიმართ. შემდეგ ბავშვებმა თავადაც დაიწყეს მსგავსი მოწოდებების გაკვრა თავიანთი ოთახის კარზე, როდესაც არ სურდათ, სხვებისთვის თავს მოეხვიათ თავიანთი უგუნებობა. მოკლედ, რაც ამ მეთოდის გამოყენება დაიწყეს, ოჯახის წევრები გაცილებით მეტად უფრთხილდებიან ერთმანეთს, გაცილებით მეტ ყურადღებას იჩენენ ერთმანეთის მიმართ.

ძვირფასო მშობლებო, პედაგოგებო, აღმზრდელებო, თქვენც შეგიძლიათ, თქვენი ოჯახის წევრებისა თუ მოსწავლეების ასაკისა და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით შეიმუშაოთ მისაღები მეთოდები, რომლებიც თქვენს შვილებს/აღსაზრდელებს ემპათიას განუვითარებს.

წარმატების სივრცე

მანანა სეხნიაშვილი

ამ სტატიის სათაურზე ბევრი ვიფიქრე. კვლავ „გეოგრაფიის როლი“ არ მომეწონა, „გეოგრაფიის სწავლის საჭიროებაც“ უარვყავი. ბოლოს მაინც „წარმატების სივრცე“ დავტოვე.

რატომ „წარმატების სივრცე“? ვეცდები, ავხსნა.

მეცნიერების შესწავლასთან ერთად, მინდა, მოსწავლემ წარმატების სურვილი და გამარჯვებით მოპოვებული სიხარულის განცდაც იგემოს, რაც შემდგომ ცხოვრებაში გამოადგება. მინდა, იმასაც შეეჩვიოს, რომ ყოველთვის მწვერვალზე ვერ იქნება, ყველას მოსაწონს ვერ შექმნის. ამიტომაც ვასწავლი ერთმანეთის შეფასებას და რეკომენდაციების მიცემას.

მოკლედ, მივყვეთ წარმატების სივრცეს მოსწავლეებთან ერთად და გავიგოთ, რა როლს ასრულებს ამაში გეოგრაფია.

გეოგრაფია ხშირად განიხილება როგორც მეცნიერება ზოგადი განათლებისთვის, რაც ჩემში ყოველთვის პროტესტს იწვევდა. ჩვენს დროში, როდესაც სახელმწიფოთა საზღვრები გამუდმებით იცვლება, ქვეყნები იყოფა და ერთიანდება, იცვლება მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონე, საერთაშორისო ორგანიზაციები და ასოციაციები, გეოგრაფიის გაკვეთილები უფრო და უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო ხდება.

მოქალაქეების აღზრდაში გეოგრაფიული განათლების წვლილი უნიკალურია. გეოგრაფია არის პიროვნების ინტელექტუალური და სულიერი კულტურის ის ელემენტი, რომელიც მას საშუალებას აძლევს, არა მხოლოდ გააცნობიეროს ცვალებადი სამყაროს მრავალი პრობლემა, არამედ მონაწილეობა მიიღოს მათ მოგვარებაში, პატივი სცეს კულტურას, ხელი შეუწყოს მშობლიური ქვეყნის განვითარებას.

გეოგრაფიის ფუნქციები იცვლება. გეოგრაფია რჩება ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბების მთავარ ობიექტად, მაგრამ, ამავე დროს, ის მოსწავლეთა განვითარების საშუალება ხდება.

ჩემი აზრით, სწავლაში წარმატება დიდწილად განისაზღვრება სწავლის მოტივით, რომლის საფუძველია მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები.

გეოგრაფიის საგნის შემეცნებითი ინტერესის ფორმირებაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, მაგრამ მასწავლებელმა მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა გამოავლინოს. გადამწყვეტია საგნის შინაარსი, სტრუქტურა, სწავლების მეთოდები, მოსწავლეთა საგანმანათლებლო და შემეცნებითი უნარები.

გეოგრაფიას მჭიდრო კავშირი აქვს მრავალ მეცნიერებასთან, მაგრამ კვლევა უნდა ემყარებოდეს გეოგრაფიულ ცოდნას, გეოგრაფიულ კონცეფციებს, რომლებიც ხელს უწყობს გეოგრაფიული ენის განვითარებას, გეოგრაფიულ წარმოსახვას, რაც, თავის მხრივ, იწვევს ინტერესს გეოგრაფიის შესწავლის მიმართ.

თანამედროვე გაკვეთილს შეიძლება ჰქონდეს ინტერდისციპლინარული ხასიათიც, რაც

მოქალაქეების აღზრდაში გეოგრაფიული განათლების წვლილი უნიკალურია. გეოგრაფია არის პიროვნების ინტელექტუალური და სულიერი კულტურის ის ელემენტი, რომელიც მას საშუალებას აძლევს, არა მხოლოდ გააცნობიეროს ცვალებადი სამყაროს მრავალი პრობლემა, არამედ მონაწილეობა მიიღოს მათ მოგვარებაში, პატივი სცეს კულტურას, ხელი შეუწყოს მშობლიური ქვეყნის განვითარებას.

დაკავშირებულია ჩატარებულ კვლევასა და პრაქტიკულ მუშაობასთან.

გეოგრაფიის გაკვეთილის ჩატარებისას არ უნდა დაგვავიწყდეს მხარეთმცოდნეობის მიმართულება, ცოდნა რეგიონის შესახებ. ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური საქმიანობა მაგალითებად და ილუსტრაციებად უნდა იქნეს გამოყენებული საკლასო ოთახში. რეგიონში არსებობს უამრავი შესაძლებლობა შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოსაყენებლად. ეს შესაძლებლობები ადგილობრივი ტერიტორიის შესწავლას გულისხმობს. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს გეოგრაფიის სწავლებას კონკრეტულ ცხოვრებისეულ მაგალითებზე.

ადგილობრივი მხარეთმცოდნეობის მასალების გამოყენება ხელს უწყობს გეოგრაფიული ცოდნის სისტემის ფორმირებას, რეგიონში არსებული ეკოლოგიური პრობლემების იდენტიფიცირებას და მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებას. გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესების გზების ძიება კი საფუძვლად უდევს ამ მიმართულებით კვლევითი სამუშაოების ჩატარებას. მაგალითად, ამ კვლევის ნაყოფი შეიძლება იყოს ისეთი ნაშრომები, როგორიცაა „ოქროს მოპოვების ინდუსტრიის გავლენა გარემოზე“, „ტერიტორიის ეკოლოგიური პასპორტი“, „ტერიტორიის რელიეფის ცვლილებები“, „ფარული საფრთხე“, „ბუნების დასაცავად“ და სხვა.

საგნისადმი ინტერესის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლის მეთოდებიც. ჩემი დაკვირვებით, არ არის სასურველი რომელიმე წმინდა ტექნოლოგიის გამოყენება პირდაპირ, სხვა მეთოდების ჩანაცვლების ან დამატების გარეშე. ეს მრავალ მიზეზზეა დამოკიდებული, ისეთებზე, როგორიცაა კლასში მოსწავლეთა შემადგენლობა, მათი მომზადების დონე, მასალის აღქმისა და ათვისებისათვის მზაობის ფსიქოლოგიური მახასიათებლები და სხვ., ამიტომ გაკვეთილზე ყველაზე ხშირად ვიყენებ მეთოდების სისტემას (კომბინირებული გაკვეთილი).

თანამედროვე მეთოდოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი პოზიციაა მოსწავლის შინაგანი

გეოგრაფიის ფუნქციები იცვლება. გეოგრაფია რჩება ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბების მთავარ ობიექტად, მაგრამ, ამავე დროს, ის მოსწავლეთა განვითარების საშუალება ხდება.

პირადი საგანმანათლებლო და შემეცნებითი მოტივების ფორმირების აუცილებლობა, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნების თვითგანვითარებას. მოტივები მიზნად უნდა ისახავდეს არა მხოლოდ ახალი მასალის ათვისებას, არამედ შემოქმედებითი უნარების ფორმირებასაც.

უნარ-ჩვევებს მოსწავლეები მთელი სიცოცხლის განმავლობაში იძენენ. ამ პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სასწავლო აქტივობაა.

სასწავლო აქტივობა რთული პროცესია. ის არის საფუძველი გაკვეთილისა, რომელიც შინაარსობრივი და პროცედურული კომპონენტების მჭიდრო ერთიანობას წარმოადგენს. თანამედროვე გეოგრაფიის გაკვეთილის შინაარსი გაჟღენთილი უნდა იყოს სხვადასხვა მოქმედებით (შემეცნებითი, მარეგულირებელი, კომუნიკაციური და ა.შ.).

ახალი პედაგოგიური აზროვნებისა და სასწავლო პროცესის ახალი მიმოხილვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია მოსწავლის შეხედულების შეცვლა. მოსწავლე საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში უნდა განთავსდეს, რაც მასწავლებლისგან მოითხოვს გაკვეთილის მიზნების გადახედვას მოსწავლის პოზიციიდან. საჭიროა მოსწავლის მკვლევრად ჩამოყალიბება: მან უნდა შეძლოს ირგვლივ მიმდინარე მოვლენებზე დაკვირვება, მათი გაანალიზება და დასკვნების დასაბუთება.

მაგალითად, ბუნებრივი ტერიტორიების შესწავლისას მოსწავლე ადგენს ადგილმდებარეობას რუკაზე, განსაზღვრავს ბუნებრივ პირობებს, ახდენს მახასიათებლების იდენტიფიცირებას, მსჯელობს მსგავსებასა და განსხვავებაზე, განსაზღვრავს საცხოვრებელ პირობებსა და ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობას, ადგენს პრობლემას, ასაბუთებს და სახავს გადაჭრის გზებს, გამოთქვამს ვარაუდებს. მომავალში ყველა ეს ქმედება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერ სიტუაციაში. ყოველივე ეს ემყარება მოსწავლის გონებრივ საქმიანობას. მოსწავლის სააზროვნო აქტივობა გამოიხატება ანალიზის, განზოგადების უნარით, რაც ხელს უწყობს მოსწავლის კოგნიტიურ განვითარებას: დაკვირვებას, აზროვნებას, წარმოსახვას.

დიდი მნიშვნელობა აქვს საგანმანათლებლო პროცესში ახალი ტექნოლოგიური სწავლების საშუალებების, კერძოდ, კომპიუტერების გამოყენების დანერგვას, რაც აფართოებს მასწავლებლის შესაძლებლობებს უფრო ეფექტური სასწავლო პროცესის ორგანიზების კუთხით, მოსწავლეებს კი აძლევს ახალ შესაძლებლობებს ცოდნის ათვისების პროცესში.

მასწავლებელი მოსწავლეებს თვალწინ უშლის გეოგრაფიის საოცარ სამყაროს და მისი შესწავლით მოსწავლეები მიიკვალავენ თვითგანათლების გზას, აქტიურად იძენენ ცოდნას, ივითარებენ შემეცნებით ინტერესს.

გაკვეთილი იძენს დროისთვის დამახასიათებელ ახალ მახასიათებლებს – იგი აზროვნების, კომუნიკაციის, შემოქმედების უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული.

თითოეული მოსწავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, იცოდეს თავისი მიღწევები, აფასებდეს საკუთარ საქმიანობას, ითვალისწინებდეს შესაძლებლობებს და ცდილობდეს განათლების პროცესში იმ მეთოდებისა და გზების პოვნას, რომლებიც წარმატების მიღწევაში დაეხმარება.

მოსწავლის ინტერესი იზრდება, როცა კონკრეტული საკითხის შესწავლის პროცესი პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას ემყარება. გაცილებით იზრდება მოტივაცია და ჩართულობა, როცა რეალურ სიტუაციებს განიხილავენ. საქართველოში არაერთი ასეთი პრობლემური საკითხია მოსაგვარებელი. მსჯელობენ, კამათობენ, ერთმანეთისგან არგუმენტებს ითხოვენ.

მინდა, ერთი საკითხის განხილვის შედეგად მეცხრეკლასელების მიერ შექმნილი პროდუქტი გაგიზიაროთ. საკითხია ჰიდროენერგეტიკა, ხოლო საკვლევი კითხვა – უნდა აშენდეს თუ არა ნენსკრა ჰესი. მოსწავლეებმა არაერთი რესურსი განიხილეს, გაეცნენ მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა პოზიციებს, გააანალიზეს რეგიონში მიმდინარე გეოგრაფიული პროცესები და მოვლენები და ინდივიდუალურად შეასრულეს დავალება, თუმცა შემდეგ თანამოაზრეები გაერთიანდნენ, იმსჯელეს, იკამათეს და მაინკრაფტის პროგრამაში შექმნეს საბოლოო პროდუქტი. ამ კლასზე შარშანაც გიყვებოდით. გამორჩეულები არიან, შეცდომებიც და წარმატებებიც მძაფრად გამოხატული აქვთ, ყოველგვარი მოულოდნელობისთვის მზად უნდა იყოთ. მათდამი განსაკუთრებული დამოკიდებულება რომ მაქვს, იციან. არ სარგებლობენ, თუმცა გაბრაზებაც ყოფილა და წყენაც. ყველა შეცდომას ერთად განვიხილავთ, ვებრძვით საკუთარ თავს, ჩვენს სუსტ მხარეებს. მინდა, მათი წარმატების სივრცე გასცდეს გეოგრაფიის გაკვეთილებს, სკოლის კედლებს... მშრალი მასალის მიმართ ინტერესს არ იჩენენ, მაგრამ როგორც კი საკითხი სიმძაფრეს შეიძენს, უცებ ენთებიან და ცოცხლდებიან. უყვართ საკუთარი პოზიციის გამოხატვა. ეს საკითხიც ხმაურით განიხილეს. არაერთი პრობლემა წამოუჭრიათ თავადაც. მომწონს მათი მსჯელობა და დასკვნების გამოტანის უნარი. მათ შემხედვარეს, მომავალი მეიმედება. ამ იდეას ოთხი ავტორი ჰყავს: მესტვირა, ქობულა, კობერა და ნიკო. სხვადასხვა ტემპერამენტის პიროვნებები, თავიანთი შეცდომებითა და პრობლემებით. ნაშრომიც არ არის უცებ მისაღები, საკამათოა, თუმცა ავტორებს საკუთარი არგუმენტები აქვთ. ამჯერად გთავაზობთ პროექტის (კომპლექსური დავალების პროდუქტის) მხოლოდ ტექნიკურ ნაწილს, რომელიც წარმატებით დაიცვეს:

https://www.youtube.com/watch?v=XHqltak-jxE

ეს ჩვენი წარმატების სივრცეა.

ქეთევან ოსიაშვილი

ბავშვთან ეფექტიანი ურთიერთობის ხელშემწყობი ფაქტორები

ძნელი წარმოსადგენია, რომელიმე აღმზრდელს, განურჩევლად იმისა, პედაგოგია ის თუ მშობელი, არ სურდეს, თავისი აღსაზრდელისთვის უახლოეს მეგობრად იქცეს, ადამიანად, რომელსაც ბავშვი ყოველთვის თამამად მიმართავს, რომლისგანაც ყოველთვის სიამოვნებით მიიღებს რჩევას.

ძნელი წარმოსადგენია, რომელიმე აღმზრდელს, განურჩევლად იმისა, პედაგოგია ის თუ მშობელი, არ სურდეს, თავისი აღსაზრდელისთვის უახლოეს მეგობრად იქცეს, ადამიანად, რომელსაც ბავშვი ყოველთვის თამამად მიმართავს, რომლისგანაც ყოველთვის სიამოვნებით მიიღებს რჩევას. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ბავშვის მომავალი, მისი განვითარება, პიროვნების ჩამოყალიბება, მისი ფსიქოფიზიკური ჯანმრთელობა ბევრად არის დამოკიდებული ჩვენზე, უფროსებზე – ჩვენს სიტყვებზე, ქცევაზე, ემოციურ რეაქციებზე. ამიტომ უნდა ვიცოდეთ, როგორი ქცევა, საუბრისას გამოყენებული რომელი ფრაზები დაგვეხმარება ბავშვთან ეფექტიან ურთიერთობაში.

როცა ბავშვთან ყოველდღიურად გვიწევს ურთიერთობა, ჩვენს ქცევას და სიტყვებს სერიოზული გავლენის მოხდენა შეუძლია მის ცხოვრებაზე, იმაზე, რამდენად მშვიდი, საკუთარ თავში, საკუთარ ძალებში დარწმუნებული და ბედნიერი გაიზრდება ის, რამდენად გაბედული, უშიშარი იქნება და სირთულეების გარეშე დაძლევს წინააღმდეგობებს, რამდენად სანდო ადამიანი ვიქნებით მისთვის, მიგვიჩნევს თუ არა მეგობრად და პირველები გავიგებთ თუ არა ყველაფერს, რაც მის ცხოვრებაში ხდება.

რეკომენდაციები: როგორ გავხადოთ ბავშვთან ჩვენი ურთიერთობა ეფექტიანი

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ბავშვის უპირობო მიღება, უპირობო სიყვარული, განურჩევლად იმისა, როგორ იქცევა და რამდენად მოსაწონია ის გარშემო მყოფებისთვის. თავს ნუ შევიკავებთ – ვუთხრათ შვილს, რომ ძალიან გვიყვარს. „მე შენ მიყვარხარ“ – ყველას კარგად გვესმის, რომ ამ სამი სიტყვის მოსმენა, განსაკუთრებით – მშობლებისგან, ნებისმიერი ბავშვისთვის მნიშვნელოვანია. სწორედ მშობლები არიან ის ადამიანები, რომლებსაც უნდა უყვარდეთ შვილი და იღებდნენ მას ისეთს, როგორიც არის. ვასწავლოთ ბავშვს უპირობო სიყვარული – სიყვარული მხოლოდ იმისთვის, რომ არსებობს.

სასურველია, ვუთხრათ ეს სიტყვები არა მხოლოდ ყოველდღე, არამედ დღეში რამდენჯერმეც კი: დილით, გაღვიძებისთანავე; შინიდან სკოლისკენ ან საბავშვო ბაღისკენ მიმავალს; საღამოს, შინ დაბრუნებულს.

დღეს ბევრი მშობელი ჩივის, რომ ვერ იცლის შვილთან ურთერთობისთვის, თუმცა დღის განმავლობაში რამდენიმე წუთის გამონახვა, ტელეფონით თუნდაც ხანმოკლე საუბარი და ზემოაღნიშნული ფრაზის გამეორება მათ ბევრ პრობლემას ააცილებდა თავიდან.

ბავშვისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ ის სასურველი და ნანატრი შვილია, ამიტომ მშობლის ნათქვამი: „ბედნიერი ვარ, რომ მყავხარ, სწორედ ისეთი შვილი მინდოდა, როგორიც შენ ხარ“, – ბავშვს თავს ბედნიერად აგრძნობინებს და თავდაჯერებას შემატებს, აავსებს მას სიხარულით და დაარწმუნებს, რომ შემთხვევით არ გაჩენილა ამ ოჯახში და, საზოგადოდ, ამქვეყნად.

ბავშვს აბედნიერებს და საკუთარი ძალების რწმენას მატებს იმის ცოდნაც, რომ მშობლებისთვის ის მოსაწონი და მისაღებია. მართალია, ნებისმიერ მშობელს შვილი ამქვეყნად საუკეთესო ბავშვად მიაჩნია, მაგრამ ზოგიერთი ამას ხმამაღლა არ ამბობს იმის შიშით, რომ შვილი არ გაათამამოს. ჩვენ შესაძლოა ვერ ვხვდებოდეთ, როგორ ვუყალიბებთ ბავშვს არასრულფასოვნების კომპლექსს, როცა ვეუბნებით, რომ მას რაღაც სჭირს, რომ არც ისე ლამაზი ცხვირი და ყურები აქვს და ა.შ. უკეთესი იქნება, თუ პირიქით მოვიქცევით – უფრო ხშირად შევაქებთ. ნებისმიერ ბავშვში შეიძლება ისეთი რამის პოვნა, რაც მოწონებას და ქებას იმსახურებს. მთავარია, ამის სურვილი გვქონდეს.

ბავშვი შესაძლოა რომელიმე სფეროში წარმატებული იყოს, სხვა საქმიანობაში კი მარცხს განიცდიდეს. ვინაიდან ბავშვებს არ უყვართ იმის კეთება, რაშიც ხელი ეცარებათ, ვეცადოთ, მათთან ურთიერთობისას უფრო მეტად ვიყოთ ორიენტირებული მათ წარმატებულ ნაბიჯებზე და ნაკლებად გავამახვილოთ ყურადღება მარცხზე. ეს ბავშვს საკუთარი თავის რწმენას,

ბავშვი შესაძლოა რომელიმე სფეროში წარმატებული იყოს, სხვა საქმიანობაში კი მარცხს განიცდიდეს. ვინაიდან ბავშვებს არ უყვართ იმის კეთება, რაშიც ხელი ეცარებათ, ვეცადოთ, მათთან ურთიერთობისას უფრო მეტად ვიყოთ ორიენტირებული მათ წარმატებულ ნაბიჯებზე და ნაკლებად გავამახვილოთ ყურადღება მარცხზე.

გამბედაობას, შემართებას შემატებს და როცა მისი თვითრეალიზების დრო მოვა, ის თამამად შეხვდება ცხოვრებისეულ გამოწვევებს და მეტსაც მიაღწევს.

ნებისმიერ მშობელს სურს, იყოს პირველი, ვისთანაც ბავშვი საკუთარი პრობლემით მივა და რჩევას სთხოვს, ვისაც ენდობა, ვის სიტყვასაც სერიოზული წონა ექნება მის. ბავშვისთვის ასეთ სანდო ადამიანად რომ ვიქცეთ, სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ და მისგან მიღებული ინფორმაცია მისივე წინააღმდეგ არ გამოვიყენოთ. ამასთან, გავითვალისწინოთ, რომ ბავშვთან საუბრისას არ იქნება ეფექტიანი ისეთი ფრაზების გამოყენება, როგორიცაა: „ხომ გეუბნებოდი!“ „ხომ გაფრთხილებდი!“ „რამდენჯერ უნდა გითხრა!“ – მათი მოსმენის შემდეგ ბავშვი მეორედ აღარ მოვა ჩვენთან თავის პრობლემაზე სასაუბროდ. პირიქით, მადლობა გადავუხადოთ იმისთვის, რომ გვენდო და გულდასმით გავაანალიზოთ ის, რის თქმასაც ვაპირებთ, დავფიქრდეთ, მოუტანს თუ არა ჩვენი რჩევა სარგებლობას, დაეხმარება თუ არა პრობლემისთვის თავის გართმევაში და მომავალშიც მოისურვებს თუ არა ჩვენთან მოსვლას ჩვენი სიტყვების მოსმენის შემდეგ.

ასეთი დამოკიდებულება ბავშვს ნამდვილად არ აქცევს ქედმაღალ, ამპარტავან პიროვნებად, რისი შიშიც ხშირად აქვთ აღმზრდელებს. პირიქით, მისი წყალობით ბავშვი გაიზრდება უფრო მშვიდი, გაწონასწორებული, თავდაჯერებული, ჰარმონიული, გაუადვილდება სამყაროს აღქმა, უკეთ ეცოდინება, რა სურს ცხოვრებაში და მშვიდად ივლის თავისი გზით. წარმატების გზით.

თინათინ ზარდიაშვილი

„მოდური სიგამხდრე“ – სადამრიგებლო საათისთვის საშუალო საფეხურზე

„მასწავლებელო, იცით, მე პური ავკრძალე და მარტო „ხლებცებს“ ვჭამ, არ მინდა, გავსუქდე, მაგრამ სიმაღლეში მინდა გავიზარდო, ამიტომ ფიტნესზე შევედი“, – ამბობს მერვეკლასელი ნიკა.

„ჩემი შვილი საერთოდ არ ჭამს, მხოლოდ ლობიანი და გაზიანი სასმელია მისი სადილის ულუფა“, – ჩივის შეწუხებული მშობელი, რომელმაც შვილის პედიატრთან მიყვანა გადაწყვიტა.

ენდოკრინოლოგთან ბავშვების გრძელი რიგია. ზოგს ჭარბი წონა აწუხებს, ზოგს – წონის დეფიციტი.

თვრამეტსაათიანი შიმშილი...

მარის რეჟიმი...

დიეტების ჩამონათვალი ძალიან გრძელია. „გამარჯობის“ შემდეგ პირველი გვესმის: „დაიკელი?“ „მოიმატე?“ – და ა.შ.

პირადად მე ყველაზე მეტად ჭარბწონიანი გოგოები და ბიჭები მეცოდებიან გარშემო მყოფების რეპლიკების, რეაქციების გამო. ამას მოჰყვება საკვების აკრძალვა, მთელი დღე საღეჭი რეზინის ღეჭვა და... ბოლოს – გასტრიტი.

ბიოლოგიის, ფიზიკისა და ქიმიის გაკვეთილები საშუალებას მაძლევს, ნებისმიერ თემას დავუკავშირო საკვების სწორად მიღების მნიშვნელობა და რაც შეიძლება მეტი ვესაუბრო მოსწავლეებს, თუმცა დამრიგებლის ჩართულობა მნიშვნელოვანია, პრობლემა საკმაოდ მასშტაბურია. თანაც სადამრიგებლო საათის ფარგლებში საინტერესო იქნება „გაუთავებელ მტანჯველ დიეტებზე“ მსჯელობა.

ჩემი წერილი ეხება მეცნიერებას წონის მატებისა და კლების შესახებ. მარტივი, ადვილად გასაგები ენით აღვწერ, რა ახდენს გავლენას დიეტების პოპულარობაზე და როგორ მოგვიყვანა ისტორიამ დღევანდელ ვითარებამდე.

სიტყვა „დიეტა“ ინგლისურენოვან ლიტერატურაში უბრალოდ სწორ კვებას აღნიშნავს, ჩვენ კი რომელიმე სახის საკვების შეზღუდვის აღსანიშნავად ვიყენებთ. წიგნის მაღაზიებში დიეტებთან დაკავშირებული ლიტერატურისთვის ცალკე განყოფილებაც კი არსებობს.

ამ წიგნების ავტორებს მიაჩნიათ, რომ მარტივი პრობლემიდან მარტივ გამოსავალს გვთავაზობენ. დიეტები პოპულარულია. არსებობს ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების შეზღუდვაზე დაფუძნებული

ჩემი წერილი ეხება მეცნიერებას წონის მატებისა და კლების შესახებ. მარტივი, ადვილად გასაგები ენით აღვწერ, რა ახდენს გავლენას დიეტების პოპულარობაზე და როგორ მოგვიყვანა ისტორიამ დღევანდელ ვითარებამდე.

სიტყვა „დიეტა“ ინგლისურენოვან ლიტერატურაში უბრალოდ სწორ კვებას აღნიშნავს, ჩვენ კი რომელიმე სახის საკვების შეზღუდვის აღსანიშნავად ვიყენებთ. წიგნის მაღაზიებში დიეტებთან დაკავშირებული ლიტერატურისთვის ცალკე განყოფილებაც კი არსებობს.

დიეტები. მიიჩნევა, რომ ყველა დიეტა აკეთებს თავის საქმეს და ადამიანი აღწევს მიზანს. საინტერესოა, როგორ ხდება ეს, როგორ შეიძლება, ყველა მიდგომა წარმატებული იყოს?

მთავარი მიზეზი ის არის, რომ ნებისმიერი დიეტა ზღუდავს საკვებს – ცოტას ჭამ, მეორე კი ის, რომ თითოეული მათგანი განსაზღვრული კატეგორიის ხალხზეა გათვლილი. დიდი ხნით საკვების შეზღუდვა ძნელია. შიმშილი ცვლის ადამიანის ემოციურ ფონს, ზრდის აგრესიის ხარისხს.

ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან გენეტიკით, კულტურით, ქცევით, ფიზიოლოგიითა და სოციალური შესაძლებლობებით. ამას ემატება ასაკი, გენდერი, ნაწლავების მიკროფლორა, საცხოვრებელი გარემო და ნათელი ხდება, რომ წონის კონტროლი ადამიანის პერსონალური საქმეა.

სიმსუქნე არ არის ერთი დაავადება, მას უამრავი ქვეტიპი აქვს. მაგალითად, ზოგიერთს ენერგიის ბალანსი აქვს დარღვეული, ზოგი გემრიელ, მაცდურ საკვებზე ვერ ამბობს უარს. არსებობს ტერმინი „წონის ჰომეოსტაზი“, რომელიც წონის ავტომატურად მაკონტროლებელ სისტემას გულისხმობს. სიტყვა „ჰომეოსტაზი“ ბერძნული წარმოშობისაა და მუდმივობას ნიშნავს. სხეულის ნებისმიერი პარამეტრის ჰომეოსტაზი ნებისმიერი ცოცხალი სისტემისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

წონის დისბალანსის დროს ჰომეოსტაზის დარღვევის ორ სახეს განასხვავებენ. ადამიანების ერთი ჯგუფი ასაკის მატებასთან ერთად წონის მატებას იწყებს. ცვლილება კარგად ჩანს სარკეშიც, სასწორზეც და ექიმის კაბინეტშიც. მეორე შემთხვევაში წონა პერმანენტულად ერთნაირია, თუმცა ის არასასურველია და არაჯანსაღი გზით არის მიღწეული.

პირველ შემთხვევაში ჰომეოსტაზი არ მუშაობს, მეორეში კონტროლი ირთვება უფრო დიდი წონის მიღწევისას, რომელიც აღარ იცვლება. ჰომეოსტაზის გზით ნარჩუნდება სხეულის ტემპერატურა, სისხლის წნევა, სისხლში შაქრის რაოდენობა და სხვა მაჩვენებლები. გლუკოზის რეგულაციის დარღვევის შედეგად დიაბეტი ყალიბდება. შედეგი ხშირად წონის მატებაა. თავის მხრივ, სიმსუქნე დიაბეტის რისკფაქტორია.

სამწუხაროდ, საქართველოში ჭარბ წონასა და წონის დეფიციტთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევა არ მოიძებნა, ამერიკული კვლევის მიხედვით კი ზრდასრული მოსახლეობის 68% ჭარბწონიანია, მათ შორის 35% – მსუქანი. 1960 წლამდე მოსახლეობის მხოლოდ 13% იყო ჭარბწონიანი, 2010 წლის მონაცემებით კი – 35%.

სიმსუქნის სიხშირის მატება მრავალმა ფაქტორმა გამოიწვია, მათ შორის - ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ და ისტორიულმა ცვლილებებმა.

ცვლილება N1: ინდუსტრიამდელ ამერიკაში სიმსუქნის მაჩვენებელი მხოლოდ 4% იყო. იმ დროს არ არსებობდა სუპერმარკეტები, კაფეები, რესტორნები, სწრაფი კვების ობიექტები, გაყინული საკვები.

ცვლილება N2: შეიცვალა საკვების შემადგენლობა. მაგალითად, ზეთებში გაიზარდა ცხიმოვანი მჟავა ომეგა-6-ის შემცველობა. ვიღებთ 3-ჯერ მეტი ცხიმის შემცველ პროდუქტს, ვიდრე 1900 წელს. სიტკბოს რაოდენობა 5-ჯერ არის გაზრდილი.

ცვლილება N3: შეიცვალა საკვების წარმოების წესი. წინათ ადამიანი საჭმელს მხოლოდ სახლში ამზადებდა, დღეს მზა საკვები ყოველ ნაბიჯზე იყიდება, თანაც ძალიან მიმზიდველად არის შეფუთული. მომატებულია კალორიების დღიური რაოდენობა. ერთ სულ მოსახლეზე 20%-ით მეტი საკვები იხარჯება, ვიდრე 45 წლის წინ.

საკვების მატებას წონის მატება რომ არ გამოეწვია, უნდა გაზრდილიყო მეტაბოლიზმის სიჩქარე და ფიზიკური აქტივობის ხანგრძლივობა.

ცხიმოვანი უჯრედები ამზადებენ სიგნალს, რომ ორგანიზმმა საკმარისი საკვები მიიღო. კუჭი აღარ გზავნის სიგნალს შიმშილის შესახებ. ტვინმა ამ დროს უნდა დაძლიოს საკვების მიღების ცდუნება და გადარჩეს. როცა საჭიროზე 20%-ით მეტ საკვებს ვიღებთ, ის ცხიმოვან უჯრედებში გადადის. როცა წონას ვიმატებთ, უფრო მეტი საკვები გვჭირდება, რადგან მთელი დღის განმავლობაში უფრო მეტი წონა უნდა ვატა-

როთ. დღეში 425 კალორია, როგორც ოდესღაც, აღარ არის საკმარისი. გარდა ამისა, უფრო და უფრო იშვიათად დავდივართ ფეხით, რაც სატრანსპორტო საშუალებების გაუმჯობესებამ და პროცესების მექანიზაციამ გამოიწვია. გაზრდილია სამაგიდო სამუშაოების წილი. დღევანდელი სმარტფონები უკვე ითვლიან ნაბიჯებს და ადამიანს შეუძლია, აკონტროლოს დახარჯული კალორიების რაოდენობა. თანამედროვე ადამიანს უფრო ნაკლები სძინავს. ძილი უმნიშვნელოვანესია მეტაბოლიზმის რეგულაციისთვის. უძილობა შიმშილს იწვევს და შედეგად უფრო მეტს ვჭამთ. ცისფერი სინათლე მზის ჩასვლის შემდეგ არღვევს ძილის სინქრონულობას. ტელევიზორიდან, კომპიუტერიდან, ტელეფონიდან მომავალი ბევრი ლურჯი შუქი ძილს ართულებს. თეთრი პიქსელების სინათლის მიღება ლურჯი სინათლის გარეშე შეუძლებელია.

ამასთან, არსებობს საკვები, რომელიც მიჯაჭვულობას იწვევს. მას ადიქციურ საკვებს უწოდებენ. ასეთია სიმინდისა და ჭარხლის შაქარი, ხორბლის ფქვილი. ორგანიზმში მათი ტრანსპორტირება ადვილია და ბევრი ენერგიაც არ იხარჯება.

შიმშილისა და სიმაძღრის შეგრძნებები კონტროლდება ნერვული ქსელით, რომელსაც უკუკავშირის სისტემას უწოდებენ. ქსელის შემადგენლობაში შედის ე.წ. ლიმბური სისტემა, შიმშილისა და სიმაძღრის ცენტრები, რომლებიც ჰიპოთალამუსში მდებარეობს.

ჭარბწონიანობის მიზეზია ისიც, რომ ადამიანი ემოციურად არის დამოკიდებული საკვებზე. ***ადამიანი ჭამს სიამოვნებისთვის და ბოლოს იტანჯება შიმშლის გრძნობით.*** შაქრისა და ხორბლის ფქვილის მიღების შემდეგ სიგნალი დანაყრების შესახებ არ მოდის, შესაბამისად,

ვერ ვგრძნობთ დანაყრებას, ამიტომ ადამიანი კიდევ უფრო მეტს მიირთმევს. ამ საკვებს არ სჭირდება დაღეჭვა, პირში დნება, აქვს სასიამოვნო არომატი, სურნელი. სხვა ადიქციური ნივთიერებების მსგავსად, ისიც ხელმისაწვდომია.

კიდევ ერთი მიზეზი ის არის, რომ ბევრი შინ არ ამზადებს საკვებს, მომარაგებული აქვს კარადაში, მაცივარში. ნაყინი საყინულეშია და გველოდება. როგორც ალკოჰოლსა და ნიკოტინს ეჩვევა ადამიანი, ისევე ეჩვევა შაქრიან პროდუქტებსა და გაზიან სასმელებსაც. ოფისებში, სადაც ადამიანებს ემსახურებიან, ლოდინის პერიოდში ხშირად სთავაზობენ ტკბილეულს. სავარჯიშო დარბაზებში ენერგიის წყაროს სახით წარმოდგენილია შოკოლადი და ცილოვანი პროდუქტები კანფეტის სახით. მიმზიდველი საკვები ზემოქმედებს მეზოკორტიკოლიმბურ წრეზე. ტვინის მოჯაჭვულობას იწვევს ვარჯიში.

ნიკოტინის ან შოკოლადის ჩიპებით არ დავბადებულვართ, *ტვინს ნელ-ნელა ვაპროგრამებთ, რომ ისინი კი არ გვინდა, მაგრამ გვჭირდება.* შესაბამისად, იკარგება კონტროლი.

შეგვიძლია, შევცვალოთ დამოკიდებულება. არც ისე დიდი ხნის წინ მწეველი უფრო პოპულარულ პერსონად ითვლებოდა. დღეს პირიქითაა. თუ გადაწყვეტ, მხოლოდ მაშინ ჭამო, როცა გშია, თუ იფიქრებ, როგორ იგრძნობ თავს გადავსებული კუჭით, რას იგრძნობ სასწორზე წონის მაჩვენებლის დანახვისას, შეძლებ ტვინის გადაპროგრამებას და ის ისევ გააკონტროლებს შიმშილისა და სიმაძღრის პროცესებს. ყველა ჭარბწონიანი არ არის მოჯაჭვული საკვებზე, წონის მატების მიზეზი ზოგჯერ ჰომეოსტაზის დარღვევაა, ზოგჯერ – ცუდი გენეტიკა, მოუწესრიგებელი ძილი, ცუდი კვებითი ჩვევები, ნევროზი, დისბაქტერიოზი, არაჯანსაღი გარემო. გამხდარსაც შეიძლება ჩამოთვლილთაგან რომელიმე პრობლემა ჰქონდეს. ყველა ჩვენგანი სხვადასხვანაირია. შესაბამისად, წონის მატება-კლებისთვისაც ინდივიდუალური პროგრამები გვჭირდება და არა პოპულარული დიეტა.

გამოყენებული ლიტერატურა:

Gut Reactions: The Science of weight gain and loss. Simon Quellen Field, 2019

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„კვლევაზე დაფუძნებული სწავლება“

www.tpdc.ge